

155  
2011

Handwritten text at the top of the manuscript page, including the number 157, 158.



Handwritten text on a scroll, likely a liturgical text or prayer, written in Georgian script.

# საქართველოს იულოტეკა

ISSN 1512-0880

№2 (43)-2011



# საქართველოს



# ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:  
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელ.: 297-16-83



**ქურნალის რედაქცია:**  
ადექსანდრე ღორია  
- მთავარი რედაქტორი  
გურამ თაყნიაშვილი  
- მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
გუნდარა სცურუა  
- სამეცნიერო-მეთოდური და  
კორექსონდენტებთან მუშაობის  
რედაქტორ-კოორდინატორი



ინლსაწარმო „ალი“  
დამფუძნებლები: საქართველოს  
პარლამენტის იდია ქავჭავაძის  
სახელობის ეროვნული  
ბიბლიოთეკა; საქართველოს  
საბიბლიოთეკო ასოციაცია.



ქურნალი გამომდის წელიწადში ოთხჯერ

**გარეკანის პირველ გვერდზე:** ყმა-მამულის შეწირულების წიგნი, მიცემული კათალიკოს-პატრიარქ დოროთეოსის მიერ იტრიის ღვთისმშობლის მონასტრისადმი (XVI ს.), ნუსხა-ხუცური. ეტრატი. გრაგნილი (231,6 X 24 სმ). გადმოღებულია საქართველოს ეროვნული არქივის კალენდრიდან (2008).



# საქართველოს ბიბლიოთეკა №2-2011

## შინაარსი

საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ და აღსრულების პრობლემები -----4

## წიგნი და ახალი ტექნოლოგიები

გულნარა სტურუა - ახალი ტექნოლოგიები? - რა თქმა უნდა, წიგნთან ერთად -----6

## პოლემიკა

ალექსანდრე ლორია - არაკომპეტენტურობის შედეგი და მოლოდინი -----8

## ჩვენი დიდი წინაპრები

მაია მიქაბერიძე - ვაჟა-ფშაველას რუსულენოვანი თარგმანების გამოცემები -----12

## ღირსეულთა პორტრეტები

ლია სადრაძე - ლესია უკრაინკას მუზეუმი სურამში -----16

იური სიხარულიძე - გალაკტიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან (ბარათი პარმენ ლორიას) -----18

## კორესპონდენციები

ანა ერისთავი - სიცოცხლე გრძელდება -----19

ლია ლეონიძე - დარბაზობა - „რუსთაველი საქართველოა“ -----21

ლია ნიპარიშვილი - მზად ვართ უარესი დღეებისათვის, თუმცა უკეთეს დღეებზე ვფიქრობთ ---22

ლალი გოქაძე - ბავშვთა დაცვა ყველას მოვალეობაა -----23

გული კირცხალია - წიგნის საუფლო -----24

მანანა ტოგონიძე, ირმა ქოჩიაშვილი - მისაბაძი მკითხველები -----25

## მოგონებები

ოთარ ოსაძე - მცირე ამონარიდი ჩემი მოგონებებიდან -----27

იური სიხარულიძე - ვისაც ბედმა შემახვედრა (ნაწყვეტები მოგონებებიდან ) -----30

## იუბილე

ზეინაბ ჟიჟილაშვილი - ნინო ლაიშვილი - 90 -----34

## რეცენზია

გურამ თაყნიაშვილი - „გარდასახვაში მოჩანს სიამე“ -----35

ლალი გოქაძე - სულით პოეტი -----37

## რევიუ

იური მგალობლიშვილი - ამერიკული კინოხელოვნება 21-ე საუკუნის დასაწყისში -----38

## სატნოვოდ საკითხავი

ცოცხალი ბიბლიოთეკა -----41

## ძრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა -----42

## ბახსენება

ნეკროლოგი -----44



## БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 2 (43) – 2011

### СОДЕРЖАНИЕ

Закон «О библиотечном деле» Грузии и проблемы его исполнения ----- 4

#### Книга и новые технологии

Гульнара Стура — Новые технологии? — конечно, с книгой вместе ----- 6

#### Полемика

Александр Лория — Результат и ожидание некомпетентности ----- 8

#### Наши великие предшественники

Мая Микаберидзе — Издания Важи Пшавела в переводах на русский язык ----- 12

#### Портреты заслуженных

Лия Садрадзе — Музей Леси Украинки в Сурами ----- 16

Юрий Сихарулидзе — Из эпистолярного наследия Галактиона (Письмо Пармену Лория) ----- 18

#### Корреспонденция

Анна Эристави — Жизнь продолжается ----- 19

Лия Леонидзе — Салон — «Руставели — это Грузия» ----- 21

Лия Нипаришвили — Мы готовы к худшим дням, хотя думаем о лучших ----- 22

Лали Гокадзе — Защита детей — обязанность всех ----- 23

Гиули Пирцхалава — В мире книг ----- 24

Манана Тогонидзе, Ирма Кочиашвили — Примерные читатели ----- 25

#### Воспоминания

Отар Осадзе — Отрывки из моих воспоминаний ----- 27

Юрий Сихарулидзе — Кто послан мне судьбой (Отрывки из воспоминаний) ----- 30

#### Юбилеи

Зейнаб Жижилашвили — Нино Лаишвили -- 90 ----- 34

#### Рецензии

Гурам Такниашвили — «В преображении виднее наслаждение» ----- 35

Лали Гокадзе — Душой поэт ----- 37

#### Ревю

Юрий Мгалоблишвили — Американское киноискусство в начале 21-го века ----- 38

#### Чтение для любознательных

Живая библиотека ----- 41

#### Хроника

Хроника библиотечной жизни Грузии ----- 42

#### Некролог



# The Library of Georgia № 2 (43) - 2011

## Contents:

Law of Georgia on Library Work and Issues of Implementation-----4

### Books and New Technologies

Gulnara Sturua – New Technologies? But Not Without Books, Of Course!-----6

### Polemic

Alexandre Loria – The Result and Expectation of Incompetence-----8

### Praiseworthy Ancestors

Maia Mikaberidze – Editions of Russian Translations of Vazha-Pshavela-----12

### Portraits of the Worthy

Lia Sadradze – The Museum of Lesya Ukrainka in Surami-----16

Iuri Sikharulidze – From the Epistolary Heritage of Galaktion (A Letter to Parmen Loria)-----18

### Correspondence

Ana Eristavi – Life Goes On-----19

Lia Leonidze – *Darbazoba*: ‘Rustaveli Is Georgia’-----21

Lia Niparishvili – We Are Ready for Worse Times, Though Hope for Better Ones-----22

Lali Goksadze – It Is Everybody’s Duty to Protect Children-----23

Giuli Kirtskhalia – The Realm of Books-----24

Manana Togonidze, Irma Kochishvili – An Exemplary Reader-----25

### Recollections

Otar Osadze – An Excerpt from My Memoirs-----27

Iuri Sikharulidze – Those Whom I’ve Met in My Life (From Memoirs).-----30

### Anniversary

Zeinab Zhizhilashvili – Nino Laoshvili – 90-----34

### Reviews

Guram Taqniashvili – ‘I Can See Delight in Transformation’-----34

Lali Gogadze – A Poet by Nature-----37

### Revue

Iuri Mgaloblishvili – American Cinema in the Early 21<sup>st</sup> Century-----38

### Some Interesting Facts

Living Library-----41

### Chronicle

The Chronicle of the Georgian Library Life-----42

### Obituary





## „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და მისი დებულებების აღსრულების პრობლემები

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, რომელსაც საკანონმდებლო ბაზა უნდა შეექმნა საბიბლიოთეკო საქმის სისტემისათვის. ნაწილობრივ ამ კანონმა დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ მალე სავსებით დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა, რადგანაც თვით კანონმდებელი ორგანოსა და მთავრობის მიერ საბიბლიოთეკო საქმეს არ ჰქონია სათანადო მხარდაჭერა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, კანონი მთლიანად იქნა უგულვებელყოფილი. ბევრი მისი დებულება ამჟამად სავსებით გაუქმებულია ისე, რომ ცვლილებები ამ კანონში არ შეტანილა, ფაქტობრივად, დაირღვა კანონიერება.

ჩვეულებრივ, როდესაც უმაღლესი ორგანო კანონს იღებს, ამას მოჰყვება კანონქვემდებარე აქტები იმ უწყებებისა, რომლებსაც კანონი შეეხება. არაფერი ამის მსგავსი საბიბლიოთეკო საქმეში არ მომხდარა და, ამგვარად, კანონის აღსრულებაც ზოგადდებულებათა მხოლოდ ფიქსირებად დარჩა.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ამ კანონის მე-2 მუხლის ერთ-ერთი დებულება, რომელშიც ნათქვამია: „სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი (აქაც და შემდეგაც ყველგან ციტირება ამოღებულია წყაროდან: საქართველოს რესპუბლიკა – 1998, 29 ივნ.). ამის საფუძველზე განათლების სამინისტროს უნდა მიეღო სათანადო ზომები. მან ფორმალურად ეს კიდეც გააკეთა – გამოსცა მის მიერვე დამტკიცებული ტიპიური დებულება – „საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპიური დებულება“ (1998), რომელშიც, სხვათა შორის, სიტყვა-სიტყვით გამოვრებულია კანონში მოცემული დებულება სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესებში ჩართვის შესახებ, მაგრამ ამ დებულების რეალიზაციისათვის ნაბიჯი არ გადაუდგამს. არც ერთ სკოლაში „ტიპიური დებულების“ საფუძველზე არ შექმნილა კონკრეტული სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, არც რაიმე წესდება, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძანებაც კი. უფრო მეტიც – ზოგან სკოლის ბიბლიოთეკარებს, საერთოდ, პედსაბჭოზე დასწრებაც კი აუკრძალეს; სკოლის ბიბლიოთეკარები ტექნიკურ-სამეურნეო მუშაკებთან არიან გათანაბრებულნი, საუკეთესო შემთხვევაში – დამხმარე ტექნიკურ პერსონალთან და მიზერული ხელფასი აქვთ. რამდენიმე ათეული წელია, საბიბ-

ლიოთეკო საზოგადოება იბრძვის, რომ ბიბლიოთეკარები როგორმე შედაგოგებს გაუტოლონ, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოგვარებულა. ასე რომ, კანონის ეს ნაწილი არ კანონობს.

სკოლის ხელმძღვანელთა უმეტესობა არ იცნობს იფლასა და იუნესკოს „სახელმძღვანელოს სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის“ (თბ., 2009), რომელშიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს სიტყვასიტყვით აქვთ განერილი, თუ რა უნდა კეთდებოდეს სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის, რა მოვალეობას უნდა ასრულებდეს სკოლის ხელმძღვანელობა და ვის რა ფუნქცია ეკისრება.

კანონის მე-4 მუხლში ნათქვამია: „სახელმწიფო არის ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების გარანტი“, და შემდეგ კონკრეტდება, თუ რას უზრუნველყოფს სახელმწიფო: „...ბ) თავიანთ ტერიტორიებზე ყველა მოქალაქის საბიბლიოთეკო მომსახურებას... თ) დადგენილი ნუსხის მიხედვით ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი უფასო სავალდებულო ცალების მიღებას... გ)კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა შექმნის დაფინანსებასა და მართვას...“

არც ერთი ეს დებულება არ ხორციელდებოდა არასოდეს: არ არსებობს არავითარი „დადგენილი ნუსხა“, არ არსებობს „სავალდებულო ცალები“, არ იქმნება „სტანდარტები და ნორმატივები“, ხოლო რაც შეეხება „კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა შექმნას“, ამაზე ზედმეტიც კია ლაპარაკი. ასეთი სასწავლებლები მთლიანად ლიკვიდირებულია გაურკვეველი მიზეზებით.

მე-12 მუხლი შეეხება საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემას, რომელიც საერთოდ, აღარც კი არსებობს. ამ მუხლში ნათქვამია: „საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარ ბიბლიოთეკას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აფხაზეთსა და აჭარაში – რესპუბლიკური ბიბლიოთეკები“.

აფხაზეთის საქმე ყველასათვის გასაგებია, მაგრამ აჭარაში რატომ უგულვებელყოფეს ეს კანონი და ვისი ბრძანებით, გაურკვეველია, რომ გააუქმეს ამ მხარის მთავარი ბიბლიოთეკა და საქალაქო სტატუსი მიაკუთვნეს?

კანონით, „ქალაქის, რაიონის და სოფლის ბიბლიოთეკები თავიანთ სამსახურეო ტერიტორიაზე წარმოადგენენ ინფორმაციის ცენტრებს...“ (მუხლი 15).

როგორ უნდა განხორციელდეს ეს, როცა საქართველოში სოფლების უმეტესობას ბიბლიოთეკა, საერთოდ, აღარ დარჩათ? ბევრგან ეს



ბიბლიოთეკები, არავინ იცის, რომელი კანონით თუ კანონქვემდებარე აქტით, სკოლებს შეუერთეს. ამით „ყველა მოქალაქის საბიბლიოთეკო მომსახურება“ (მუხლი 4) სავსებით უგულებელყოფილია, თანაც არც კანონისმიერი და არც მეთოდური საფუძვლები ამის მოსაგვარებლად ჩვენში არ არსებობს. ფაქტობრივად, სკოლებში შეიტანეს საჯარო ბიბლიოთეკების ფონდები იმ ვარაუდით, რომ აქ მოსახლეობასაც მოემსახურებოდნენ; მაგრამ ვერც ერთი სკოლა ვერ ახერხებს ამას; ყველა მათგანი წინააღმდეგია სკოლის შენობაში მოსახლეობის შეუფერხებლად მოძრაობისა და ისიც კი არ იციან, როგორ უნდა იმუშაონ ამ პირობებში სკოლის ბიბლიოთეკებმა. ამ ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი დღეს უსახსრობისა და მეთოდური ცოდნის არქონის გამო ისედაც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ფაქტობრივად, სასოფლო ბიბლიოთეკების არსებობა – არ არსებობის ბედი დამოკიდებულია გამგებლებზე, რომლებსაც მთავრობის შესაბამისი ორგანოების მიერ მითითებული აქვთ (ალბათ სიტყვიერად), კანონის გვერდის ავლით, მათი შეხედულებით თვითონ გადაწყვიტონ სოფლის ბიბლიოთეკის ბედი, სადაც გამგებელი განათლებული და კარგი ორგანიზატორია, იქ საქმე შედარებით უკეთაა, მაგრამ სადაც არაა – სავალალო მდგომარეობა გვაქვს.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ კანონი არ კანონობს.

კანონის ყველაზე დიდი აშლილობა მაინც დაკავშირებულია ყოფილ კულტურის სამინისტროსთან, რომელმაც შემდგომში რეორგანიზაცია განიცადა. კანონის მე-19 მუხლში, რომელიც ამ უწყებას „საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას“ აკისრებს, წერია, რომ კულტურის სამინისტროს „ფუნქციებია: ა) ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება; ბ) სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის დაფინანსების ნორმატივების... ფუნქციონალურობისათვის გამოყოფილი წილის განსაზღვრა; გ) საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის კოორდინირება; დ) საერთაშორისო საბიბლიოთეკო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა; ე) საბიბლიოთეკო კადრების მომზადება–გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა; ვ) სახელმწიფო ბიბლიოთეკების მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფისადმი ზედამხედველობა; ზ) საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვისადმი კონტროლი; თ) საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი“. გარდა ამისა, 21-ე მუხლი ადგენს: „საბიბლიოთეკო საქმიანობას

ადგილზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით“.

ამ კანონის მიღების შემდეგ არც ერთი ნახსენები პუნქტი არ ამოქმედებულა და დღესაც არ მოქმედებს.

თავისთავად ცხადია, თუ ხდება რომელიმე უწყების უმაღლესი ორგანოს მიერ რეორგანიზაცია, მის შესახებ კანონში მანამდე არსებული პუნქტები ავტომატურად კარგავს ძალას, რაც ახალი, შესატყვისი დებულებით იცვლება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, რა უნდა ვუყოთ იმ ფუნქციებს, რომლებიც ამ უწყებას მანამდე ჰქონდა დავალებული? თუკი ეს ფუნქციები აღარ არის საჭირო, კანონში ისინი უნდა გაუქმდეს, ან შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები არსებული კონსტიტუციურად დადგენილი წესებით.

მაგრამ ისმის კითხვა: უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს გარდა, რომელმაც მიიღო ეს კანონი, ვის აქვს უფლება, ცვალოს კანონში მიღებული დებულებები, უგულებელყოს, ან ახალი წესები შემოიღოს? რატომ ხდება ასე საბიბლიოთეკო კანონთან დაკავშირებით?

„საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ დღეს უდავოდ ითხოვს სათანადო კორექტივებს. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს საბიბლიოთეკო საზოგადოებამ თავისი ასოციაციის მეშვეობით, ასევე ამაზე უნდა იზრუნონ პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, ჟურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკამ“, ყველამ, ვინც ამ საქმესთან არის დაკავშირებული.

სავალალოა ის, რომ დღეს საბიბლიოთეკო საქმეს არ ჰყავს კორდინატორი, კურატორი, რომელიც იზრუნებდა დარგის ნორმალურ საქმიანობაზე. ეს საქმე აბსოლუტურად თვითდინებაზეა მიგდებული. ამის გამო, საერთოდ, დარგი სავსებით დაშლილი და მორღვეულია, არავის ახსოვს და მთლიანად მივიწყებულია.

საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოითხოვოს კანონის დაცვა. გაუგებარია, რატომ არ ხდება ზედამხედველობა მიღებული კანონების შესასრულებლად? ვის ევალება ეს კონკრეტულად? ვინ არის პასუხისმგებელი კანონის შეუსრულებლობაზე? წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისევ ისე დარჩა ყველაფერი, როგორც ამჟამადაა, არავითარი აზრი არა აქვს კანონის განახლებას.

კანონიერება სამართლის საკითხია და ის ურყევ დაცვას მოითხოვს. იგი სახეა ქვეყნის. კანონის ურყევად დაცვა სახელმწიფოს დემოკრატიულობის უპირველესი ნიშანია!



## წიგნი და ახალი ტექნოლოგიები

### გულნარა სტურუა

## ახალი ტექნოლოგიები? - რა თქმა უნდა, წიგნთან ერთად!

ერთმა წიგნიერმა ბიბლიოთეკარმა შემახსენა: დიდი მოაზროვნე ა. ი. გერცენი ბრძანებდაო: „წიგნი ერთი თაობის სულიერი ანდერძია მეორისადმი, მომაკვდავი მოხუცის რჩევაა ჭაბუკისადმი, ყველა დაგროვილი ცოდნა, შრომითი გამოცდილება, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია ათწლეულების მანძილზე, ალბეჭდილია წიგნის ფურცლებზე, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს“... მაგრამ მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთეში გადასულმა ადამიანებმა კარგად ვიცით, როგორ გაექანა კაცობრიობა ახალი ბაბილონის ასაშენებლად. ტექნიკურმა მიღწევებმა როგორ განასხვავა გერცენის დრო ჩვენი დროისაგან, ახლა უკვე შექმნილია მართლაც რომ საოცრად მოქნილი აპარატი - კომპიუტერი, რომელიც განაგებს და თავს ართმევს ინფორმაციულ ოკეანებს, თუმც, ჯერ მაინც ვერ უკარგავს ხიბლს დროის ქარტეხილებში გამოვლილ, ზოგთაგან ნატანჯ და ზოგთაგან განებივრებულ ცოდნის წყაროს - წიგნის და ახლა უკვე ახალ ტექნოლოგიებთან ერთად მიაქანებს ადამიანს ცივილიზაციის მწვერვალებისაკენ აღმავალ გზაზე.

ვიციტ ეს, თანამედროვე ბიბლიოთეკარებმა. ვიციტ ახალი ტექნოლოგიების ფასიც და, უპირველეს ყოვლისა, ვიციტ კლასიკური ცოდნის ფუძემდებლის, დიდი მაცეტროს - წიგნისა და წიგნიერების სამყაროს ფასიც. რას მოგვიტანს შემდგომი საუკუნე, - ამას დრო განსჯის. დრო, რომელიც, სამწუხაროდ, ბუნდოვანია, ვერ გვაკვალთანებს, იმიტომ კი არა, რომ ჩვენი დროა ასეთი, არა, ბუნდოვანება ნებისმიერი დროის, ნებისმიერი ეპოქის თანმხლები თვისებაა. გასულ საუკუნეებში დიდი გენიოსებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, თუ რას გვიმზადებდა მეოცე საუკუნის ცივილიზაცია (რას არ შექმნის ადამიანის გონიერება ღმერთთან ერთად თუ ღმერთთან ჭიდილში!) ახლა უკვე კაცობრიობა ოცდამეერთე საუკუნის თვალწინდენელ კიბეს მიაწყდა და არავინ იცის, ვინ მიაღწევს მის უმაღლეს საფეხურს და რა მოელის იქ...

გვახარებს და გვაკვირვებს ახალი დროის ახალი მიღწევები და თანაც ხიფათების მოლოდინის სერიოზულ კომპლექსმოკიდებულებს ვერ მოგვიცილებია ბაბილონის გოდოლის აჩრდილი, რომელიც მუდამ თან გვდევს მოკვდავთ! ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ დღემდე

ასე ირონიულად დახრილ უცნაურ ღერძზე, მუდამ უდრტვინველად მბრუნავი ჩვენი ოქროს პლანეტა-სამყარო ერთ მშვენიერ დღეს არ ჩაიციინებს ჩვენი „თავხედური შეტევებით“ (ახალ ტექნოლოგიებს და ტექნიკურ მიღწევებს რომ ვეძახით!) გალიზიანებული, არ გასწორდება წელში და თითსაც არ დაგვიქნევს? ღმერთმა დაგვიფაროს. ამჯერად, მხოლოდ ღმერთი თუ გვიშველის!

შორს წავედი, ასე ფიქრი აზროვნებას ავნებს უთუოდ, საქმესაც! მოდით, ბატონებო, ისევ წიგნს და ადამიანებზე მის კეთილგავლენას დავუბრუნდეთ.

ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში ამერიკამოვლილი ჩვენი მოქალაქენი ბიბლიოთეკარებს, ჩვენ, ქართული ბიბლიოთეკების წინსვლით დაინტერესებულ მოღვაწეთ, გვიყვებოდნენ, თუ როგორ ანცვიფრებდათ მათ დილაადრიან ბიბლიოთეკების წინ მდგომი ადამიანების რიგი. ბიბლიოთეკის გაღებისთანავე მათი ნაწილი კომპიუტერებს მიუსხდებოდა, ნაწილი კი თავად ბიბლიოთეკარებს თხოვდა... წიგნებს კი არა, არამედ ინფორმაციას მათთვის საჭირო ნებისმიერ საკითხებზე. ნამდვილად არ მინახავს და არ ვიცი, რა ხდებოდა, და დღესაც რა ხდება ამერიკის ბიბლიოთეკებში, თუმცა აქ, ჩვენთან, დავსწრებივარ კონფერენციებს, ბევრი სიახლე მომისმენია ამ კონფერენციებში მონაწილე ამერიკელი ბიბლიოთეკარებისაგან, მომისმენია და ჩემთან ერთად სხვა მსმენელსაც უგრძნია ალბათ, როგორი დიდი შრომითა და რუდუნებით მიაღწიეს მათ თანამედროვე ამერიკელი ხალხის მოთხოვნებისთვის მხარის აბმას, როგორ წარმატებით იმუშავეს საინფორმაციო ბანკების შექმნაზე და დაიმკვიდრეს ადგილი ხალხისთვის საჭირო ისეთ დაწესებულებებს შორის, როგორიც საავადმყოფოა, პოლიციაა და სხვა... ესე იგი, ამერიკის საჯარო ბიბლიოთეკები, წიგნით მომსახურებასთან ერთად, უახლესი ინფორმაციის მიმწოდებლებიც არიან. აი, საიდან მოდის და რატომ დაიმკვიდრა თავი სიტყვა „მომხმარებელმა“ სიტყვა „მკითხველის“ ნაცვლად. ამ საუბრით ვცდილობ ის სინამდვილე ავსახო, რაც დროებამ მოიტანა. ყოველ შემთხვევაში, რასაც დროებას, ამერიკა იქეთ იყოს და, საქართველოშიც შემოაქვს... სამწუხაროა ეს თუ



გასახარელი, ვინ უწყის, ამასაც დრო გვიჩვენებს, ამ წუთში და ახლა, პირადად ჩემთვის და ჩემთან ერთად უთუოდ ბევრი წიგნიერი ადამიანისთვის ეს მოვლენა სამწუხარო შეიძლება არა, მაგრამ არც თუ აღმაფრთოვანებელია, კაცობრიობის ინტელექტუალურ სამყაროში, სამყაროში, რომელიც წიგნმა შექმნა, რომელშიც ახლა ძირფესვიანი გადატრიალება ხდება, წიგნის ადგილს იჭერს რაღაც უცნაური და ამავე დროს რთული მექანიზმი, რომელიც გარდა იმისა, რომ საოცრად გვიზიდავს, აბსოლუტურად მასზე დამოკიდებულს გვხდის. თუმცა არ მოაქვს, აი, ის ერთმნიშვნელოვანი სიხარული, როგორც თავად წიგნს შეუძლია მოგვიტანოს და როგორც, მაგალითად, თუ ტექნიკაზე ვისაუბრებთ, ელექტრონათურებმა მოუტანა გასული საუკუნის დასაწყისში კაცობრიობას. აქ ერთმნიშვნელოვნებაზეა საუბარი, თორემ თუ ვკითხავთ იმ ახალგაზრდას (და ბევრს მისთანას), რომელმაც სულ ახალხან ერთ საკმაოდ სრულ აუდიტორიაში თამამად განაცხადა, რომ წიგნს, როგორ ბექტდურ ნაწარმს (მე და ჩემი მოსწავლეებიო, თანაც) კარგა ხანია არ ვკითხულობ და დროა ვიფიქროთ ელწიგნებზეო... ცალსახად მიგვანიშნებს არა მხოლოდ კომპიუტერის, არამედ უკვე კიდევ უფრო ახალი ტექნოლოგიის უპირატესობაზე (სულ ახალხან ელწიგნების პრეზენტაციაც კი იყო ილიაუნის წიგნის მაღაზიაში!), მაგრამ კიდევ უფრო დიდ აუდიტორიებში საპირისპირო აზრებიც მოვისმინე და მშვენიერი სურათები ვიხილე, ბექტდური წიგნის უარყოფელი ახალგაზრდებზე გაცილებით უფრო ახალგაზრდებისაგან, მოსწავლეებისაგან, სტუდენტებისაგან. მათ წიგნისადმი დიდი სიყვარული, მოწინება და პატივისცემა დაგვანახეს ჩვენი ქალაქის, ჩვენი თბილისის მე-18, 25-ე, 32-ე, 41-ე, მე-19, 53-ე, 57-ე, 51-ე, 38-ე და სხვა ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო კვირეულის მიმდინარეობის დროს. ამ შემთხვევაში კი საქმე გვქონდა წიგნზე აღზრდილ და წიგნზე შეყვარებულ ახალგაზრდებთან. ამაყობდნენ ხსენებული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები: ნანა ბიაშვილი, ეთერი ქისიაშვილი, ლია უხურგუნაშვილი, ანა მაჭავარიანი, ლეილა კასრაძე, ლალი გოქაძე, მანანა საგანელიძე, ნინო ჩეკურიშვილი (ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ქალბატონი ციალა კალმახელიძე), აი, ამ ქალბატონებისა და მათი ენთუზიასტ კოლეგების დამსახურებაა ის, რომ ჩვენს ბიბლიოთეკებში თავს იყრიან მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდები, საჭირო თემებს ეძიებენ კომპიუტერებში, მაგრამ გაცილებით დიდ დროს უთმო-

ბენ წიგნებთან მუშაობას. წიგნის სიყვარულმა მიიყვანა ისინი ჩვენს ბუმბერაზ მწერალთან ვაჟა ფშაველასთან. ამ გენიოსის ფილოსოფიურ-მხატვრული აზროვნებით მოხიბლულები: ლუკა ქიტუაშვილი, გიორგი გიორგობიანი, სოფო ელერდაშვილი, მაკა აბუაშვილი და სხვები და სხვები, მოსწავლე თუ სტუდენტი ყმანვილები ვაჟას გაცნობამდე, ნაბიჯ-ნაბიჯ და მყარად შედიოდნენ წიგნიერების სამყაროში და ბოლოს, სულით ხორცამდე მომზადებულები ეახლნენ ვაჟას, სხვანაირად, მაყურებლის სულში ჩამწვდომად როგორ წარმოადგენდნენ დიდებული პოემის „ბახტრიონის“ უკვდავ გმირთა სახეებს. საგანგებოდ დასახასიათებელი და აღსანიშნავია ბიბლიოთეკართა და მკითხველთა ურთიერთობა. ამ ურთიერთობებზე ჩემეულმა მრავალჯერადმა დაკვირვებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ წიგნი ხელს უწყობს ადამიანების ურთიერთობებს, კეთილგანწყობას, აზრთა გაცვლა-გამოცვლის სურვილს, აღვივებს სიყვარულს, პატივისცემას, თანადგომას და ნებისმიერი კეთილშობილური საქმისადმი ინტერესს.

არ ვიცი როგორ გააგრძელებენ გზას წიგნებით განსწავლული, ბიბლიოთეკებზე შეყვარებული ეს ახალგაზრდები, ასეთივე გულწრფელი გრძნობით მივლენ თუ არა ელექტრო წიგნებთან, ჰპოვებენ თუ არა მათში სიტბოს, სიყვარულს და იმ ანდამატისებურ მიზიდულობას, რაც ბექტდურმა წიგნმა გაუჩინა წიგნებზე გაზრდილ თაობებს. ვინ იცის, რა მოხდება, ძნელია განჭვრეტა, ახალი ტექნიკა როგორი, რთული თუ გამარტივებული ცხოვრების წინაშე დააყენებს კაცობრიობას. დრო მირბის, უკანმოუხედავად მიისწრაფის სადღაც, მართლაც რომ სადღაც და ადამიანებს გაკვირვების გამოხატვის საშუალებას და დროსაც კი არ გვიტოვებს. თუმცა, ბევრმა ჩვენთაგანმა ნამდვილად ვიცით, რომ წიგნი იყო, არის და კვლავაც იქნება ადამიანის მეგობარი, მისი ბუნების გააადამიანურების ხელშემწყობი, იქნება ის ძალა, რომელიც წინ აღუდგება ახალი ბაბილონის ისეთ სამიშ მშენებლობას, რომელმაც, შეიძლება, თავზე დაგვამხოს ჩვენი ხელიხელ საგომანები პლანეტა. წიგნი, ნებისმიერ სხვა ჰუმანურ ტექნოლოგიებთან ერთად, მუდამ იდგება კაცობრიობის წინსვლის სადარაჯოზე. ამჟამად საქართველოს წინაშე დგას ამოცანა, მოუაროს და მიხედოს წიგნადი ფონდების მნიშვნელოვანი საგანძურით დატვირთულ ბიბლიოთეკებს, მაქსიმალურად გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიური სერვისები, შექმნას გამართული, ისეთი თანამედროვე საკატალოგო მეურნეობა და



საძიებლები, რომ ბიბლიოთეკართან ერთად მკითხველიც ადვილად გაერკვეს სასურველი წიგნის თუ ინფორმაციის მოძიებაში, რომ სწრაფად დაკვალიანდეს მოხმარებელი, რომ პროფესიის მიხედვით განათლებულმა ბიბლიოთეკარმა თავი ამაყად (ბედნიერადაც!) იგრძნოს მომხმარებელ-მკითხველის წინაშე. ყოველივე ამისათვის კომპიუტერისა და ინგლისური ენის ცოდნა როდია მთავარი. მთავარი დარგის ცოდნაა, რომლის უმისოდაც ძალიან დიდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებიან, და თუ ირგვლივ კარგად მივიხედ-მოვიხედავთ, ჩავარდნენ კიდევ თანამედროვე „პიონერები“, რომლებმაც „აღმოაჩინეს“, რომ მხოლოდ ინგლისურით და კომპიუტერით გავლენ იოლად! ნამდვილად არ მეხუმრება და არც უნდა იყოს სახუმარო დღევანდელი ქართული აზროვნების ასეთი სიმწირე. სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, დროა, დარგს მივხედოთ, ავალორძინოთ, ვასწავლოთ

მომავალ სპეციალისტებს ინგლისურიც, სხვა ევროპული ენებიც და, რაც მთავარია, ახალი ტექნოლოგიები, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, დავაუფლოთ პროფესიას, სრულყოფილად ვასწავლოთ საბიბლიოთეკო საქმე – ეს მშვენიერი და მეცნიერების ნებისმიერი დარგისთვის სასარგებლო, აუცილებელი მეცნიერებაა... და ვასწავლოთ იგი მშობლიური ენის საშუალებით, რათა მომავალში ჩვენი სამშობლოს სახელწოდება „საქართველო“ გაუგებრობას არ იწვევდეს ადამიანებში. დიახ, მავანთა საუბარ-შეძახილები კარგია, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულისთვის სახელმწიფო უნდა გაისარჯოს. იმედი მაქვს, გაირჯება კიდევაც, რადგანაც თუ არა სახელმწიფომ, სხვამ ვინ უნდა უწყოდეს კარგად, რომ უკანასკნელი ცივილიზაციების შედეგები და მიღწევები კაცობრიობას წიგნმა, წიგნის სასახლეებმა, წიგნიერებამ მოუტანა!

## პოლემიკა

### ალექსანდრე ლორია

## არაკომპეტენტურობის უღებია და მოლოდინი

გაზეთ „24 საათის“ 2011 წლის 11 მარტის ნომერში (გვ. 35) გამოქვეყნდა სოფო კილასონიას ინტერვიუ ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებთან – „ბიბლიოთეკა – ახალი კომპეტენციები და მოლოდინი“. უფრო ადრე „კვირის პალიტრაში“, ამავე ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ასევე გამოქვეყნდა ინტერვიუ თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებთან. ამ ინტერვიუს ჩვენ არ შეგვხვებით, რადგანაც აქ ვაცხადებულნი დამნაშავებლური ფაქტები არ შეგვისწავლია. მხოლოდ ვერ დავეთანხმებით მიზეზის ახსნას, რისთვისაც ხდებოდა ისინი. ჩვენი აზრით, უბრალოდ, არაკომპეტენტურ, არაკვალიფიციურ და გამოუცდელ ხელმძღვანელობას, თუ ის არასათანადო სიმალღებეც დგას, არ აწყობს სპეციალისტთა გარემოში მართოს დაწესებულება.

სოფო კილასონია ინტერვიუში რატომღაც თავისი სახელით გამოთქვამს აზრს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ძველი კადრების შეცვლა ახლით, და სავსებით იწონებს იმას, რასაც თანამშრომლები ეწინააღმდეგებიან.


ეს ნათლად მეტყველებს, რომ გაზეთ „24 საათის“ კორესპონდენტს ის კი არ აინტერესებს, რესპოდენტები რა აზრის არიან, არამედ როგორმე მოახერხოს, გაამართლოს ხელმძღვა-

ნელობა. ეს ეჭვს ბადებს: კორესპონდენტი ან ვერ არის სავსებით მონიჭული თავის საქმეში, ან რესპოდენტის მიერაა „დაქირავებული“. ამ შეხედულებას ამყარებს ისიც, რომ კორესპონდენტს აზრადაც არ მოსვლია, ხელმძღვანელების გამამტყუნებელ თანამშრომლებს გასაუბრებოდა და ეცადა ჭეშმარიტების დადგენა.

გაოცებას იწვევს მის მიერ შესავალშივე გაკეთებული განცხადება: „... ძლიერ ცოცხალია უფერული და მონყენილობის გამომწვევი განცდები მაშინ, როცა მუზეუმს ან ბიბლიოთეკას ვახსენებთ“. საკითხავია, რა „უფერულობაზე“ და „მონყენილობაზე“ ლაპარაკობს ქ-ნი სოფო? ესენი ფრიად სერიოზული დაწესებულებებია და ნეტავ რას მოელოდა? ისე კი, ვისაც ეს დაწესებულებები სერიოზულად გამოუყენებია, საუკეთესო მოგონებები აკავშირებს მათთან.

ბიბლიოთეკების მიმართ წინასწარვე ამის განცხადება გვაფიქრებინებს, რომ ყურნალისტი წინასწარგანზრახულად ეკიდება საქმეს და ცდილობს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების პოზიცია გაამყაროს. ბიბლიოთეკის დირექტორი ნათია გაბრიჩიძე გვარწმუნებს, რომ „ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი არაფერს ახალსა და განსაკუთრებულს არ გვთავაზობს“.





კრინტს არ ძრავს იმაზე, თუ რა დღეში არიან დღეს ბიბლიოთეკები, რომ „პრინციპულად დიდი ნაწილი“ უსახსროდ და უყურადღებოდაა მიტოვებული. იქნებ სწორედაც ამგვარი მდგომარეობა იმითაა გამოწვეული, რომ დღეს ჩვენს ბიბლიოთეკების ერთ ნაწილს არაპროფესიონალი და ამბიციური მოხელეები დაეპატრონენ, რომელთაც ნაკლებად აღელვებთ ბიბლიოთეკების ბედი? თაობის შეცვლის წინააღმდეგ რომელი ჭკუათმყოფელი იქნება, მაგრამ ეს ერთჯერადი პროცესი კი არა, ზედმინვენით აზომილ-ანონილი დროში განელილი მოქმედებაა. მაგრამ უარესიც ხდება: დანესებულეებიდან ხანდაზმულეებთან ერთად, ახალგაზრდა სპეციალისტებსაც მიერეკებიან, თუკი ისინი ხელმძღვანელებს ხელს უშლიან თავიანთი „გუნდის“ შექმნაში.

არ შეიძლება ჩვენი ბიბლიოთეკარების თავგამოდება არ აღვნიშნოთ, თუ როგორ უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ წიგნებს, რა გაჭირვებას უძლებდნენ. ზოგი მათგანი გაუქმებული ბიბლიოთეკის ფონდს ოჯახშიც კი ინახავდა, ბევრი მათგანი მზად იყო, უფასოდ ემუშავა, ოღონდ ბიბლიოთეკა არ გაუქმებულიყო სოფლად. სადაც სახელმწიფოებრივად მიუდგნენ ამ საქმეს, იქ ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა და კეთდება – ნერგავენ კომპიუტერულ მომსახურებას, არაერთგან შექმნილია ე.წ. „ამერიკული ბიბლიოთეკები“, მუშაობენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სწავლობენ ინგლისურ ენას, ერთვებიან სხვადასხვა პროგრამებში. დიდი ენთუზიაზმით ტარდება ჩვენში საბიბლიოთეკო კვირეულები, ბევრი რამ დაინერგა ახალი. ყოველივე ეს ასახულია ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ (მეექვსეა, ქ-ნი სოფო, საერთოდ იცნობდეს მას). საიდან და როგორ შეისწავლა მან არსებული ვითარება, ასე თამამად რომ ლაპარაკობს ბიბლიოთეკების საქმიანობის ხარისხზე? მაგრამ ამისთვის რატომ შეინუხებდა თავს „დაქირავებული“ კორესპონდენტი? მისი ამოცანაა, შეასრულოს დაკვეთა, გაამართლოს დამქირავებელი. მას სულაც არ აინტერესებს, რა ვითარებაა ბიბლიოთეკაში, რამდენად გართულებულია მკითხველის მიერ მისი გამოყენება, ამდენი ხანია, ვერ შეიქმნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ერთიანი სისტემა, არავითარი ყურადღება არ ეთმობა თანამშრომელთა ინიციატივას, ხშირად ვერ ხერხდება ბიბლიოთეკაში არსებული წიგნის პოვნა და სხვა უამრავი.

კორესპონდენტი მიიჩნევს, რომ სასწავლო ცენტრებში ბიბლიოთეკების გავლენა „ნულის“ ტოლია და მხოლოდ ილიას უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკაა ორიენტირებული რეფორმებზე. როდის შეისწავლა მან სხვა ბიბლიოთეკები? ეს აზრი არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ბევრგან კიდეც ჩატარდა სასარგებლო რეფორმა და კვლავაც მიმდინარეობს. მართალია, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ბიბლიოთეკას გარდაქმნაში, ყოველგვარ პირობებს უქმნის, მაგრამ აქ არსებული სიტუაცია ყოვლად შეუფერებელია დაჩქარებულად და კვალიფიციურად გარდაქმნისათვის, ადრე თუ გვიან, ეს თავისთავად გამოვლინდება, დროზე თუ არ იქნა ზომები მიღებული.

რაც შეეხება „ზეგავლენის მოხდენას“, რაზედაც ლაპარაკობს ჩვენი კორესპონდენტი, გაუგებარია, რას გულისხმობს. თუ მკითხველებზე ზეგავლენა იგულისხმება, საინტერესოა, რის მიხედვით ასაბუთებს, რომ ეს მონაცემი „ნულის ტოლია“? მეორეც – თუ სადმე ის „ნულის ტოლია“, სწორედ ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა სტუდენტებზე რაიმე ზეგავლენის მოსახდენად. ერთ დროს აქ ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლად ორიენტაციისათვის საკონსულტაციო-მეთოდური კრებული გამოიცა, მაგრამ უშუალოდ კიზირიას თავგამოდებით, უარყოფილ იქნა მოტივით, რომ იგი ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხებს იხილავსო. საოცარია: რას უნდა ეხებოდეს ბიბლიოთეკის გამოყენებისა და ორიენტაციისათვის განკუთვნილი ინსტრუქციულ-მეთოდური კრებული? სხვათა შორის, მასში დიდი ნაწილი ეთმობოდა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას. კიზირიას ახლავე უნდა მოაგვაროს მომავლის ბიბლიოთეკის დაარსება ისე, რომ არსებულ რეალობას არ გაეწიოს ანგარიში, თუ რას ჭირდება დღეს მომხმარებელს, რაში უნდა შეენწყოს ხელი მას, რა უნდა იცოდეს და აკეთოს ამჟამად და არა ის, თუ რას გააკეთებს ოდესმე.

დ. კიზირია 4 წლის წინ დაგვპირდა, უკეთეს სახელმძღვანელოს გამოსცემდა, მაგრამ დღემდე არაფერი ამდაგვარი არ გამოჩენილა.

საქმის სრული არცოდნაა გამომჟღავნებული დ. კიზირიას მიერ გაკეთებულ განცხადებაში: „ბიბლიოთეკები საბჭოთა წარმოდგენაში ანუ იმ მემკვიდრეობაში, რომელშიც ჩვენ ვართ, მოიაზრებოდა როგორც წიგნების საცავი, დიდად დაფასებული არ იყო და შესაბამისი იყო მოლოდინიც, ცხადია, სერვისი არ ვითარდებოდა“.

არასოდეს საბჭოთა პერიოდში ბიბლიოთეკა არ მოიაზრებოდა როგორც „საცავი“. პირიქით, ასეთი რამ იდეოლოგიურ ჩამორჩენილობად იქ-



ნებოდა მიჩნეული, რადგან ბიბლიოთეკები აქ იდეოლოგიურ დაწესებულებად მოიაზრებოდა. თვით საბჭოთა წყობის იდეოლოგი და მმართველი ლენინი აცხადებდა, რომ ბიბლიოთეკის სიამაყედ ის კი არ მიიჩნევა, რამდენი წიგნი თუ იშვიათი ხელნაწერია აქ დაცული, არამედ ის, თუ რამდენი წიგნი გაიცა, რამდენად სწრაფად ხდება წიგნების გაცემა, რამდენი ბავშვია ჩაბმული კითხვაში. საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ბიბლიოთეკები პროპაგანდის სამსახურში მდგარიყო. ცხადია, ასეთ პირობებში მას საცავად ვერ გადააქცევდი, ყველა ბიბლიოთეკა ვალდებული იყო ხალხთან ემუშავა და გაეფრცვლებინა კომუნისტური იდეოლოგია.

საერთოდ, მკითხველებთან ინდივიდუალური და დიფერენცირებული მუშაობა გააზრებული იყო როგორც პრინციპული აუცილებლობა. ბიბლიოთეკების საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად მასობრივი ღონისძიებები და საპროპაგანდო მუშაობა ითვლებოდა. რომ ბიბლიოთეკა „საცავად“ არ მიიჩნეოდა, თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ 70-იან წლებში ბიბლიოთეკების რანგებად დაყოფა არა ფონდის ოდენობით, არამედ მათი გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით დაიწყეს. სხვათა შორის, საბჭოთა კოლეგებს უცხოელი ბიბლიოთეკათმცოდნეები იმას უწუნებდნენ, რომ გადამეტებულ ყურადღებას უთმობდნენ მკითხველთა მომსახურებას, ვიდრე ტექნიკურ აღჭურვილობას, რასაც „კითხვის ხელმძღვანელობას“ უწოდებდნენ.

ყოვლად მცდარია ის მოსაზრებაც, თითქოს ჩვენს ბიბლიოთეკებში „სერვისი“ არ ვითარდებოდა“. თუ საბიბლიოთეკო საქმეს ვიცნობთ, თვალის ერთი გადავლებით შევამჩნევთ, რომ დრო და ჟამის შესაბამისად, ყოველთვის ვითარდებოდა მომსახურება. ამის ნათელი მაგალითია სხვადასხვა დროს ისეთი ფორმებისა და მეთოდების შემოღება, როგორც იყო: წიგნდამტარებლობა, მოძრავი ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა-ტრანსპორტი; დაუსწრებელი, ბიბლიოთეკათმორისი, ფუნქციონალური, ჯგუფური, კოლექტიური და საოჯახო აბონემენტები, ფონდთან თავისუფალი დაშვება; ოჯახების შემოვლა, მკითხველთა შესწავლა, მკითხველთა მოზიდვა ბიბლიოთეკაში, საბიბლიოთეკო საბჭოები, ინტერესთა კლუბები, ახალ-ახალი სახის მასობრივი ღონისძიებები; ცენტრალიზაციის შემოღება ხომ იყო აქტიური ცდა, სწორედ მომსახურება გაუმჯობესებულიყო. კიბირია სერვისის გაუმჯობესებას მხოლოდ ტექნიკის გამოყენებაში გულისხმობს, და ამაშიც არ არის

სწორი. სხვათა შორის, სამხედრო უწყების შემდეგ, ელექტრო-გამომთვლელი მანქანები უპირველესად სწორედ ბიბლიოთეკებში იყო გამოყენებული.

ჩვენ არ გამოვედევნებთ კიბირიას მიერ გამოთქმულ ბუნდოვან და გაუგებარ გამონათქვამებს, შეუსაბამო ტერმინებს, მხოლოდ ერთს დავძენთ: მას ალბათ ჰგონია ზოგჯერ, რომ ახალსა და ორიგინალურ აზრებს ავრცელებს; მაგალითად, ცდილობს გვასწავლოს, როგორი უნდა იყოს ბიბლიოთეკარი. ცხადია, არ იცის, რომ ყველაფერი, რასაც ამბობს, ყველასთვის სავსებით ცნობილია, ბიბლიოთეკარის პროფესიოგრამას დიდი ხანია, რაც ასწავლიდნენ სტუდენტებს. სწორედ მისი გათვალისწინებით ხდებოდა ბიბლიოთეკარის მომზადება.

დ. კიბირია არა მარტო ხელმძღვანელის, საერთოდ, უბრალო ინტელიგენტისათვის სავსებით შეუფერებლად აცხადებს: „საბჭოთა პერიოდიდან არსებობს შეხედულება, რომ ბიბლიოთეკარი ყველაზე უუნარო ადამიანია, რომელიც სხვაგან ვერაფერს გააკეთებს“.

სად გაიგონა ან საიდან ამოიკითხა ასეთი მოსაზრება? ასეთი სტერეოტიპი არასოდეს ყოფილა. შეიძლება ვიღაც ობივატელს მიაჩნდა ასე, თორემ განათლებული კაცისათვის ასეთი რამ წარმოუდგენელია. პირიქით კი ბევრი თქმულა და დანერგა (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, იოსებ გრიშაშვილი, ვახტანგ ბერიძე და სხვანი მრავალნი), ზოგი მათგანი ერთ დროს თვითონ იყო ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

ირონიულ ღიმილს იწვევს ნათია გაბრიჩიძის გამონათქვამი: ბიბლიოთეკარი არა მარტო წიგნს უნდა სთავაზობდეს მომხმარებელს, არამედ „რჩევასაც“ უნდა აძლევდესო. ტრივიალურად ქცეული ეს მოსაზრება, ყველა დამწყებმა სპეციალისტმა ზეპირად იცოდა. ეს ხომ საბჭოთა საბიბლიოთეკო საქმის პრინციპად იყოს აღიარებული ჯერ კიდევ ნ. კრუპსკაიას მიერ. ქალბატონი ნათია კი ისე გვეუბნება ამას, თითქოს მის მიერ ახალი აღმოჩენილი დებულება იყოს, მაგრამ რასაც ამას მოაყოლებს, ხომ ნამდვილი აბსურდია: „პროფესიული კომპეტენცია, – აცხადებს ის, – საბიბლიოთეკო საქმეში არ არსებობსო“. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, – საბიბლიოთეკო საქმეს პროფესიონალობა არ ჭირდება. ეს უკვე, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ზოგადი მენეჯმენტის სრული უცოდინარობაა.

ბოლოს, ქ-ნ ნათია, ნებისთ თუ უნებლიეთ, ისეთ რამეს ამბობს, რაც ერთხელ კიდევ



ადასტურებს, რამდენად არ აწყობს მას და მის „გუნდს“ პროფესიონალები. აი, რას წერს: „საბიბლიოთეკო სკოლა იყო ერთგან, ყოფილ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში, მაგრამ გამოცდილება, რომელსაც ის სკოლა გასცემდა, დღეს გამოუსადეგარია. ჩვენ გვერჩია სხვა სფეროში გამოცდილი და გარკვეული უნარის მქონე ადამიანები აგვეყვანა, ვიდრე ისინი, რომელთაც 50 წლის წინანდელი გამოცდილების შესახებ აქვთ ცოდნა“.

გარდა იმისა, რომ ქ-ნი დირექტორი ამით ადასტურებს, რომ წინდანიწვე ჰქონდა განზრახული ძველი კადრების „ჩაჩეხვა“. გასარკვევია, საიდან ასკვნის, რომ დასახელებული სკოლა თურმე ისეთ ცოდნას აძლევდა მსმენელებს, რომელიც დღეს გამოუსადეგარია? ნუთუ გაბრიჩიძე გაეცნო სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, გააანალიზა, ხდებოდა თუ არა მათში ცვლილებები.

გვინდა შევახსენოთ ქ-ნ ნათიას, რომ მის მიერ ნახსენები „სკოლა“ სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტი თავისი კათედრითა და დეკანატით; მეორეც – ის სულაც არ იყო „ერთგან“, – არსებობდა ე. თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა ამისა, იყო კულტურის სასწავლებლები თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. რაც შეეხება გაბრიჩიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას „50 წლის წინათ მიღებულ ცოდნაზე“, ძნელი წარმოსადგენია, ამას სერიოზული, განათლებული ადამიანი ამბობდეს. წლებს ადამიანის „სიმდიდრეს“ უწოდებენ. განა ერთხელ მიღებულ ცოდნაზე ჩერდება ადამიანი? არ ვითარდება? ასე რომ იყოს, ყოველი ადამიანი ყოველ ახალ წელს სულ უფრო და უფრო უნდა ჩამორჩებოდეს და ჩამორჩებოდეს. ვინც ცხოვრებას იცნობს, ასე ვერ იფიქრებს.

განა შეიძლება ადამიანის ჩამორჩენის საბუთად ხანგრძლივი წლების განმავლობაში მიღებული ცოდნა ჩაითვალოს? თუ შეფასებაა – შეფასება ხდება არა იმით, როდის რა ცოდნაა მიღებული, არამედ გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით, რაც ამჟამად არის მისთვის დამახასიათებელი.

რაც შეეხება კიზირიას, გვინდა შევახსენოთ: ადრინდელ ინტერვიუში ის აცხადებს, რომ „საამაყო“ მიაჩნია ის საქმეები, რომლებიც ბიბლიოთეკაში გაკეთდა. გვინდა ვიკითხოთ: ვინ გააკეთა ეს „საამაყო“ საქმეები? ეს ყველაფერი ხომ იმ ხალხის გაკეთებულია, ვინც „უუნაროდ“ მიაჩნია კიზირიას? თუ ასეა, რაღას ერჩის ამ

„საამაყო“ საქმის გამკეთებელ ხალხს?

სინამდვილეში საამაყო აქ არაფერია, ეს თვითკმაყოფილების შედეგია, თუმცა ამ ბიბლიოთეკაში რომ გონივრულად, პროფესიულად მიდგომოდნენ საქმეს, საამაყო მართლაც ბევრი ექნებოდათ, ბევრ რამეს ზედმეტად არ გააკეთებდნენ, უამრავ დროს უნაყოფო შრომაზე არ დახარჯავდნენ და ბევრ სასიკეთოს წყალში არ ჩაყრიდნენ.

ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თეა თოიძე კვერს უკრავს კიზირიას, და საკუთარ თავში დარწმუნებული აცხადებს: „... ბიბლიოთეკარი უნდა იყოს კვლევითი უნარ-ჩვევების მქონე ადამიანი, რადგან თუ აქამდე მხოლოდ წიგნის გაცემა და მიღება იყო მოვალეობა, დღეს მან უნდა შეძლოს მარტივი ბიბლიოგრაფიული კვლევის ჩატარება“. მისი აზრით, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ბიბლიოთეკარი დაეხმაროს სტუდენტს, დაწეროს რეფერატი. (ისევე „წიგნების გაცემა-მიღების მოვალეობის“ მცდარი თეორიის აკვიატება!).

უნდა მოვახსენოთ მას, რომ ჩვენი ბიბლიოთეკარები, პატარა თუ დიდ ბიბლიოთეკებში, ყოველთვის ახერხებდნენ არამც თუ მარტივი, საკმაოდ რთული ბიბლიოგრაფიული ცნობების გაცემას, ზოგ ბიბლიოთეკაში სპეციალური განყოფილებაც არსებობდა საამისოდ. ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ პროფესიონალებს, და არა მათ, რომლებსაც ჰგონიათ, ბიბლიოთეკარს კვალიფიციური ცოდნა არ სჭირდება. ისე, საკითხავია, თეა თოიძე, როგორც ბიბლიოთეკარი, ფლობს კვლევა-ძიების უნარს? იქნებ კი, ოღონდ ჩვენ არ ვიცნობთ მის თეორიულ პროდუქციას ბიბლიოთეკამცოდნეობა-ინფორმატიკის დარგში.

რაკი კადრების მომზადების საკითხსაც გადაჰკრეს პატივცემულმა რესპოდენტებმა, მინდა ორიოდ სიტყვა ამასთან დაკავშირებითაც ვთქვათ.

ცნობილია, რომ კათედრა და დეკანატი მუდამ მიმართული იყო სიახლეთა დასაწერად, მუდმივად ახლდებოდა სასწავლო გეგმები, ითარგმნებოდა და ინერებოდა ორიგინალური შრომები, ქვეყნდებოდა მეთოდური წერილები, იმართებოდა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები, თეზისები და ანგარიშები, ყველა პედაგოგი ვალდებული იყო წელიწადში ერთხელ მაინც წარმოედგინა ნაშრომი განსახილველად. ლექტორები გეგმიურად იგზავნებოდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინასა თუ ბალტიისპირეთში, ჩვენმა წარმომადგენელმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა „იფლას“ კონგ-



რესში ამერიკა-კანადასა და დასავლეთ გერმანიაში. 60-იან წლებში დაარსდა ინფორმატიკის კათედრა, რომელთანაც ინტეგრირებულად მუშაობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა. ამუშავდა ელექტროგამომთვლელი მანქანა, რომელსაც იყენებდნენ საბიბლიოთეკო პროცესებისათვის. კათედრა პროპაგანდას ეწეოდა ბიბლიოთეკებში ახალი ტექნოლოგიების დასაწვდომად; მოქმედებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე. ბევრმა სტუდენტმა საინსტიტუტო თუ რესპუბლიკური ჯილდო დაიმსახურა. დაცულ იქნა რამდენიმე დისერტაცია, მათ შორის ფაკულტეტდამთავრებული სტუდენტების მიერაც, ენერგიულად მოქმედებდა ასპირანტურა.

როცა სპეციალობა რეორგანიზებულ იქნა 5-წლიანად, შემოდებულ იქნა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სწავლება უცხო ენის სპეციალიზაციით, გაძლიერდა უცხო ენების შესწავლა, დაემატა საგნები: კომპიუტერული პრაქტიკა, კომპიუტერული ევრისტიკა, ინფორმატიკის საფუძვლები, ხოლო „საბიბლიოთეკო ტექნიკის საშუალებებს“ ადრეც გადიოდნენ ფაკულტეტზე; მონვეული იყვნენ ცნობილი სპეციალისტები. სტუდენტები შეხვედრებს უწყობდნენ სხვადასხვა მისიით ჩამოსულ უცხოელ სპეციალისტებს. ყოველივე ეს დოკუმენტურადაა ასახული ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“. სტუდენტები ოთხჯერად პრაქტიკას გადიოდნენ საქართველოს ბიბლიოთეკებში, ორი მათგანი გერმანიაშიც კი იქნა გაგზავნილი სტაჟირებაზე.

შეიძლება ამას 50 წლის წინანდელ ცოდნაზე შეჩერება ეწოდოს? მართალია, იყო ნაკლი, რაც, საერთოდ, ჩვენს სასწავლო სისტემას გააჩნდა, მაგრამ ყველაფერი უკიდურესი შესაძლებლობის ზღვარზე კეთდებოდა და ფაკულტეტი ფეხდაფეხ მისდევდა ცხოვრებისეულ სიახლეებს. რაც საერთო ნაკლი იყო, იმას, ვერავინ გაექცეოდა. ვეჭვობ, თ.გაბრიჩიძე და დ. კიზირია დარჩნენ გამონაკლისად, განზე გადგნენ და ცხოვრებისეულ დინებას არ გაჰყვნენ, ჰოდა, ახლა სხვებს უკიჟინებენ 50 წლიან ჩამორჩენილობასა და „უუნარობას“.

საერთოდ, ცუდია, როდესაც ადამიანი საქმის შეუსწავლელად აკეთებს დასკვნებს, კიდევ უფრო ცუდია, როდესაც არ იცის და ჰგონია იცის. ერთიც არის: ხელმძღვანელს არა მარტო მენეჯმენტის ცოდნა, არამედ კორექტულობაც მოეთხოვება.

### სარედაქციო შენიშვნა:

რედაქცია ფიქრობდა, საერთოდ, არ გაეცა პასუხი ყოვლად უნიადაგო და უსაფუძვლო გამობტომისათვის, მაგრამ ბიბლიოთეკართა დიდმა ჯგუფმა დაგვაგალა, უსათუოდ გვეთქვა ჩვენი სიტყვა, რამდენადაც ჩვენი ჟურნალი დარგის მემატიანესაც წარმოადგენს. საბიბლიოთეკო საქმის ისტორია, რომლის მასალები უხვად არის გამოცემული, უარეს ფაქტსაც არაერთს იცნობს. დაე, ესეც დარჩეს მომავლისათვის, რომ მომდევნო თაობა გაეცნოს მას და სწორი ანალიზი გააკეთოს, რა და ვინ უშლიდა ხელს სპეციალობის განვითარებას.

## ჩვენი დიდი წინაპრები

ვაჟა-ფშაველა - 150

### მანია მიქაპერიძე


## ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა უსხონოვანი გამოცემები

### ნერილი 1: ვაჟა-ფშაველას თარგმანების რუსულენოვანი გამოცემები

ვაჟა-ფშაველამ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მისი ნაწარმოებების თარგმნა მე-19 საუკუნეშივე განხორციელდა. თუმცა, პოეტის სიცოცხლეში, 1915 წლამდე, მხოლოდ რამდენიმე მცირე ზომის თარგმანი გამოქვეყნდა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, ფშავური დიალექტი, მთიელთა ყოფის ამსახველი შინაარსობრივი სივრცე და

აზრის გამოხატვის მხატვრული ხერხების სიმრავლე თავდაპირველად, როგორც ჩანს, ერთგვარ ბარიერს ქმნიდა მთარგმნელთათვის. დროთა განმავლობაში პოეტის შემოქმედებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა. თვალსაჩინო გახდა ვაჟა-ფშაველას ნააზრევის სიღრმე, რომელიც არ ეტეოდა ერთი პატარა ქვეყნის ფარგლებში, რის გამოც პოეტის შემოქმედების თარგმნის პროცესი გააქტიურდა.





დღეისათვის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. პოეტის ნაწარმოებები მის სიცოცხლეშიც და მომდევნო ათწლეულებშიც ყველაზე მეტი რაოდენობით რუსულ ენაზე ითარგმნა.

პირველი რუსული თარგმანი შესრულდა 1897 წელს, როცა კრებულში „Кавказская жизнь“ (ნიგ. 2) დაიბეჭდა „სოფლის სურათები: სოფელი; თავადი ფშატაძე; პარუნ ხეჩო“ (მთარგმნელი ა. ნიკიტინი). ორი წლის შემდეგ, 1899 წელს, ჟურნალში „Вестник иностранной литературы“, № 3 გამოქვეყნდა ვ. ლებედევის მიერ თარგმნილი ნაწყვეტი პოემა „ბახტრიონიდან“. ამავე წელს გაზეთ „Тифлисский листок“-ის ილუსტრირებულ დამატებაში დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას „სიმღერა“ (მთარგმნელი: ივან-და-მარია).

ინტერესი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. 1901 წელს თბილისში გამოცემულ რუსულ გაზეთ „Новое обозрение“-ს 5720-ე და 5787-ე ნომერებში ზედიზედ გამოქვეყნდა მოთხრობების – „მთის წყარო“ (მთარგ.: ივ. პოლუმორდვინოვი) და „ქუჩის“ (მთარგ.: დომინო) რუსული თარგმანები, ხოლო 1907 წელს ჟურნალ „Огни“-ს მე-2 ნომერში დაიბეჭდა „წყარო“ (მთარგ.: პ.ნ.).

რუსულენოვანი მკითხველი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას შედარებით ვრცლად გაეცნო ა. ხახანაშვილის წიგნში: „Очерки по истории грузинской словесности. Литература XX века“, რომელიც მოსკოვში გამოიცა 1906 წელს. მასში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიმოხილვასთან ერთად, შევიდა შემდეგი ნაწარმოებები: „ხმა სამარიდამ“; „ირიჟრიბანდა ცისკარმა“ (ნაწყვეტი „ბახტრიონიდან“); „დღემ დაიხურა პირბადე...“ (ნაწყვეტი „ბახტრიონიდან“); „სადა ხარ, ჩემო არწივო?“, „ბედის მომლოდინე უბედოდ დავრჩი“. მთარგმნელები იყვნენ: ივან-და-მარია, ნ. ბოგომოლოვი და ვ. ლევედოვი.

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვაჟა-ფშაველასათვის, რადგან რუსეთის იმპერიის ცენტრში რუსულენოვან საზოგადოებას საშუალება ეძლეოდა გასცნობოდა ქართველი პოეტის შემოქმედების თუნდაც მცირე ნაწილს.

მოსკოვში დაიბეჭდა აგრეთვე ვაჟა-ფშაველას ლექსი „მწყემსის სიმღერა“,

რომელიც ს. ვ. ამირეჯიბმა თარგმნა რუსულ ენაზე და 1909 წელს გამოაქვეყნა თავის წიგნში „Сборник стихотворений грузинских поэтов в русском переводе“.


პოეტის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1914 წელს, სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ კრებულში: „Восточный сборник в честь А.Н. Веселовского“ და-

იბეჭდა ს. ნადიბაიძის მიერ თარგმნილი მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“. იმავე წელს თბილისში გამოქვეყნდა ნ. რეულოს წიგნი „Из грузинских поэтов“, რომელშიც შევიდა ვაჟა-ფშაველას შვიდი ლექსი.


ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში მისი ნაწარმოებები ითარგმნა აგრეთვე სომხურ ენაზეც. სომხურ საბავშვო ჟურნალში „ალბიურ“ (წყარო“) დაიბეჭდა მოთხრობა „ირემი“, რომელიც თარგმნა დავით ტერ-დავითიანმა. 1909 წელს კი აღმანახ „გალარვესტის“ მესამე წიგნში დაიბეჭდა ლაზაროს კარაპეტციანის მიერ

თარგმნილი ვაჟას მოთხრობა „მთის წყარო“.

გერმანულ ენაზე ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები პირველად თარგმნა არტურ ლაისტმა, ქართველი ერის დიდმა მეგობარმა, ქართველ ხალხზე და ქართულ კულტურაზე უზომოდ შეყვარებულმა ადამიანმა. იგი წერდა: ვაჟას შთამაგონებელი იყო ბუნება მშობელი ფშავეთისა, რომელსაც პოეტი ეკუთვნოდა სულითა და ხორციით. ცხოვრება ამ ბუნებისა, მისი სიტურფე და სიმკაცრე იყო მდიდარი ქარგა ვაჟას პოეზიისა, ფშავეთის ცხოვრება და წარსული იყო სული მისი პოეზიისა („საქართველოს







გული“, 1963, გვ. 75). 1900 წელს ქალაქ ლაიპციგში გამოიცა კრებული სახელწოდებით „Das Georgische Volk“, რომელშიც შევიდა ლექსი „არავს“. არტურ ლაისტის თქმით, ვაჟას პოეზიამ ევროპაში აღტაცება გამოიწვია.

ვაჟა-ფშაველას მიმართ დიდ ინტერესზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ პოეტის სიცოცხლეშივე, 1910 წელს, მისი ნაწარმოები „მთის წყარო“ ითარგმნა ესპერანტოს ენაზე და გამოქვეყნდა ჟურნალში „Pola Esperantista,“ № 6-7. თარგმანი შესრულა გ. ბაქრაძემ, რომელმაც მოგვიანებით ესპერანტოზე თარგმნა აგრეთვე „ჩხიკვთა ქორწილი“ და ანტონ გრაშკოვის მიერ თარგმნილ ლექსებთან ერთად 1927 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „Esperanto Praktiko“.

უცხო ენაზე ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების პირველი დამოუკიდებელი გამოცემა შესრულდა 1934 წელს თბილისში. ეს იყო ბორის პასტერნაკის მიერ თარგმნილი პოემა „გველის-მჭამელი“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „ზაკკნიგამ“ ქართული ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიით. წიგნი მცირე ფორმატისაა, მაგარი ყდით, მომწვანო ფერის ყდაზე ოქროსფერი ასოებით გამოსახულია პოემის სათაური და ქართული ფარ-ხმალი. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ს. ნადარეიშვილს.

1935 წელს, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას რუსულად თარგმნილი ნაწარმოებები. ამავე წელს მოსკოვში ცალკე წიგნის სახით გამოვიდა მისი პოემები (Поэмы / ред. В. Гольцев и Т. Табидзе), რომელშიც შევიდა სამი პოემა: „გოგოთურ და აფშინა“ (მთარგ. ო მანდელშტამი), „სტუმარ-მასპინძელი“ (მთარგ. ს. სპასკი) და „გველის მჭამელი“ (მთარგ. ბ. პას-

ტერნაკი). ეს არის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების პირველი დამოუკიდებელი გამოცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ.


ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პოპულარიზაციის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემა განხორციელდა 1939 წელს, როდესაც თბილისში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ რუსულ ენაზე გამოსცა პოეტის რჩეული თხზულებები („Избранные произведения“). მასში შევიდა ვაჟა-ფშაველას რჩეული ლექსები, პოემები და მოთხრობები.

წინასიტყვაობა ეკუთვნოდა გერონტიი ქიქოძეს. მასში მიმოხილული იყო ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ეტაპები. წიგნი დაიბეჭდა 10000 ტირაჟით.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, მიუხედავად მძიმე სოციალ-პოლიტიკურ ვითარებისა, „ქართული მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით თბილისში რუსულ ენაზე ზედიზედ დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ცალკეული ნაწარმოებები: „დიდებული საჩუქარი“ (მოთხრობები (1941), „ბახტრიონი“ (1943), „ძალიკა ხიმიკაური“ (1943), „მოხუცის ნაამბობი“ (1943), „კოპალა“ (1945).

ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ, 1947 წელს, მოსკოვში გამომცემლობა «Художественная

литература»-მ ვ. გოლცევისა და ს. ჩიქოვანის რედაქციით გამოსცა ვაჟა-ფშაველას პოემები. წიგნს ახლავს ალ. აბაშელის კომენტარები და შენიშვნები. ეს არის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული წიგნი-ალბომი, ფორმატით 20X28 სმ-ზე. ილუსტრაციები, რომლებიც ეკუთვნის მხატვარ თამარ აბაკელიას, დანართის სახით მოთავსებულია ცალკე ფურცლებზე. წიგნს აკრავს ქართული ორნამენტებით მოხატული სუპერკანი და ერთვის სანიშ-





ნი ლენტი. ეს სასაჩუქრე გამოცემა დაიბეჭდა 10000 ტირაჟით და ღირდა 20 მანეთი, რაც იმ დროისათვის მაღალ ფასად ითვლებოდა.

ქვეყნისათვის ასეთი დამანგრეველი ომის დამთავრებიდან ორ წელიწადში ვაჟა-ფშაველას პოემების ძვირადღირებული წიგნის გამოცემა მიუთითებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველი პოეტის შემოქმედებისადმი გაზრდილ ინტერესზე.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების ყველაზე სრული არაქართულენოვანი გამოცემა განხორციელდა 1958 წელს, როდესაც მოსკოვში რუსულ ენაზე დაიბეჭდა მისი თხზულებანი ორ ტომად. პირველ ტომში შევიდა ლექსები და მოთხრობები, მეორე ტომში კი – პოემები.

ვაჟა-ფშაველას დაბადებისა და გარდაცვალების საიუბილეო წლებში, როგორც წესი, იზრდებოდა მისი ნაწარმოებების გამოცემები როგორც ქართულ, ასევე არაქართულ ენებზე. 1961 წელს, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავი აღინიშნა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. თბილისში გამოვიდა პოეტის თხზულებათა ორტომეული რუსულ ენაზე. ეს იყო აკადემიური გამოცემა მთელი თავისი ატრიბუტიკით. მხატვრული ნაწარმოებების გარდა, მასში შევიდა პოეტის პუბლიცისტიკა და პირადი წერილები. გამოცემას დართული აქვს შენიშვნები და განმარტებითი ლექსიკონი.

1985 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოიცა ვაჟა-ფშაველას რჩეული პროზა, ხოლო მოსკოვში – ლექსებისა და პოემების კრებული, სერიით „კლასიკოსები და თანამედროვეები“ (200000–იანი ტირაჟით). ეს ორი წიგნი აღმოჩნდა ჯერჯერობით ბოლო, მოცულობის მხრივ,

ყველაზე დიდი გამოცემები რუსულ ენაზე, რომელთა შესახებაც მოგვეპოვება ინფორმაცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები რუსეთში ცალკე წიგნად არ გამოცემულა. პოეტის თხზულებების რუსული თარგმანები შევიდა ო. მანდელშტამის (О. Манделштам. Собрание сочинений. Т. 1, 1991), მ. ცვეტაევისა (М. Цветаева. Собрание сочинений. Т. П. 1997) და ნ. ზაბოლოცკის (Н. Заболоцкий. Поэтические переводы в 3-х томах. 2004) კრებულებში, რომლებიც გამოსცა მოსკოვის გამომცემლობა „Терра“-მ.



რუსულ ენაზე განხორციელებული გამოცემების ქრონოლოგიური ნუსხა: Змеед – Тб., 1934 Поэмы – М., 1935; Избранные произведения – Тб., 1939; Чудесный дар. Рассказы – Тб., 1941; Бахтриони – Тб., 1943; Дзаглика Химикаури – Тб., 1943; Рассказ старика – Тб., 1943; Копала – Тб., 1945; Поэмы – М.-Л., 1947; Поэмы – Тб., 1951; Поэмы – М., 1953; Стихотворения и поэмы – Л., 1957; Горный родник – М., 1958; сочинения в 2-х томах – М., 1958; Избранное: Проза. Драматургия. Статьи – Тб., 1959; Стихи,

поэмы – М., 1960; Избранные произведения в 2-х томах – Тб., 1961; Восходит, светает – Тб., 1966; Думы маленького пастушка – Тб., 1966; Свадьба соек – Тб., 1968; Стихотворения и поэмы. – Л., 1969; Избранная проза – Тб., 1985; Стихотворения и поэмы. – М., 1985; Рассказ касуленка – Тб., 1986; Рассказ касуленка – Тб., 1988; Рассказ касуленка: книжка-раскраска. – Тб., 1989; Свадьба соек: книжка-раскраска – Тб., 1989.



## ღირსეულთა კორტრეტები

### ლია საღრაძე

ლესია უკრაინკას მუზეუმის დირექტორი

## ლესია უკრაინკას მუზეუმი

ლესია უკრაინკა - 140

სურამი – საქართველოს ერთ–ერთი ულამაზესი კუთხე განსაკუთრებით ძვირფასია უკრაინელებისთვის, რადგან პირდაპირ კავშირშია ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. სწორედ აქ გარდავიდა იგი მარადისობაში და გარდაისახა თამარ აბაკელიას მშვენიერ ქმნილებაში.

1952 წლის 3 აგვისტოს გიორგი ლეონიძის ინიციატივით სურამში გაიხსნა ლესია უკრაინკას მუზეუმი და აღიმართა პოეტის ბრინჯაოს ძეგლი.

გრანდიოზულად აღნიშნა ქართველმა ხალხმა მუზეუმის გახსნა, შესრულდა „სიმღერა ლესია უკრაინკაზე“, რომლის ტექსტიც პოეტ სანდრო ეულს ეკუთვნის, მუსიკის ავტორი კი მერი დავითაშვილია. გუნდის ხელმძღვანელი – სურამის მკვიდრი ლოტბარი სოლომონ იაშვილი იყო. სტუმართა რიგებში იყვნენ დიმიტრი კოსარიკი (რომელმაც აღმოაჩინა დ. გურამიშვილის საფლავი მირგოროდში), ზაბაშტა, გიორგი ლეონიძე, ლევან ასათიანი, ნატო ვაჩნაძე, თამარ აბაკელია, ირაკლი აბაშიძე და სხვა არა ერთი გამოჩენილი პიროვნება.

იმ დროს უკრაინაში – მირგოროდში თავი მოიყარეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რათა სათანადო პატივი მიეგოთ ქართველი პოეტის – დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი.

მძიმე სენით შეპყრობილმა უკრაინელმა პოეტმა სიცოცხლის ბოლო ათი წელი პერიოდულად გაატარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულმა მას ათქმევინა სიტყვები: „მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ქართველობას ვისურვებდიო“. საქართველოთი მოხიბლული პოეტი შემოქმედებით შთაგონებას აქ იღებდა. „აქ პოეზიას ძებნა არ უნდა, თვით გარტყია გარ-

სო“, – წერდა იგი.

დავითისა და ლესიას ისტორიულმა ბედმა სა–მუდამოდ დაუკავშირა ერთმანეთს უკრაინული და ქართული მიწა.

90–იანი წლები მეტად მძიმე აღმოჩნდა მთელი საქართველოსთვის. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა. მიუხედავად ამისა, მუზეუმს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. შეუძლებელია ყველა იმ ადამიანის ჩამოთვლა, ვინც მუზეუმში მოსულმა, თავისი სულის ნაწილი დაგვიტოვა იმ კეთილი სიტყვებით, რომლებიც მიმართული იყო უკრაინელი ხალხის საამაყო შვილის მიმართ და ქართველი ხალხისადმი, რომელიც ასე სათუთად ინახავს მის სახელს. როცა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა, აღდგა დროებით შეჩერებული „ლესიაობის“ დღესასწაული.

განახლდა ნოვოგრად–ვოლინსკთან და სურამს შორის დელეგაციის გაცვლის ტრადიცია. „ლესიაობა“, როგორც ქართველი და უკრაინელი ხალხის სახალხო დღესასწაული, ის დღესაც გრძელდება. გაღრმავდა საელჩოსა და მუზეუმს შორის ურთიერთობაც. ყოფილმა ელჩმა მიკოლა სპისმა მუზეუმს ახალი ფოტოგამოფენა უსახსოვრა.

2011 წლის 25 თებერვალს უკრაინელი ხალხის საამაყო შვილს, პოეტ ლესია უკრაინკას დაბადებიდან 140 წელი შეუსრულდა. დიდი ზეიმით აღნიშნა უკრაინის საელჩომ ლესია უკრაინკას საიუბილეო კვირეული.

ეროვნულ არქივში მოეწყო გამოფენა „ლესია უკრაინკა და საქართველო“, სადაც მიწვეული იყო მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები – სხვადასხვა ქვეყნის სრულუფლებიანი ელჩები, მინისტრები, უკრაინული ლიტერატურის







მკვლევარი პრ. ოთარ ბაქანიძე, სტუმართა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავყანს სცემდნენ ლესია უკრაინკას პოეზიას.

უკრაინის საკონსულოს საინფორმაციო ცენტრში გაიმართა კონფერენცია, მიძღვნილი ლესია უკრაინკას დაბადების 140 წლისთავთან დაკავშირებით. კონფერენცია გახსნა უკრაინის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ვასილ ციბენკომ. გაიმართა ტელეხიდი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კიევის გიმნაზიამ, კიევის 117-ე, ნოვოგრად-ვოლინსკის სკოლა „კოლეგიუმი“-ს, სურამის მე-3 საჯარო სკოლის, მ. გრუშევსკის სახ. ქართულ-უკრაინული 41-ე საჯარო სკოლის მოსწავლე-პედაგოგებმა.

უკრაინელ მეგობრებს ტელეხიდით მიესალმა საქართველოში ლესია უკრაინკას საზოგადოების თავმჯდომარე ტარიელ გოგოლაძე, სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმის დირექტორი ლია სადრაძე, სურამის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი თამარ ჯობაძე, თბილისის გრუშევსკის სახელობის ქართულ-უკრაინული 41-ე სკოლის დირექტორი განა მატვიევა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლესიას ლექსები და პოემები ქართულ-უკრაინულ ენებზე. დასკვნითი კონცერტი გაიმართა ვასო აბაშიძის სახ. მუსიკალურ თეატრში, სადაც ჩატარდა სალიტერატურო-მუსიკალური საღამო.

საღამო წაიყვანა ქართულ-უკრაინული სკოლის პედაგოგმა ელენე კურტანიძემ და ანატოლი ლობოვმა. საოცარი სამსახიობო ნიჭი გამოამჟღავნა მე-12 კლასის მოსწავლემ დიანა აბაჟიანმა, რომელმაც განასახიერა ლესია უკრაინკას როლი.



საიუბილეო კვირული დასრულდა სურამში, ლესია უკრაინკას მუზეუმის მონახულებით. გვირგვინებით შეამკეს პოეტის ძეგლი, დელეგაციის წევრთა შორის იყო უკრაინის ელჩი ვასილ ციბენკო, მარინა ერმაკოვა, ვალერი მარჩენკო, ოლეგ პაჩკო, უკრაინის რა-



დას დეპუტატები: ანდრეი შკილი, ივან ზაიცი, ოლეგ ზარუბინსკი, უკრაინული დიასპორა, ანსამბლი „ჩერნობრივცი“ (ხელმძღვანელი ტანია ჩოგოლაშვილი), ანსამბლი „სმერეკა“ (ხელმძღვანელი ვალოდია დიაჩენკო).

ვასილ ციბენკომ, უკრაინის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში განაცხადა: „ცენტრი ყველაფრისა, რაც ლესია უკრაინკას სახელთანაა დაკავშირებული, ყოველთვის იყო, არის და იქნება სურამი. ეს არის კერა უკრაინელი და ქართველი ერის მეგობრობისა. სიმბოლოურია, რომ პირველი ამომავალი მზის სხივი ნოვოგრად-ვოლინსკში იხილა ლესიამ. ბოლო, ჩამავალი კი – სურამში. ბევრი პარალელის გავლენა შეიძლება, უკრაინაში ცხოვრობდა დავით გურამიშვილი და იქ გარდაიცვალა. იქაა მისი სახლ-მუზეუმი, რომელსაც უამრავი ქართველი სტუმრობს ყოველწლიურად. ლესია უკრაინკა და დავით გურამიშვილი არიან კაშკაშა სიმბოლოები ამ ურღვევი ურთიერთობისა“.

ვასილ ციბენკომ მუზეუმს საჩუქრად გადასცა თამარ აბაკელიას ძეგლის ესკიზი, რომელიც საელჩომ შეიძინა მუზეუმისთვის, privatbank-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ოლეგ ლუჩკომ მუზეუმს კომპიუტერი უსახსოვრა.

მუზეუმი სტუმრებს ღირსეულად დახვდა რაიონის ხელმძღვანელობის თანადგომით.



მიმდინარე წელს შესრულდა მწერალ პარმენ ლორიას დაბადებიდან 115 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ პროფ. იური სიხარულიძის წერილს, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის მიერ პარმენ ლორიასათვის გაგზავნილ წერილს ეხება.

## იური სიხარულიძე

# გალაკტიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან

(ბარათი პარმენ ლორიას)

გამოჩენილი ქართველი მწერლის პარმენ ლორიას პირად არქივში უძვირფასეს რელიქვიად აღიქმება დიდი გალაკტიონის ერთი ბარათი, რომელიც 1940 წლის მარტითაა დათარიღებული.

გალაკტიონის ეპისტოლარული სკივრი მრავალი უნიკალური ბარათითაა სავსე. ამ ბარათთა შორის პ. ლორიასადმი გაგზავნილი წერილიც ბრწყინავს.

ამ ბარათის თითქმის ყოველი სტრიქონი იქცევა ყურადღებას და მრავლისმთქმელია. ასეთივეა მისალმების ფორმაც: „სალამი ამხ. პ. ლორია!“

მისალმება დროს ერწყმის და თითქოს არც ისე მეგობრულ-ახლობლურია, როგორც ეს ბარათის ავტორს მოდგამდა, მაგრამ ტექსტი სულ სხვა აზრს, ფასდადებას და სიყვარულს ესალბუნება. დიდად საინტერესო და საქმიანია ბარათი, რომელსაც არავითარი ადრესატის წინასწარი მოკითხვა არ ახლავს და ავტორი პირდაპირ საქმეზე გადადის... და მერე როგორი რიხით და როგორი პრინციპულობით:

„გწერთ წერილს სრულის ჭეშმარიტებით და ლოგიკურად“, –

ამას ავტორი შემთხვევით არ წერს, მაგრამ, თუ მაინცადამაინც აუცილებელი იყო ასეთი განცხადება აქ, ის, უფრო უპირიანი იქნებოდა, ბარათის ბოლოს ყოფილიყო, თუმცა გალაკტიონს მის აზრებში რომ ეჭვი არ შეპაროდა ადრესატს, იგი დასაწყისშივე დაუიმედებია.

ბარათის მთავარი აზრი ასეთ ფრაზაშია: „თქვენმა შესანიშნავმა შემთვისებელმა ნიჭმა თქვენს რომანში „დელი მურადში“ უაღრესად იმოქმედა ხალხზე“ (საზგასმა ჩვენია – ი.ს.).

ბატონ პარმენის კეთილისმყოფლები აღტაცებით წერდნენ შემომქმედის ნიჭიერებაზე, მაგრამ გალაკტიონის გარდა, არავის დაუკონკრეტებია იგი „შემთვისებელ ნიჭად“, რაც

სრულიად ახალი და ჭეშმარიტი განსაზღვრა გახლდათ სახელოვანი მწერლის უზადო ინტელექტისა.

აქვე დიდად საყურადღებოა იმის მინიშნებაც, რომ ამ ნაწარმოებმა „უაღრესად იმოქმედა ხალხზე“.

ამ თეზისს ეხმიანება და ამტკიცებს ამგვარი ცნობა: „ამ პერიოდში თბილისში სულ თქვენს შესანიშნავ რომანზე ლაპარაკობენ“.

და შემდეგ:

„შენიშვნა არავის არ გამოუთქვამს, მხოლოდ აკვირვებთ წიგნის სახელწოდება“.

ეტყობა, სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა მთავარი როლი ამ ბარათის დაწერაში.

გალაკტიონის აზრით, რადგან ანდროა რომანის მთავარი მოქმედი გმირია, სწორედ მისი სახელი უნდა დარქმეოდა „ძვირფას წიგნს და არა „დელი მურადი“.

შენიშვნა მართლაც საინტერესოა და რომანშიც ანდროს „მთავარი როლი“, „ჩამოუთვლელი სიმამაცე“ და მრავალი სხვა საკმაოდ მყარ საფუძველს უქმნიდა იმას, რომ ნაწარმოებს მთავარი გმირის სახელი შეერქმეოდა, მაგრამ იმ რეალობისას, როდესაც ოსმალთა სამსაუკუნოვანი ტყვეობის იარები ჯერ კიდევ მოშუშებული არ იყო, ის სათაური ჯობდა, რომელიც იმ დროს ავტორმა შეარჩია („დელი მურადი“).

მიუხედავად ამისა, გალაკტიონის შენიშვნა უკვალოდ მაინც არ გაქრალა და მან დიდი როლი შეასრულა ამ რომანის ახლებურ დასათაურებაში – „განთიადი ხევში“.

ბარათი მთავრდება ქართული პოეზიის იმდროინდელი მეუფის გულწრფელი სურვილით, რომ ამ დიდებული რომანის ავტორს მომავალში „მრავალი გენიალური წიგნი“ დაეწეროს.

ბარათების მეტი რა მოსდიოდა ზღვისპირელ მწერალს, მაგრამ გალაკტიონის ბარათის სითბო და სიღრმეს სხვა ვინ შეწვდებოდა...





## კორესპონდენციები

## ანა ერისთავი

ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი

## სისოსხლე ბრძელება!



წიგნისადმი განსაკუთრებული სიყვარული ქართველ კაცს საუკუნეების მანძილზე მოსდგამდა, კალიგრაფისტთა უდიდეს ნარმომადგენლებს ჩუქურთმასავით გამოჰყავდათ ყოველი ასო-ნიშანი, წიგნს – ერის სულიერ პორტრეტს – ოქროთი და ვერცხლით ავარაყებდნენ, ხალხი წიგნს მზითვში ატანდა, მშობლიურ ენას დედასთან აიგივებდა და დედა-ენას ეძახდა, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ქვეყნის ძლიერებას ბრძენთა ნათქვამი და ნააზრევი განაპირობებდა.

შემოსეულმა მტერმა კარგად იცოდა, სულიერი საუნჯის – წიგნის მნიშვნელობა და გვირბევედა ტაძრებს, სადაც სხვა ქონებასთან ერთად, წიგნები იყო თავმოყრილი, ამით ის თაობიდან – თაობაში გადასულ ანდერძს წვავდა და გვიჩანავებდა.

რაჭაში, ისევე როგორც საქართველოს მრავალ მხარეში, წიგნისადმი დიდი სიყვარული სუფევდა. ცნობილია მრავალი საოჯახო კოლექცია, სადაც დაცული იყო ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნები, ილუსტრაციები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოცემული ბექდური პროდუქცია დაცული იყო აქ, მაგრამ მაინც გამოორჩეულად საამაყო რაჭის ერისთავის როსტომის კარზე სოფ. წესში გამართული სტამბა, სადაც 1808 წელს დაუბეჭდიათ საღმრთო წიგნი „სავედრებელი ღვთისმშობლისა“, ხოლო 1811 წელს – „გამოკრებული სადღესასწაულო“, იმდროინდელ მსოფლიოშიც კი არ გვეგულება სხვა

სოფელი, სადაც იმხანად ვინმეს წიგნი დაებეჭდოს. საბედნიეროდ, წიგნი დღესაც არ კარგავს თავის ღირებულებას და ამიტომაცაა, რომ როგორც ტაძარს, ისე ელოლიავება და იცავს მას ქართველი კაცი. მდიდარი, კულტურული ტრადიციების ქვეყანაში, ყველას საზრუნავი უნდა გახდეს ბიბლიოთეკების ფონდების გამდიდრება ახალი გამოცემებით, დიდი დრო უნდა დაეთმოს კერძო კოლექციების შესწავლას, აღრიცხვასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მის გამოყენებას.

ონის რაიონში 1922 წელს ინტელიგენციის მიერ მოწყობილი „საამხანაგო ბიბლიოთეკის“ ჩამოყალიბების შემდეგ, ძალიან დიდი დრო გავიდა, ღვანლმოსილი ქალბატონი კალისტა კობერიძე ემსახურებოდა რაჭა-ლეჩხუმის მკითხველებს. 1924 წელს ბიბლიოთეკას „სამაზრო წიგნსაცავ-სამკითხველო“ ეწოდებოდა. ონის საზოგადოება ბიბლიოთეკის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

იზრდებოდა საბიბლიოთეკო ქსელი და წიგნადი ფონდები, გასული საუკუნის 90-იან წლებში ქსელი 57 ფილიალს შეადგენდა. არც ერთი სოფელი არ იყო დარჩენილი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების გარეშე... რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობდა მოსახლეობა – ახმაურებული სოფლები, სკოლები და სხვადასხვა ორგანიზაციები. წიგნით მომსახურების გარეშე არ რჩებოდა კითხვის უნარმქონე მოსახლეობა. ბიბლიოთეკებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა.

სხვადასხვა დროს საბიბლიოთეკო ცხოვრე-





ბის სათავეში იდგნენ ქალბატონები ქსენია ჯელაძე და თინათინ კერესელიძე, რომლებიც რაიონის კულტურულ ცხოვრებას ალამაზებდნენ მაღალი პროფესიული მომზადებითა და დიდი ენთუზიაზმით. ტარდებოდა მრავალი სახის ღონისძიებები: მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები, წიგნების განხილვები, საიუბილეო საღამოები და სხვ.

გავიდა დრო და მიგრაციამ, სტიქიურმა კატასტროფებმა, სოციალურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ, გაანახევრა სოფლები და ზოგიერთი კიდეც გააქრო.

2007 წელს, რაიონში მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. 24 სასოფლო ფილიალი დაიხურა, მას შტატების შემცირება მოჰყვა, რაც სულიერი ტრაგედია იყო ბიბლიოთეკარებისათვის. მაგრამ გამძლეობამ და მომავლის რწმენამ გადაარჩინა სოფლის ფონდებიც წიგნზე შეყვარებულმა ადამიანებმა – ნ. როსნაძემ, ს. ბერელიძემ, ი. მეტრეველმა, ეკ. რეხვიაშვილმა, მ. მხეიძემ, ლ. ბაკურაძემ, ნ. ლობჯანიძემ თავდადებული შრომით შეძლეს ის, რომ მოწესრიგდა აღრიცხვიანობა და ძველი იერსახე დაიბრუნა ბიბლიოთეკამ.

ჭეშმარიტ გზაზე სიარული, მართლაც რომ გამოადგათ ბიბლიოთეკარებს, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და 16 სასოფლო ბიბლიოთეკამ აღადგინა საქმიანობა და ჩადგა ხალხის სამსახურში.

გვყავს წიგნისადმი გამორჩეულად მოყვარული თანამშრომლები: მზია სამხარაძე, ნელი ჩიკვილაძე, ნელი გორდუზიანი, შორენა, ეთერ და ლიანა მაისურაძეები და სხვები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ რაიონის კულტურულ ცხოვრებაში.

მიგრაციის შეუქცევადი პროცესი მძიმედ აისახება ჩვენს საქმიანობაში, მაგრამ რაოდენ მცირეც უნდა იყოს მოსახლეობა, ბიბლიოთეკების მუშაობა საინტერესო და მიმზიდველი უნდა გავხადოთ. ახალი ინფორმაციის მიწოდება უნდა შევძლოთ უმოკლეს დროში, უნდა გავმართოთ შინაარსით დატვირთული მასობრივი ღონისძიებები, ახალი გამოფენები, ბიბლიოთეკები უნდა გადავაქციოთ შემეცნების,

განათლების, ინფორმაციის კულტურული დასვენების ადგილად. ხელი უნდა შევუწყოთ მომხმარებელს, რათა ჩამოუყალიბდეს სახელმწიფოებრივი აზროვნება, მოქალაქეობრივი პოზიცია. ვეძებთ წიგნის პროპაგანდის საუკეთესო ფორმები და მეთოდები. რა თქმა უნდა, ახალი წიგნების შემოსვლის გარეშე ძალიან ძნელი იქნება საბიბლიოთეკო მუშაობის წარმართვა, პირადი ინიციატივით უნდა ვეძებოთ დაფინანსების წყაროები.

ყველა ბიბლიოთეკის საქმიანობის ქვაკუთხედი წიგნია, წიგნი ხომ ისევე სჭირდება მკითხველს, როგორც ტაძარი მორწმუნეს.


არ შემიძლია ერთი შესანიშნავი პიროვნების – ექიმ აგაფონ მეტრეველის სიტყვები არ გავიხსენო: „რომელ ქალაქშიც ჩავდივარ, მაშინვე ბიბლიოთეკას მოვიკითხავ, სად მდებარეობს და მივაშურებ მას. ჩემი უპირველესი და უსაყვარლესი მეგობრები ბიბლიოთეკარები არიან“. ამ დიდებულ

ადამიანს ძალიან ხშირად მიუღია მონაწილეობა საბიბლიოთეკო ღონისძიებებში.

„საბიბლიოთეკო კვირეული“ – უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ყველა ბიბლიოთეკის ცხოვრებაში. ამ დროს ხდება ბიბლიოთეკის მნიშვნელობის წარმოჩენა საზოგადოებისათვის, რწმენით,

სულიერი და ფიზიკური შრომით მიღწეული სასურველი შედეგების შეჯამება, რაც გარეშე პირთათვის შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს.

საინტერესოდ წარიმართა გასული წლის საბიბლიოთეკო კვირეული ონის რაიონში. მოენწყო იშვიათი ბიბლიოგრაფიული გამოცემების გამოფენა კერძო კოლექციებიდან დევიზით – „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“; შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, წიგნის პრეზენტაციები და საიუბილეო საღამოები; მოენყო მხატვარ ელენე მაგრაქველიძის ნამუშევრების გამოფენა; ჩატარდა კონკურსი თემაზე: „სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ“. სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებმა: მარია ბურდილაძემ, თამარ ხომასურიძემ, ანი მეტრეველმა, ანი და ეკა გაგნიძეებმა, სალომე ჩიკვილაძემ, თორნიკე ბერელიძემ საუკეთესოდ შესძლეს რეფერატების მომზადება.





არაერთხელ მოვანყვეთ ისრაელში მოღვაწე პოეტ დანიელ ხახიაშვილის პოეზიის საღამოები: „გამომიგზავნე ეზოს ვარდები“, „სიზმარში საქართველო ვნახე“, აგრეთვე პოეტ ნუნუ კერესელიძესთან ბავშვების შეხვედრა – „ვარსკვლავებთან გათამაშება“. პოეტ შოთა ტოგონიძის შემოქმედებითი საღამო, მისი წიგნების პრეზენტაცია – „მრავალძალს აფრენილი არწივები“. ლონისძიებებში მონაწილეობდნენ: აკაკი მეტრეველი, ხატია ქელიძე, თაკო რაზმაძე, ანა გამყრელიძე, ანა ლობჯანიძე, თამუნა სამხარაძე და სხვები. დავაფუძნეთ „ზღაპრის სახლი“, რათა ბავშვებს ჩავუწეროთ წიგნისადმი სიყვარული.

ახლად შემოსული წიგნების სიმცირის გამო, ხდებოდა იმ წიგნების პრეზენტაცია, რომლებიც ხელთ გვივარდებოდა რამდენიმე ენთუზიასტისა და ავტორებისაგან.

საოცარი გამოცოცხლება იგრძნობა „ბესტსელერის“ სააგენტოს სადისტრიბუციო სამსახურის მიერ შემოთავაზებულ პროექტში ჩართვის

შემდგომ. ხდება ორგანიზება გამოფენა-გაყიდვებისა და ახალი ლიტერატურის პროპაგანდა. მოსახლეობა ინიციატორს მადლობას უხდის „წიგნის კლუბის“ ჩამოყალიბების, წიგნის პროპაგანდის დიდ საქმეში განეული შრომისათვის.

ასე რომ, წიგნის გზა დიდია, ის მომავლის გზაა, სინათლის გზაა, რომელიც ადამიანის სულიერად ამაღლებას შეუწყობს ხელს, ვინაიდან ჩვენს ხალხს, მომავალ თაობას სჭირდება წიგნიერება ქვეყნის აშენებისათვის.

კვირეულიდან – კვირეულამდე კი გრძელდება ძალიან ლამაზი ცხოვრება წიგნისა.

„წიგნები აზრის ხომალდებია, ისინი დროის ტალღებს მიაპობენ და რუდუნებით მიაქვთ თავისი ძვირფასი ტვირთი ერთი თაობიდან მეორემდე“ (ფ. ბეკონი).

დაე, ეს მღელვარება არ შეწყვეტილიყოს ჩვენ ქვეყანაში, გადავარჩინოთ ბიბლიოთეკა, გადავარჩინოთ წიგნი, დავიცვათ უმეცრებისაგან თაობა, რომელიც ჩვენი ხვალისდელი დღეა.

## ლია ლეონიძე

თბილისის საქალაქო საბავშვო

ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი

## დარბაზობა - „რუსთაველი საქართველოა“



კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა შედგა თბილისის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში. საზეიმოდ ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია-დარბაზობა „რუსთაველი საქართველოა“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავს მიეძღვნა.

შეკრების მთავარი მიზანი იყო რუსთაველის

„ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთხელ გახსენება და გამომცემლობა „ბაკმის“ მიერ გამოცემული ამ დიდებული წიგნის წარდგენა საზოგადოების წინაშე.


დაიწყო ზარების რეკვა. დარბაზს საგალობლები მოეფინა და სწორედ ამ დროს ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალ-ვაჟმა შემოაბრძანა ოქროს ვარაყში ჩასმული „ვეფხისტყაოსანი“ და სიმბოლურ ტახტრევანზე დააბრძანა. დარბაზი ფეხზე ადგომითა და ტაშით შეეგება მათ.

გაბრწყინდა ამ ახალი გამოცემით ვახტანგისეული და სხვადასხვა ენებზე გამოფენილი „ვეფხისტყაოსნები“.

„წიგნი კი არა, ჟრჟოლა ხარ“, – ბრძანებდა გიორგი ლეონიძე და, მართლაც, ასეთი ჟრჟოლა გამოიწვია მსმენელში გოგი ხარაბაძის მიერ წაკითხულმა „ვეფხისტყაოსნის“ გრამჩანანერმა.

მეტად შთამბეჭდავი იყო საქართველოს ისტორიული წარსულისა და თამარის ეპოქის მი-





მოხილვა. აღნიშნული იქნა პოემის მსოფლიო მნიშვნელობა და გზა, რომელიც გამოიარა ნიგნმა დღემდე. წამყვანებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს დიდმის ბავშვთა სახლის მოზარდებმა, რომელთაც შემდეგ მცირედი საჩუქრები გადაეცათ.

შეკრებას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ბავშვების ხალისიანმა გადაძახილებმა რუსთველისეული ბრძნული გამონათქვამებისა, რომლებიც მართლაც რომ სიბრძნის უშრეტი წყაროა. მათ მიიღეს ინფორმაცია მიხაი ზიჩის მიერ დასურათებული პირველი ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. მოზარდთათვის საინტერესო იყო ქართველი და უცხოელი მწერლებისა და პოეტების შთაბეჭდილებები პოემის შესახებ, რომელიც რუსთველს უქრობ გენიას, მიუწვდომელ მწვერვალს, ხოლო ქართულ ენას პოეზიის ენას უწოდებენ.

ამით არ ამონურულა ინფორმაცია „ვეფხის-

ტყაოსანზე“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორმა, „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციონერმა ლევან თაქთაქიშვილმა ისაუბრა თავისი კოლექციის შესახებ. ასევე საინტერესო იყო გაზეთ „ციცინათელას“ რედაქტორ-გამომცემლის აკაკი ბრეგაძის სიტყვა ნიგნის საჭიროების შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ საბავშვო პოეტები: მარიამ ნიკლაური, ირმა მალაციძე და სტუმრები შვედეთიდან. ბიბლიოთეკის გამგემ ქალბატონმა ინგა არგუტინსკაიამ კვლავ შეკრების სურვილით უღრმესი მადლობა მოახსენა სტუმრებსა და მოზარდებს.

დასასრულს დარბაზში ისევ ქართული ჰანგები აჟღერდა. მრავალჯამამოვლილი უკვდავი პოემის დარბაზობა ქართული ცეკვითა და მრავალჯამიერით დასრულდა. დასრულდა იმედით, რომ ქართველი ხალხი კიდევ მრავალჯერ იზეიმებს ამ დიდებული ნიგნის უკვდავებას.



## ლია ნიპარიშვილი

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

# „მზადა ვართ უარესი დღეებისათვის, თუმც უკეთეს დღეებზე ვფიქრობთ...“

ჰემინგუეის ეს ცნობილი ფრაზა ზედმინევენით ზუსტად გადმოსცემს რაიონული გაზეთის დღევანდელ მდგომარეობას. სხვისი ჭირ-ვარამისა და ლხინის გამზიარებელი, დღეს თავად მატერიალური ხელმოკლეობით ცოტაოდენს ნაზიარები „განთიადი“ დღემდე უკეთესის რწმენამ და იმედმა მოიყვანა, მას არც ზამთრის სუსხი დაჰკლებია, არც უქალაღდობით განახევრება და ზოგჯერ ხელმომწერთა შემცირება.

საერთო უმუქრობა ყველას კარგად გვახ-

სოვს. ქვეყანა ომში იდგა და შესაძლებლობის ზღვარზე მყოფი გაზეთი ღამით ინყობოდა და იბეჭდებოდა. სტამბა-რედაქციის ეს უმაგალითო შემთხვევა კარგა ხანს გაჰყვება გასამხნევებლად რედაქციის მუშაკებს. სიმბოლური ანაზღაურების ფასად რედაქციის თანამშრომლები ღამეებს უთენებდნენ „განთიადს“ პროფესიული ღირსებით, მდგომარეობის ბოლომდე გაცნობიერებით და ადამიანურობის უტყუარი კანონის მორჩილი ჟურნალისტები, ვინ იცის, რამდენ ალიონს შეხვედრიან ერთად. ეს არც



შიშით და არც დავალებით არ ხდებოდა, ისინი საკუთარ საქმეს ემსახურებიან და იმ გზას აგრძელებენ, რვა ათეული წლის წინ რომ დაიწყეს წინამორბედმა განთიადელებმა.

80 წელი – ეს დრო არც ცოტაა და არც ბევრი. 80 წლის გაზეთი დიდი დაღბინებით როდი მოსულა აქამდე. ბევრჯერ უჭირდა, მაგრამ თავისი ერთგული მკითხველის შემწეობით და თანადგომით ფეხზე დამდგარა, ჯეროვნად შეუსრულებია თავისი როლი და არაერთგზის უსახელებია თავი, რესპუბლიკის სხვადასხვა გაზეთებს შორის მრავალგზის დაუმსახურებია ჯილდო. კიდევ ერთი დაჯილდოვების მოწმენი გავხდით სულ ახლახან, მარტის თვეში. საქართველოში განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ერთად ჩვენ შევძლებთ“. პროექტით გამოვლენილ იქნა 1992 და 2008 წლის კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აქტიური და სისტემატური გაშუქების საკითხი მედიასაშუალებებში. შემაჯამებელ პრეზენტაციაზე დევენილი მოსახლეობის პრობლემების და ცხოვრების გაშუქებაში გამოჩენილი აქტიურობისათვის პრიზით დაჯილდოვდა კასპის რაიონული გაზეთი „ახალი განთიადი“ (რედაქტორი – ნანა მერებაშვილი, ჟურნალისტი – რუსუდან ხეჩუაშვილი, სპეციალისტი – მარინა როსებაშვილი).

იუბილე და დღესასწაული კი მაშინ გიხა-

რია ადამიანს, როცა მოკეთე გყავს გვერდით. „განთიადს“ ჰყავდა და ჰყავს მეგობრები, რომელნიც ხილულ თუ მალულ თანადგომას და პატივისცემას იჩენენ გაზეთის მიმართ. კეთილსმისურველს რა დაღვეს და კასპის მთავარმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ე. ჩადუნელი) კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანებასთან ერთად (დირექტორი ვ. ბესტავაშვილი). მეგობარ „განთიადს“ მიუძღვნა ერთი დღე „უკეთესი“.

ლონისძიებაზე სტუმრად მონვეულნი იყვნენ რედაქციის ყოფილი ჟურნალისტები, რომელთა მოგონებებმა კიდევ ერთხელ დაგვაბრუნა „განთიადის“ საამაყო ისტორიაში.

ლონისძიება მხოლოდ რაიონის გაზეთით არ შემოიფარგლა. ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტმა ლ. მენაბდიშვილმა თავისი მოხსენებით დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისა და დღევანდელი მისი ცხოვრებისაგან განუყოფლობის შესახებ.

გაზეთის წარმატებას გამოეხმაურა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირი; ბატონმა დავით ოქიტაშვილმა რედაქციას და მის მუშაკებს მადლობის და დაჯილდოვების სიგელები გამოუგზავნა.

„ისე არაფერი იმარჯვებს, როგორც გამარჯვება“.

## ლალი გოძაძე

თბილისის № 57 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე

# ბავშვთა დასვა ყველას მოვალეობა

ყოველ წელს მსოფლიო მასშტაბით 1 ივნისს აღინიშნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, რასაც დედამინის ზურგზე, განურჩევლად პიროვნებისა, ყველა უერთდება.

ამ დღესთან დაკავშირებით მინდა ვისაუბრო საბურთალოს რაიონის ნუცუბიძის ფერდობის V მ/რაონის I კორპუსის ბინა 65–ში მცხოვრები ერთი ოჯახის გარშემო, ოჯახისა, რომელიც დღევანდელ პერიოდში აკეთებს უკეთილშობილეს საქმეს, რასაც ბავშვთა დაცვა და მათი მომავალი ჰქვია. მათ შექმნეს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჯანმრთელი ბავშვები“. ესენი არიან ერთი ოჯახის წევრები – მეუღლეები: ანზორ ბერულავა და ნანა აბრამია. ნანა ექიმია, ანზორი კი – ჟურნალისტი, პროფესორი,

პედაგოგიკის დოქტორი. ნანა აბრამია კიევის







სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა სხვადასხვა საავადმყოფოში ექიმად. დღეს კი თავის საქმიანობას პატარა ავადმყოფებს უკავშირებს. მათ ამ საქმიანობაში პარტნიორობას უწევს „ფრიდენს დორფ-ინტერნაციონალი“, გერმანიის ბავშვთა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას 20 ქვეყანასთან აქვს კავშირი და 40 წელზე მეტია საქმიანობს.

საქართველოდან 500-ზე მეტი ბავშვია უკვე გერმანიის სხვადასხვა ძვირადღირებულ კლინიკაში განკურნებული.

ეს ორგანიზაცია საქართველოში 2004 წლიდან არსებობს. მკურნალობას გადიან 12 წლამდე ასაკის ბავშვები 11 დასახელების დაავადებით.

ასოციაცია „ჯანმრთელი ბავშვების“ თავმჯდომარე გახლავთ ნანა აბრამია, თანათავმჯდომარე – ანზორ ბერულავა. ეს ორი ადამიანი აკეთებს მთელი საქართველოს ბავშვებისთვის ყველაზე დიდ საქმეს – წლიდან წლამდე ეს ოჯახი დგას საქართველოს ბავშვების ჯანმრ-



თელობის სადარაჯოზე. პირველი ივნისი, მართალია, მსოფლიო ბავშვთა დაცვის დღეა, მაგრამ ამ ორი ადამიანისთვის წელიწადის ყველა დღე ბავშვთა დაცვის დღეა. მინდა აღვნიშნო, რომ მთელი ოჯახი: მამა – ანზორ ბერულავა, დედა – ნანა აბრამია, ქალიშვილი – ანა ბერულავა – პროფესიით ისიც ექიმია და ნანას ორი

პატარა ვაჟი: ლევანი და შალვა ჩვენი – № 57 ბიბლიოთეკის აქტიური და ერთგული მკითხველები არიან. მათ მადლობას ვუხდით იმ მოღვაწეობისათვის, რასაც ისინი ეწევიან იმ კეთილი საქმისათვის, რომელსაც აკეთებენ: მთელი ოჯახის წინაშე ვიხრი ქედს. მისთვის, რასაც მათი ინიციატივით დაარსე-

ბული ორგანიზაცია ეწევა, რომელსაც „ჯანმრთელი ბავშვები“ ეწოდება.

ჩემი სურვილია, რომ კეთილი საქმე, რომელსაც „ჯანმრთელი ბავშვები“ აკეთებს, დიდხანს გაგრძელდეს, საქართველოს კი ყოველ წელიწადს უფრო და უფრო ნაკლები რთული დაავადებული მომავალი თაობა ჰყავდეს!

## გული კირცხალია

სენაკის მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

## წიგნების საუფლო

არსთა გამრიგემ სიყვარულით ჩაუდგა სული სამყაროს. ლამაზს, თვალწარმტაცს, ყოველივეს – სიყვარული უდევს საფუძვლად. ჩვენი – სენაკის ცენტრალური ბიბლიოთეკაც, რადროსაც არ უნდა შეხვიდეთ, სიყვარულითაა გასხვივოსნებული. გულისგულს სწვდება თითოეული თანამშრომლისაგან გაღებული გულის

სიტბო. რაც უნდა სანუხარი გქონდეს, აქ იმედინადები, იმუხტები დადებითი ენერგიით, საკუთარ თავზე მალლა მალლდები და ხალისიანდები, რადგან მათ გულში ადამიანებისადმი უსაზღვრო სიკეთე და სიყვარულია ჩაბუდებული. როდესაც ცხოვრებით ან ცალკეული ადამიანებისაგან გული დამძიმებული მაქვს, მო-



ვიჩქარი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, რომ აქ მომსახურე ადამიანთა გულის სითბოთი ვისარგებლო – ნავიკითხო ახალი ჟურნალ-გაზეთები, წიგნები. წიგნი – ხომ თავწყაროა სულისა, დაახლოებით ამგვარ აზრს გამოთქვამს ბევრი ჩვენი მკითხველი. დღის მეორე ნახევარში აქ ტევა არ არის. სხვადასხვა ასაკის ადამიანები ამ წიგნის სამყაროში სულიერ საზრდოს, ცოდნას, სიბრძნეს იღებენ;

განსაკუთრებით ახალგაზრდები, სტუდენტები – ენციკლოპედიებსა და მსოფლიო კლასიკოსთა შედეგებში თავჩარგულები. ისინი წიგნებიდან სწავლობენ სხვადასხვა ერთა ცხოვრებას, წესჩვეულებებს, სიკეთისა და ბოროტების გარჩევას, რწმენას, ზნეობას, მშობლიური ქვეყნის ისტორიას.



შინაარსიანი ღონისძიებები – შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, ავადმოსაგონარი აფხაზეთისა და ცხინვალის ტრაგედიის შედეგად შინმოუსვლელ გმირთა მშობლებთან და შვილებთან, ახალგამოცემული წიგნების პრეზენტაციები 1989 წლის 9 აპრილის, თუ ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დიდების მემორიალის ყვავილებით შემკობა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში პანაშვიდების გადახდა. ეროვნული სულიკვეთებით ახალგაზრდების აღზრდა. პოეზიის

სალამოები, უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნი“ – ს კითხვა. ყოველი წლის აპრილის ბოლოს ტარდება ბიბლიოთეკის დღე, სადაც სტუმრებთან ერთად თავს იყრიან ყოფილი თანამშრომლები. ამ ყველაფრისათვის გულწრფელად მინდა მადლობა გადავუხადო ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროს სპეციალისტს, ღირსების მედლის მფლობელს, ზნეობისა და ადამიანობის ეტალონს ქალბატონ ციური ხორავას. ნიჭიერ სპეციალისტებს: ქალბატონებს: ლუიზა კემულარიას, იამზე გვასალიას, მადონა ოდიშარიას, დაუზარელ, გულის სითბოთი სავსე ნაზი ჯოჯუას, უნიჭიერეს ბიბლიოგრაფს იამზე ჯიმშელიშვილს, მზესავით

გულთბილ ფლორა ვახანიას, პოეზიის მადლით ცხებულს ნაირა ფოფხაძეს, ხელოვანსა და კარგ ქართველს ლეილა სოსელიას, მინდა ვუსურვო მათ დღეგრძელი სიცოცხლე, უღევი სიხარული, ერთიან, ძლიერ საქართველოში ჩვეული გულითადობით, სიკეთით, უშურველობით ცხოვრება.

- წ – იგნი სინათლეა – სულის ჩირაღდანი,
- ი – მედის მომცემია, – ნაღდი მეგობარი,
- გ – ულის მალამოა, ცხოვრების ცისკარი,
- წ – უგეშად გვევლინება – ტკბილად მოუბარი
- ი – ქნეს წიგნიერ ჩვენი მომავალი!

## მანანა საბანელიძე

თბილისის № 31-ე ბიბლიოთეკის გამგე

## ირმა ძორიაშვილი

ბიბლიოთეკარი

# მისაბაძი მკითხველები

წიგნი, ბიბლიოთეკა და მკითხველი – ეს ცნებები განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ბიბლიოთეკის მუშაობასთან. მათ შორის ჰარმონიული კავშირის დამყარება თითოეული ბიბლიოთეკის მოვალეობაა. ამით განისაზღვრება მკითხველის დაინტერესება კონკრეტული ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკის და მკითხველის ურთიერთობით ყალიბდება უცნობ ადამიანთა შორის პროფესიული და ადამი-

ანური დამოკიდებულებანი. ეს ურთიერთობები უმეტეს შემთხვევაში გადაიზრდება ხოლმე მეგობრობაში, რაც ადამიანებს სულიერად აკავშირებს.

განსაკუთრებული ალღო, ტაქტი, სითბო და სიყვარული სჭირდება ბიბლიოთეკარს ბავშვ მკითხველებთან ურთიერთობისას. 1989 წლის ნოემბერში გაერომ მიიღო კონვენცია „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომლის 54-ე





ტ. ვაშანაძე

მუხლში ჩამოთვლილია ბავშვთა უფლებები დაბადებიდან 18 წლამდე სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში. დოკუმენტი ითვალისწინებს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ ყოველგვარინფორმაციულ შეუზღუდავობას,

ბავშვთა დაშვებას კაცობრიობის კულტურულ საგანძურთან, რომელსაც ფლობს ბიბლიოთეკები. ბავშვებთან საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ გარდა ბავშვთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებებისა, გათვალისწინებულ იქნეს მათი ინდივიდუალური თვისებები. ამ სულისკვეთებით მუშაობს დღესაც გიორგი ლეონიძის სახ. № 31 ბიბლიოთეკა, რომელიც თავისი ფუნქციონირების 50 წლის მანძილზე ასი ათასობით მკითხველს მოემსახურა, რომელთა უმეტესი ნაწილი ბავშვები იყვნენ. ბავშვთა კითხვას წარმართვას სამი პიროვნება: მშობელი, მასწავლებელი და ბიბლიოთეკარი. მათ ურთიერთშეთანხმებულ, კოორდინაციულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ბავშვთა მკითხველური ინტერესის სწორად წარმართვა. ბავშვის ფაქიზი გონება ხარბად ენაფება სიახლეს. დღეს, როდესაც „ინფორმაციის ერაში“ ბავშვები გატაცებულნი არიან კომპიუტერით, მათი კითხვის სწორი კალაპოტით წარმართვა ძალზე რთულია, მაგრამ ყველა ბიბლიოთეკა მოვალეა აკეთოს ეს საქმე. ამ ურთიერთობის დროს ხდება განსაკუთრებული დაახლოება აქტიურ, მონესრიგებულ მკითხველთან. ამ წერილის დანერისას თვალწინ გვიდგას ჩვენი ბიბლიოთეკის ხშირი და სასურველი სტუმრები: ტატა ფარჯანაძე, ნინო

შავდია, ვაჩე ხრიკული და სხვები. ტატა ფარჯანაძე № 60 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა, ექვსი წლის ასაკიდან ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველია. მას თავის ერთგულ მეგობრებად წიგნები მიაჩნია. ტატა მრავალმხრივი ნიჭიერების მქონე ადამიანია, არის მოცეკვავე, მუსიკოსი და სანიმუშო მკითხველი. ნინო შავდია № 151 საჯარო სკოლის მოსწავლეა, ჩვენი ბიბლიოთეკის უმცროსი მეგობარი. ქართველი კლასიკოსების: ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ნოდარ დუმბაძის პარალელურად, გატაცებულია არტურ კონან დოილის დეტექტივებით. ვაჩე ხრიკული იმ მრავალრიცხოვანი მკითხველთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც გატაცებული არიან თანამედროვე სათავგადასავლო ფანტასტიკური ლიტერატურით.

აღნიშნული მკითხველების პუნქტუალობა, მკითხველური ინტერესი და მონესრიგებულობა სამაგალითოა არა მარტო მათი თანატოლებისთვის, არამედ ბევრად უფროსი ადამიანებისათვისაც. სწორედ მათ მაგალითზე შეიძლება აღიზარდოს ბავშვ მკითხველთა მთელი თაობები. აქვე არ შეგვიძლია მადლიერება არ გამოვხატოთ აღნიშნული პიროვნებების მშობლების მიმართ, რომელთა როლი მათი შვილების წიგნებისადმი სიყვარულის გალვივებაში უდიდესია. ჩვენი მხრივ, მომავალშიც ვეცდებით 31-ე ბიბლიოთეკის სამაგალითო მკითხველთა მიმართ მადლიერების გამოხატვას და მათ მაგალითზე მომავალი თაობების სულიერ აღზრდას.



ნ. შავდია



ოთარ ოსაძე

## მხირა ამონარიდი ჩემი მოგონებებიდან\*

თურმე ასე ყოფილა: ძველი, ახალგაზრდობის დროინდელი ამბავი უფრო კარგად ახსოვს ადამიანს, ვიდრე სიბერის წამისა, როცა მოხუცებულ კაცს გუშინდელი დღის გახსენებაც გიჭირს.

ჰოდა, ჩემი ამბავი-მოგონებაც შედარებით ახალგაზრდობის დროიდან გვინდა დავიწყოთ, რომელიც ძირითადად ორი ჩვენი კოლეგის, უკეთილშობილესი ქალბატონების, როგორც იტყვიან, ცოცხალი ენციკლოპედიის, თამარ მაჭავარიანისა და თინათინ ნაკაშიძის ხსოვნას ეძღვნება, თუმცა შიგადაშიგ სხვებსაც გავიხსენებთ და, ასე რომ, საუბარი ცოტა ზიგზაგებით, გადახვევ-გადმოხვევებით შეიძლება წავიდეს, ამიტომაც მკითხველებს ვთხოვ, ეს ნაკლი გვაპატიონ.

ვიდრე ამ ორი ქალბატონის ღვანლმოსილებაზე გეტყვოდა რამეს, მანამდე ერთი, უფრო გვიანდელი ამბავი უნდა მოგიტხროთ, რომელიც მათთან ჩემს საქმიან ურთიერთობას უკავშირდება, როცა მე უკვე მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი; ეს იყო გასული საუკუნის 50-იან წლებში. მაშინ ახალი გამოცემული იყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ანთომეული. ვკითხულობდი და ვეცნობოდი რა ამ გენიოსის ნაწერებს, განსაკუთრებით პუბლიცისტურ წერილებს, ვხედავდი, რომ მის მადლიან კალამს არ გამოორჩენია მაშინდელი არც ერთი ცხოვრებისეული საკითხი – პოლიტიკა თუ ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა თუ ტექნიკა, ენა და ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა მრავალი. იმ ხანებში გამოსული იყო ლენინის თხზულებათა საცნობარო ტომი, რომელსაც კარგად ვიცნობდი. ისეთ ეპოქაში ვცხოვრობდით, რომ არც შეიძლებოდა, არ მცოდნოდა, აქ ლენინი იმიტომ ვახსენე, რომ როცა ილია ჭავჭავაძის, ამ ბუმბერაზი ადამიანის ნააზრევს გავეცანი, რასაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და, პირიქით, უფრო საჭიროა მისი ნაანდერძევის შესწავლა და გამოყენება. ვიფიქრე – ჩვენთვის, ქართველებისათვის ილია უფრო დიდია, ვიდრე ლენინი და თუნდაც მარქსი და ენგელსი, რომელთა საცნობარო ტომები არის გამოცემული, და გადავწყვიტე, ასეთივე ცნობარი ილიას ათ-

ტომეულისათვისაც შემედეგინა. ამ ცნობარის შედგენის პროცესზე, მის სტრუქტურაზე და სხვა წვრილმანებზე საუბრით თავს არ შეგანყენთ და გეტყვიტ მხოლოდ ერთს: დავასრულე რა ამ ცნობარის შედგენა, სიმათლე გითხრათ, ფრიად კმაყოფილი დავრჩი. ერთხანს ეს მასალა ჩემი სანერი მაგიდის უჯრაში მქონდა შენახული და არავის ვუმჟღავნებდი, მაგრამ მერე, როცა ბიბლიოთეკის დირექტორს – ბატონ ვლადიმერ უზნაძეს უფრო დავუახლოვდი და მანაც კარგად გამიცნო, გავზედე და ცნობარი ვაჩვენე. აქ ცოტას გადავუხვევ და ვიტყვი: ბატონი ლადო მეტად ენერგიული პიროვნება იყო, თავისი თვისებებით ღირსეული მოღვაწე, რომელმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ასაღორძინებლად, მან პრეზიდენტთან არსებული პატარა ბიბლიოთეკა ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკად აქცია და მას სპეციალური პროექტით უმშვენიერესი შენობა აუგო და დაუტოვა. ბატონმა ლადომ, მას ყველანი ასე მივმართავდით ხოლმე, გადახედ-გადმოხედა ამ ჩემ ნამუშევარს და მითხრა, დამიტოვე და უფრო კარგად გავეცნობიო. დრო გავიდა ამის შესახებ ჩემთვის აღარაფერი უთქვამს. მერე გავიგე, რომ თურმე ეს ცნობარი სარეცენზიოდ თამარ მაჭავარიანისა და თინათინ ნაკაშიძისათვის გადაუცია. რატომ მათთვის? ამაზე რომ გიპასუხოთ, აქაც უნდა გადავუხვიო და ცოტა რამ გვიამბოთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა სიცოცხლეშივე მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას გადასცა, როგორც მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული. ამ ბიბლიოთეკაში ჩასატარებელი სამუშაოთა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ფონდების მეცნიერული დამუშავება, მათი კატალოგიზაცია იყო. სწორედაც ამ სერიოზული და შრომატევადი სამუშაოების ხელმძღვანელად ბატონმა ლადომ თამარ მაჭავარიანი და თინათინ ნაკაშიძე მიიწვია, რადგანაც იგი ამ ქალბატონებს ყველაზე მეტად ენდობოდა და სჯეროდა მათი. მართლაც, ეს საქმიანობა წარმატებით დასრულდა და ამ ბიბლიოთეკის

\* გაგრძელება. იხ.: 2010, № 1, 2, 3.



კატალოგიც დაიბეჭდა. თანაც ბატონმა ლადომ ისიც იცოდა, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მის ნაწერებს, რომელთა უმრავლესობა პირველად გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა, ყველაზე კარგად ქალბატონი თამარ მაჭავარიანი იცნობდა. ილიას ეს წერილები ხშირად ანონიმური იყო და ალბათ ამიტომაც ათტომეულის შემდგენელმა, ცნობილმა მეცნიერმა პავლე ინგოროსყვამ ამ გამოცემაში არ შეიტანა. ქალბატონმა თამარმა ამ წერილების შესწავლისა და ღრმა ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ ისინი ილიას კალამს ეკუთვნოდა. სხვათა შორის, როცა ი. ჭავჭავაძის ახალი, ოცტომეულის გამოცემა ან გარდაცვლილი გურამ შარაძის თაოსნობით დაიწყო, მასში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ აქ შეტანილი ახალი წერილები თამარ მაჭავარიანის მიერ არის გამოვლენილი.

ილია ჭავჭავაძის შრომებს, განსაკუთრებით წიგნებს, კარგად იცნობდა ქალბატონი თინათინ ნაკაშიძე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის პირველი ტომის შედგენისა და გამოცემის საქმეს, რომელიც საქართველოს წიგნის პალატამ განახორციელა და სადაც ქალბატონი მუშაობდა, როგორც წამყვანი ბიბლიოგრაფი და, ცხადია, ამ ტომში შესატანი წიგნების აღწერის პროცესში ღრმად ეცნობოდა თითოეულ მათგანს, მათ შორის, ილიას ადრინდელ – 1920 წლამდე გამოცემებსაც.

და, აი, ასეთ ქალბატონებს გადასცა ბატონმა ვლადიმერ უზნაძემ ჩემი მოკრძალებული ნაშრომი, მე კი მანამდე არაფერი არ ვიცოდი

ამის შესახებ, ვიდრე მათ თავიანთი რეცენზიები არ წარმოუდგინეს ბატონ ლადოს. როცა ამ რეცენზიებს გავეცანი, გაოცებული დავრჩი იმით, თუ როგორი, მათთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობით მოჰკიდებთან ამ დავალების შესრულებას, ცხადია, არა ჩემი, არამედ ბატონ ვლადიმერისადმი პატივისცემის გამო და თავიანთ ვრცელ რეცენზიებში მოუციათ ცნობარის საფუძვლიანი ანალიზი, საყურადღებო შენიშვნებით და მოსაზრებებით. სასიამოვნო იყო, რომ ამ ცნობარის დაბეჭდვა მათ აუცილებელი და საჭირო საქმედ მიაჩნდათ.

უკეთილშობილესი ქალბატონების თამარ მაჭავარიანისა და თინათინ ნაკაშიძის ხელნაწერ რეცენზიებს, როგორც ძვირფას რელიკვიებს, ახლაც ვინახავ ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში და ზოგჯერ წავიკითხავ ხოლმე.

ალბათ, შეიძლება იკითხოთ, რა ბედი ეწია ჩემ მიერ შედგენილ ცნობარს. მოკლედ გეტყვი: მე სამუშაოდ პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავედი, მალე ვლადიმერ უზნაძე გარდაიცვალა... გავიდა დრო და მისი გამოცემაც გადაიღო. უფრო მოგვიანებით შეიძლებოდა მისი დაბეჭდვა, მაგრამ ჩემი და მხოლოდ ჩემი დაუდევრობის გამო არ განხორციელდა ეს საქმე. როცა ჩვენი ძვირფასი მეგობარი ნოდარ გურგენიძე ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, რამდენჯერმე შემომთავაზა, რომ ჩამესწორებინა ეს ცნობარი ისე, რომ საბოლოო სახე მიეღო, ხოლო გამოცემას თვითონ მიხედავდა, მე კი ეს საქმე ყოველთვის სახვალად გადავდე. ახლა? ახლა ვილას უნდა ათტომეულის ცნობარი,





როცა ილია ჭავჭავაძის ახალ გამოცემებსაც კი თითქმის აღარავინ კითხულობს.

ახლა მოკლედ იმის შესახებ მინდა ვიამბოთ, თუ როდის, სად და როგორ ვითარებაში გავიცანი ქალბატონები თამარი და თინათინი და როგორ გავხდი მათი საქმიანი კოლეგა. ჯერ ქალბატონ თინათინ ნაკაშიძის შესახებ გეტყვით, რადგანაც იგი უფრო ადრე, ჩემი პროფესიული საქმიანობის პირველივე დღეებიდანვე გავიცანი. ეს იყო 1949 წლის ოქტომბერში, როცა მე და ჩემი მეგობარი ლევან კვირიკაშვილი ბატონმა იოსებ ორჯონიკიძემ, რომელიც ბიბლიოთეკატმცოდნეობის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორი იყო, სამუშაოდ მიგვიწვია. ეს მეთოდკაბინეტი განთავსებული იყო მაშინდელი წიგნის სასახლეში (მარჯანიშვილის ქუჩაზე), რომლის მეოთხე სართული მთლიანად საქართველოს წიგნის პალატას ეკუთვნოდა. ამავე სართულზე მეთოდკაბინეტს მხოლოდ სამი ოთახი ჰქონდა დათმობილი. მაშინ წიგნის პალატაში მხოლოდ 11 კაცი მუშაობდა. მეთოდკაბინეტში კი შვიდნი ვიყავით და რადგანაც ჩვენ ყველას ერთმანეთის გვერდით გვიწევდა საქმიანობა, ისე გამოდიოდა, თითქოს ერთ დაწესებულებაში გვემუშაოს. სწორედაც ამან განაპირობა ის, რომ ახლოს გამეცნო პალატის ყველა თანამშრომელი, მათ შორის ქალბატონი თინათინიც, რომელიც წიგნადი ფონდების დამუშავების სექტორს ხელმძღვანელობდა. ქალბატონ თინათინთან სიახლოვეს ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. იმ ხანებში შემოღებულ იქნა ე.წ. საბიბლიოთეკო მონაფეოება (ფვიქრობ, ეს ვილაც ჭკვიანმა კაცმა მოიფიქრა და გადაწყვიტა) და პალატასაც და მეთოდკაბინეტსაც ორ-ორი მონაფე გამოგვიყვებს. პალატაში მათი ხელმძღვანელობა ქალბატონ თინათინს მიანდეს, ხოლო მეთოდკაბინეტის ორი მონაფე ბატონმა იოსებმა ჩვენ – მე და ლევან კვირიკაშვილს ჩაგვაბარა. ამ დროს ახალშემოტანილი წიგნების სისტემატიზაცია მიმდინარეობდა. ამ პროცესში მონაფეების ჩაბმა სწავლების საუკეთესო საშუალება იქნებოდა. ასევე პრაქტიკულად მუშაობდნენ მონაფეები



პალატის წიგნების დამუშავების სექტორში ქალბატონ თინათინთან. ცხადია, ჩვენმა ასეთმა გაერთიანებულმა საქმიანობამ ჩვენი ურთიერთობა უფრო გაამყარა.

ორიოდე სიტყვა ქალბატონ თინათინის შესახებ. ჩვენი დროის უდიდეს მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას ნათქვამი აქვს: „საოცარია, ბიბლიოთეკების მოსამსახურენი ლანდებს ემსგავსებიან ხოლმე, ისე ფეხაკრეფით დადიან, თითქოს წიგნების ილუსტრაციებიდან გადმოსულან და სული ჩაუდგამთ“. ეს ბრძნული ნათქვამი ნაწილობრივ მიესადაგება ქალბატონ თინათინის პიროვნებას. იგი მართლაც წიგნებში განსახიერებული უკეთილშობილესი ქალბატონების ორეული იყო – ძველი ქართული კდემამოსილებით აღსავსე მანდილოსანი, პატიოსნებით და ყოველგვარი ღირსებით გამორჩეული. მისი ნიჭის გამოვლინების ერთ-ერთი მაგალითი იყო ისიც, რომ მან შეადგინა საქარ-

თველოს მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის პრაქტიკული სახელმძღვანელო „ანბანური კატალოგი“, რომელიც მეთოდკაბინეტმა გამოსცა საკმაოდ დიდი ტირაჟით და დაუგზავნა რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს.

1953 წელს მეთოდკაბინეტი გააუქმეს და რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთე-

კას შეუერთეს ბიბლიოთეკატმცოდნეობის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების სახით. ამ განყოფილებაში რამდენიმე წელს ვმუშაობდი. ჩვენთან იქვე ახლოს იყო განთავსებული ქართველოლოგიის განყოფილება, რომელსაც ქალბატონი თამარ მაჭავარიანი ხელმძღვანელობდა და სწორედ აქ შევხვდი პირველად მას. თავისუფალ დროს ხშირად შევდიოდი ამ განყოფილებაში და ქალბატონ თამარის ნებართვით გაზეთ „ივერიის“ კომპლექტებს ვათვალიერებდი, რომლებსაც ქალბატონი თამარი სათუთად უვლიდა. ერთხელ ქალბატონმა თამარმა ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმის დირექტორი – ბატონი პლატონ კეშელავა გამაცნო და მთხოვა, დავხმარებოდი მას, რომ „ივერიის“ კომპლექტებიდან ჭავჭავაძის შესახებ მუზეუმისათვის საჭირო მასალები ამომებეჭდა. ამ გაზეთის კომპლექტების გატანა ბიბლიოთე-



კის გარეთ ყოვლად დაუშვებელი იყო და ჩვენს განყოფილებაში კი, რადგანაც საბეჭდი მანქანა გაგვაჩნდა, ამის გაკეთება შეიძლებოდა. ცხადია, ამ საქმიანობამ საკმაოდ დამაახლოვა ამ დიდებულ ადამიანთან ქალბატონი თამარის ღვანლის, მისი საქმიანობის შესახებ საუბარი ძნელია, რადგანაც იგი ძალზე ვრცელია და დიდი. თუნდაც ის რად ღირს, რომ მისი ხელმძღვანელობით შედგა და გამოიცა ქართული ჟურნალებისა და კრებულების, ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ტომები, რომლებიც მეცნიერებისა და კულტურის საგანძურს წარმოადგენს.

აქვე გვინდა მოკლედ გვიამბოთ ქალბატონ თამარის დამოკიდებულების შესახებ მკითხველების მიმართ. ქართველოლოგიური განყოფილების მცირე სამკითხველო ოთახში ხშირად მინახავს ცნობილი ადამიანები, რომლებიც ძველ ჟურნალ-გაზეთებში თავჩაღუნული ზოგჯერ მთელი დღე მუშაობდნენ, ხან კი თამარ მაჭავარიანთან შედიოდნენ და რაიმე საკითხის გასარკვევად ჩუმად, ხანგრძლივად საუბრობდნენ. ერთხელ მასთან დავინახე მოსაუბრე პიროვნება, რომელიც სამკითხველო ოთახში ხშირად მენახა. ეს იყო ერთ დროს საქართველოს რესპუბლიკის მეთაური, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანი, რომელიც ადრე საზეიმო მსვლელობის დროს ტრიბუნაზე შორიდან თუ დამინახავს და აქ გამოტანილ გადიდებული სურათებით თუ ვიცნობდი. როცა დრო ვიხელთე, ქალბატონ თამარს ვკით-

ხე: თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს და უხერხული არ იქნება, იქნებ მითხრათ, რაზე გესაუბრებოდათ-მეთქი, არაო, მითხრა მან, აქ დასამალი რა არის, იგი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს და ამის შესახებ ვსაუბრობთ ხოლმეო, საუბრის დროს ერთხელ ისიც მითხრა, რომ ახლა ხშირად ნანობს, როცა შეეძლო, საჯარო ბიბლიოთეკისათვის ბევრი კარგი საქმე გაეკეთებინა, განსაკუთრებით გვერდით მდებარე ფინანსთა სამინისტროს შენობა გადაეცა და ისიც ვერ გააკეთა. ეს არის მისი დაგვიანებული სინანულიო.

ამ განყოფილებაში გამოჩენილი, დიდი მეცნიერებიც ბევრი მინახავს, რომელთა შესახებაც საუბარი მეტად შორს წავიყვანს, აქ მხოლოდ ერთ პიროვნებას, მართლაც და მეტად ორიგინალურ პიროვნებას გავიხსენებ. იგი გახლდათ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, რომელიც ქალბატონ თამარის ხშირი სტუმარი იყო და დიდად მადლიერიც. ამიტომაც საუბარი თამარ მაჭავარიანის შესახებ და ეს წერილიც ბატონ ვახტანგ ბერიძის ნათქვამით უნდა დავასრულოთ: „ბიბლიოთეკაში ისეთი მრჩეველი და მზრუნველი მყავდა, რომ მის ამაგს ვერასოდეს დავივიწყებ, ეს იყო ქართველი ქართველოლოგიის მეგობარი და პატრონი – თამარ მაჭავარიანი, ქართული წიგნისა და პერიოდიკის დარგში ენციკლოპედიური ცოდნის მქონე, ჩვენი ეროვნული კულტურის უანგარო, დიდად დასაფასებელი მოღვაწე“.

## იური სიხარულიძე

# ვისაც ბედმა უმეხვედრა

(ნანწყვეტილი მოგონებებიდან)

ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელი ყრმობის წლებიდან ხშირად მესმოდა ჩვენს ოჯახში, სადაც მისი დიდი პატივისცემა და სიყვარული იყო დამკვიდრებული.

ამას ბევრი რამ აპირობებდა: ნ. ბერძენიშვილისა და ჩემი წინაპრები კარის მეზობლები იყვნენ და ადრიდანვე კეთილი ურთიერთობა აკავშირებდათ.

ეს ურთიერთპატივისცემა ჩემი ბაბუის – ავქსენტისა და ნიკოლოზის დამეგობრებით გაცხოველდა.

ბაბუა ავქსენტი 8 წლით უფროსი იყო მასზე, მაგრამ ამას არავითარი დაბრკოლება არ შეუქ-

მნია მაღალკაცურ ურთიერთობისათვის.

ამ მეგობრობის შედეგი იყო ის, რომ ავქსენტიმ რეპეტიტორად თავისი ერთადერთი ვაჟისა (როდესაც ის გიმნაზიაში უნდა შესულიყო), სწორედ თავისი მეგობარი აირჩია და არც შემცდარა. კარგ რეპეტიტორს შეგირდიც გონიერი შეხვდა და წარმატებამაც არ დააგვიანა. შეგირდი გიმნაზიაში შევიდა და უნივერსიტეტი-საკენაც გაეხსნა გზა.

მასწავლებელს მოწონდა შეგირდის ნიჭიერება, ენერგიულობა და ზრდილობა. ამიტომ სთხოვა მეგობრას, უნივერსიტეტში შეეყვანა შვილი, რომ შემდეგ საპროფესოროდ მომზადებულიყო



იგი.

ავქსენტიმ მადლობა მოახსენა ამ დიდი პატივისათვის, შემდეგ კი ჩვეული მოკრძალებით თავისი გასაჭირი ამცნო:

– ჩემო ნიკო, ვინ არ მიხვდება იმ სიკეთეს, რასაც შენ მთავრობ, მაგრამ მე დიდი გასაჭირი მიდგას, რომლისაგანაც შენმა ნამონაფარმა უნდა გამომიყვანოს. საქმე იმაშია, რომ თითქმის ორი საუკუნე იქნება, თუ მეტი არა, რაც ჩემი წინაპრების ბედი ერთ ვაჟზეა გამოკიდებული. ერთი იყო მამაჩემი (იესო) და არც მამამისს (ივანე ფარეშუხუცესი) ჰყოლია ძმა; ალარც მე შემრჩა ძმა (თეოფინე) რომელიც სამი წლის წინ გარდაიცვალა 1898 წელს და არც ჩემს შვილს. ასე რომ, ამგვარად თითო-თითოდ მოვატანეთ აქამდე. ახლა ჩემს შვილზე მიდგა საქმე. მე მისი ერთი შვილის იმედით ვერ დავრჩები. იმან უნდა გამამრავლოს საიმედოდ და ხუთი შვილი მაინც უნდა ეყოლოს. ეს დიდი საქმეა ჩემი აზრით და თუ ის ამას გააკეთებს, ჩვენი ოჯახის ისტორიაშიც ღირსეული მამის სახელით დარჩება, ამიტომ მისთვის პროფესორობის შეთავაზება ძნელია. ამას ჩემი მრავალგზის ნაავადმყოფარი შვილი ვერ შეიძლებს. თუ თქვენ მაინცდამაინც თვლით, რომ ჩემი ვაჟი საპროფესოროდ ვარგისი ძალაა, ეს ძალა ხომ შეიძლება, მის შვილებს აღმოაჩნდეთ?! ჰოდა, ასეთი რამ გამორიცხული არ არის და პირობას გაძლევთ, რომ ერთ-ერთ შვილიშვილს უთუოდ გამოგიგზავნით საპროფესოროდ.

ბატონ ნიკოს არ გაძნელება გამრავლების მონადინე კაცის გულისთქმის ამოცნობა და კი არ დაუძრახავს მისი უარი შვილის სამეცნიერო სარბიელზე გასვლის წინააღმდეგ, პირიქით, მოუწონა კიდეც, ეს დიალოგი 1923 წელს შედგა, როდესაც ბატონი ნიკო გოგელესუბანს ეწვია.

1924 წელს ბატონ ნიკოს ნამონაფარმა დაამთავრა ჩოხატაურის ჰუმანიტარული ტექნიკუმი, რომელიც გიმნაზიის ბაზაზე შეიქმნა 1921 წლის შემოდგომაზე და მშობლების ფარულად მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორს თხოვნით მიმართა, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაერიცხათ.

მოსკოვს გასამაგზავრებლად საჭირო სახსრებიც ჰქონდა და სხვა მხრივაც მზად იყო, მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ ყველაფერი ჩაუშალა.

აჯანყების მონაწილეს არა თუ საამისო დოკუმენტი არ მისცეს, არამედ თავისუფლად რომ დადიოდა, ისიც დააყვედრეს.

მოსკოვს მიმავალი გზის მჭიდროდ ჩარაზვის შემდეგ, ავქსენტი სიხარულიძის ვაჟი (მეორე)

სამხედრო-სავალადებულო სამსახურში გაიწვიეს, ხოლო შინ დაბრუნების შემდეგ სასწრაფოდ დააქორწინეს.

ამ ქორწინების პირველი ნაყოფი ავქსენტის სასიხარულოდ ვაჟი აღმოჩნდა, რომელსაც მამამ ბაბუის სახელი კი არა, მისი საყვარელი მასწავლებლის, პროფესორ იური მარის (ნიკო მარის ვაჟი) სახელი შეარქვა.

ავქსენტის, რა თქმა უნდა, ესიამოვნებოდა, რომ მის შვილიშვილს ბაბუის სახელი დარქმეოდა, მაგრამ არც ის სწყენია, რომ მისმა შვილმა ბავშვს ისეთი სანაქებო მეცნიერის სახელი უწოდა, როგორც იური მარი ბრძანდებოდა (1893–1935).

იზრდებოდა ბაბუას საოცნებო შვილიშვილი და ავქსენტიც ხარობდა.

ამასობაში ჯერი მეორე შვილიშვილზეც მიდგა. ავქსენტის ახლაც ვაჟი სურდა, მაგრამ მის წადილს ახდომა არ ეწერა. ქალი დაიბადა (1929).

დალონდა ავქსენტი, მაგრამ ვაჟის იმედს მაინც არ ჰკარგავდა.

ასე მიენურა 1932 წელი და ნოემბრის დამდეგს ისე გარდაიცვალა, რომ მესამე შვილიშვილს ვეღარ მოესწრო, რომელიც 1933 წლის თებერვლის დამდეგს დაიბადა. მამამ მას ახლა უკვე ბაბუის სახელი დაარქვა და მამის დაკარგვის გამოწვეული დიდი მწუხარების განელება მისი სახელის გაცოცხლებით მოინდომა.

გარდა ბაბუის სეხნიობისა, ავქსენტი მეორე მამაჩემისათვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ მის შვილებში მხოლოდ მას ერგო მოსკოვში მიეღო უმაღლესი განათლება და ისტორიკოს-არქივისტის პროფესიას დაუფლებოდა.

ვაჟები ჩვენს ოჯახში შემდეგაც დაიბადნენ: ბიძინა 1934 წელს, ფრიდონი 1937 წელს და ამირანი 1945 წელს.

ბიძინა 1936 წელს დაიღუპა, ხოლო ფრიდონი 2010 წ. გარდაიცვალა, ამირანი უფრო ადრე – 2003 წელს. ორივენი ახლოს იცნობდნენ ნიკო ბერძენიშვილს, განსაკუთრებით ფრიდონი, რომლის სამეცნიერო სარბიელზე გამოსვლას ბატონი ნიკო კიდეც მოესწრო და ინტერესითაც ადევნებდა თვალსყურს მის პირველ ნაბიჯებს საისტორიო მეცნიერებაში.

ნ. ბერძენიშვილს ჩვენი სოფლის ყველა ოჯახი აღმერთებდა. დიდად უყვარდა ის მის პირველ მასწავლებელს, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის აღზრდილს ილია სიხარულიძეს (1875–1947).

ნიჭიერი შეგირდები მას ბევრი ჰყოლია, მაგრამ ბერძენიშვილისებურად არაივნ დაწინაურებულა.



ბუნებრივია, ახარებდა ეს მასწავლებელს და მაგალითად უსახავდა მას თავის ახალ შევირდებს.

ეს მაგალითი მეც დამისახელა, როდესაც 1934 წლის აგვისტოში განცხადება მივართვი სკოლაში მიღებაზე (განცხადება მამაჩემმა დამინერა).

მზიანი დღე იყო. სკოლას სამი ოთახი ჰქონდა. ორი მეცადინეობისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო ერთი სამასწავლებლოდ. იქვე იდგა გამგე – მასწავლებლის მაგიდაც.

რადგან ძალიან ცხელოდა, სამასწავლებლოს კარი ღია იყო. როდესაც კარს მივაღექი, ბატონმა ილიამ თავი ასწია, წერას თავი დაანება და თავისთან მიმიწვია.

ჩემი განცხადება წაიკითხა, საქალაქური ჩადო და საუბარი გამიმართა.

როგორა ხართ ოჯახში? – ეს იყო პირველი შეკითხვა.

არა გვიშავს–მეთქი.

კარგი ბაბუა დაკარგეთო, – მითხრა და მცირე პაუზის შემდეგ ბებიას ჯანმრთელობა მკითხა:

– ძალიან მოგვიხუცდა კესარია ბებია, მაგრამ ჯერ კიდევ მხნეადა.

– ო, რა მშრომელი ქალი იყო! – თქვა და ამით დაამთავრა ოჯახზე საუბარი და პირადად ჩემი მდგომარეობით დაინტერესდა.

– მამაშენმა წერა–კითხვა გასწავლა, ალბათ.

– წერა–კითხვა კარგა ხანია ვიცი და სკოლაშიც მინდოდა შესვლა, მაგრამ ვიდრე რვა წლის არ გავხდები, ოცნება არ ამისრულდა.

– ეს ვიცი, მამაშენმა ბევრჯერ მთხოვა, მაგრამ ნებას არ გვაძლევენ რვა წელზე ადრე მივიღოთ ბავშვები. ისე, რაც უფრო ასაკოვანი შევა ბავშვი სკოლაში, მით უკეთესია, თუ ნიჭი მოდგამს და ინტერესიც აქვს, უკეთესად ისწავლის. 8 წელს სულ 4 თვე აკლდა ნიკო ბერძენიშვილს, როდესაც ჩვენს სამრევლო სკოლაში მივიღეთ 1898 წლის სექტემბერში და საოცრად დიდი ინტერესი და ნიჭი გამოავლინა, – თქვა ეს და ჩაფიქრებულმა განაგრძო:

– ნიჭიერი მისი თანაკლასელი ფილიმონ გოგოლაძეც იყო, მაგრამ მას თავისი ნიჭის ცხოვრებაში განხორციელება ვერ მოუხერხდა და მისი ნიჭიც დაიღუპა. ნიკოსაც არაერთხელ შეექმნა ხიფათი ამ გზაზე, მაგრამ, განგების ძალით, დაძლია დაბრკოლებები და დღეს თბილისის უნივერსიტეტის დოცენტია, დიდი ნიკო მარის ნამონაფარის და ჩვენი უნივერსიტეტის მესაძირკვლის სახელოვანი ივანე ჯავახიშვილის მოწაფე, – ბატონმა ილიამ სხვებიც გაიხსენა, – სამეცნიერო სარბიელზე სხვებიც დანინაურდნენ ჩვენგან. შენ ხომ იცნობ დარო

ბებიას, ჩხიკვაძის ქალს. მისი სამი შვილი მეცნიერია – ვანო, მარიამ და ქსენია სიხარულიძეები. ყველა ესენი მისაბაძნი არიან და შენც უნდა მიბაძო, თუ გინდა, რომ კარგი კაცი გახდე და ღირსეულად ემსახურო ქვეყანას.

მასწავლებელი იმ დროს ღმერთთან იყო გატოლებული და მეც ღრმად ჩამწვდა გულში გამოცდილი პედაგოგისა და სოფლის ყოფილი მოძღვრის ეს სიტყვები.

შინ აღფრთოვანებული დავბრუნდი და ვნატრობდი პირველი სექტემბრის დადგომას, როდესაც სკოლის მერხს მივუსხდებოდი.

გაიარა ოთხმა სასწავლო წელმა და გოგოლე-სუბნელი მოსწავლე მოულოდნელად ბათუმის საბაზო–სანიმუშო სკოლაში აღმოვჩნდი.

ეს სკოლა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის ყოფილ შენობაში იყო მოთავსებული და ნ. ბერძენიშვილის სახელის ხსენება იქაც არ იყო იშვიათობა.

ბატონი ნიკო, ამ გიმნაზიის აღზრდილი იყო და გიმნაზიაში სწავლის დროდანაც ბევრს ასწავდა და იმ სიმაღლიდანაც, რომელზეც XX საუკუნის 30–იანი წლების მიწურულს იდგა.

1949 წლის ბოლოს დავტოვე ბათუმის საბაზო–სანიმუშო სკოლა და სწავლა ჩოხატაურის აკად. ნ. მარის სახელობის საშუალო სკოლაში განვაგრძე.

1944 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად თბილისის ვცადე ბედი, მაგრამ უზინაობამ და ავადმყოფობამ იქ ფეხის მოკიდების საშუალება არ მომცა და ისევ ზღვისპირეთს მივაშურე, სადაც ბინაც მქონდა და ნივთიერი უზრუნველყოფის ერთგვარი ბაზაც.

ბათუმში იმ დროს მუშაობდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს იურიდიული ინსტიტუტის სასწავლო ცენტრი, რომლის მსმენელიც გავხდები.

თბილისიდან ჩამომსვლელ პროფესორთა შორის ბრძანდებოდა გამოჩენილი ქართველი იურისტი გიორგი სოსელია, რომელიც ქართული სამართლის იტსტორიას კითხულობდა.

ბატონი პროფესორი ბოროტად იყო განწყობილი ქართული ისტორიოგრაფიის მაშინდელი მესვეურებისადმი და თავის ლექციებში ეპითეტებს არ იშურებდა ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას განსაკიქებლად.

პროფესორის გაცხარება ნაკლებად აღელვებდა აუდიტორიას, რადგან ნ. ბერძენიშვილი და ს. ჯანაშია საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები იყვნენ.

სხვა მეცნიერთაგან იმ დროს ამ დიდი ისტორიკოსების აუგად ხსენება არ გვსმენია, დადებითად კი ბევრს მოუხსენებია.



1945 წელს პარალელურად სწავლა განვაგრძე ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც საქართველოს ისტორიას ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი სარგის კაკაბაძე (1886–1967) კითხულობდა.

ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ პერიფერიაში მყოფ მომავალ ისტორიკოსს ასეთი სახელგანთქმულ ისტორიკოსს შემხვედრდა.

ბატონი სარგისი თავდაუზოგავად ებრძოდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს (1876–1946) და მის მოწაფეებს ნ. ბერძენიშვილსა და ს. ჯანაშიას.

ლექცია არ მახსოვს, რომ კრიტიკის ქარცეცხლში არ გაეტარებინა ისინი. განსაკუთრებით არ ინდობდა საქართველოს ისტორიის სასწავლო ნიგნს, რომელშიც ასობით შეცდომაზე მიუთითებდა. როგორც ქართველ ისტორიკოსებთან სტალინის 1945 წლის ოქტომბრის შეხვედრისას გამოიჩინა, ამ ნიგნს შეცდომები მართლაც არ აკლდა, მაგრამ მაშინაც არ მომწონდა მისი ასეთი დაჟინება და როდესაც დავუახლოვდი, ერთხელ მოკრძალებით შევბედე და ვუთხარი, რომ მისი გამოსვლა, ცოტა არ იყოს, არაეთიკურად მიმაჩნია. პირველად გაცხარდა, მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და მითხრა: – ყმაწვილო, თქვენი აზრი სწორია. მე რომ ასე არ დამენიოკებინა ივანე და მისი მოწაფეები, შეიძლება ჩემი საქმე უკეთ წასულიყო და დღეს პერიფერიებში კი არ მეხეტიალა, არამედ თბილისის უნივერსიტეტშიც კი მქონოდა ლექციებიო.

ეს სწორი აღიარება გახლდათ, მაგრამ უკვე გვიანი და თან კერძო საუბარში გამხელილი.

პროფესორის ასეთმა გააფთრებულმა აუგმა თბილისიდან საგანგებო კომისიის ჩამოსვლა გამოიწვია – პროფესორი გაათავისუფლეს.

ეს 1947 წელს მოხდა.

ბატონი სარგისი დოცენტმა მამია ღუმბაძემ შეცვალა.

ბატონი მამია ნიკო ბერძენიშვილის მოწაფე ბრძანდებოდა და მოძღვრის ქების გარდა მისგან არაფერი გვსმენია.

გამოხდა ხანი და თავისი ჭაბუკობის ქალაქს ნ. ბერძენიშვილი ეწვია. იმ დროს ქართული საისტორიო მწერლობის ერთადერთი მეთაური ბრძანდებოდა და თავისი ცხოვრების მწვერვალზე იდგა.

მისმა თავყანისმცემელმა ვახტანგ პარკაძემ (ინსტიტუტის დირექტორი) ის დიდი გამოჩინებით მიიღო და ბრწყინვალე შეხვედრაც გაუმართა.

ბატონი ნიკო „ინტურისტში“ დაბინავდა, ამ სასტუმროსთან იმ დროს გაშინაურებული ვი-

ყავი, რადგან იქ ძველი ბერძნული და ლათინური ენის გაკვეთილებს ვიღებდი ჩემი ძვირფასი მოძღვრებისგან (პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, დოც. პ. ბერაძე), მაგრამ ბატონ ნიკოსთან მისვლა მაინც ვერ გავბედე.

შემდეგ დავრწმუნდი, რომ ძალიან შევცდი.

ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში განსაკუთრებით გამორჩეულია 1949 წლის 15 მარტი, როდესაც საქართველოს სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვედი ქუთაისში.

ასეთი წარმატებული დღე მანამდე არასოდეს მქონია. ჯერ ერთი, პირთამდე სავსე აუდიტორიაში (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში) მომიხდა გამოსვლა.

მოხსენებაც შთამბეჭდავად ნავიკითხე ზეპირად. წარმატებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა უცხოელი მწერლების ორიგინალის ენაზე ციტირებამ, და იმანაც, რომ აღიარებული მეცნიერის, პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის შეგირდი გახლდით.

ჩემდამი ინტერესი მნიშვნელოვნად გააცხოველა პროფ. ს. კაკაბაძის დაუნდობელმა გამოსვლამ.

ადვილი არ იყო მისი კრიტიკის მარწმუნებელთაგან დახსნა, მაგრამ შიში გულს არ გამკარებია და, როდესაც საპასუხოდ ისევ დავუბრუნდი ტრიბუნას, აუდიტორიის დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი.

როდესაც პასუხს მოვრჩი, აუდიტორიამ მქუხარე ტაშით დამაჯილდოვა.

ამას მოჰყვა დიდი მეცნიერის, პროფესორ ანგია ბოჭორიშვილის რეპბლიკა ჩემს სასარგებლოდ.

არც სხდომის თავმჯდომარე, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი ლუკა ჭედია შეხვედრია ჩემს გამოსვლას ღუმლით და არც გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ალექსანდრე ლლონტიც (შემდგომ პროფესორი).

ყველაფერმა ამან განაპირობა, რომ პირველი პრემია მომაკუთვნეს.

ეს, ამბავი ისე გახმაურდა, რომ ნ. ბერძენიშვილამდეც მიაღწია თბილისს.

გავიდა რამდენიმე დღე და ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი, დოც. ვახტანგ პარკაძე მეძახის და მეუბნება: – ნ. ბერძენიშვილს სურს შენთან შეხვედრა და დღესვე უნდა გაემგზავრო თბილისსო.

მაშინვე გამიფორმეს მივლინება, დაუკვეთეს ბილეთიც და, ჩემს ცხოვრებაში პირველად „საერთაშორისო“ ვაგონით ვიმგზავ-



რე თბილისამდე.

ნ. ბერძენიშვილმა ისტორიის ინსტიტუტში (ძერჟინსკის 8) მიმილო. დანვრილებით მესაუბრა და ბოლოს მითხრა: – კარგია, ძველ ენებში განაფულხარ, მაგრამ ბიზანტიის ისტორიაში დასპეციალებას არ გირჩევ, ბიზანტიას ბევრი მეცნიერი დასტრიალებს თავს, საქართველოს ისტორია კი ჯერ კიდევ კადრების შიმშილს განიცდის. ამიტომ ჯობს შენი ქვეყნის ისტორიის კვლევას მიუძღვნა სიცოცხლეო.

და, ბოლოს:

– იფიქრე, იფიქრე, და, თუ ჭკვაში დაგიჯდება ეს რჩევა, სექტემბერში შემოიტანე განცხადებაო, – ახლა, მშვიდობით! – მითხრა და მეც გაოგნებული გამოვედი. მისი კაბინეტიდან.

იმავე დღეს ვინახულე ბატონი სიმონი და ყველაფერი ვუთხარი.

– როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქეცი, მე ბიზანტიანისტი ვარ, მაგრამ ეს სრულებით არ მიშლის ხელს საქართველოს ისტორიაშიც ვიმუშაო... მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და არჩევანსაც საბუთიანად გააკეთებო.

ამის შემდეგ გამოვეთხოვე ძვირფას მასწავლებელს და იმავე საღამოს შინ გამოვეგზავრე. გ. პარკაძემ დიდი ინტერესით მოისმინა თბი-

ლისში მივლინების შედეგები და თქვა: – ეს დიდი ამბავია, ქართული ისტორიოგრაფიის მეთაური ასპირანტურაში გეპატიჟება. ამის მსგავსი რამ მე აქამდე არ მსმენია. ეს დიდი ბედნიერებაა, შენ ეს ბედნიერება ნამდვილად დაიმსახურე და ბედმაც გაგილიმა.

შენ მეორე დიდი პატრონიც გაყავს ს. ყაუხჩიშვილის სახით, მაგრამ ნ. ბერძენიშვილის შემოთავაზებას მაინც სხვა ფასი აქვს და შენი მომავალი გზაც არსებითად უკვე გამოკვეთილია.

1949 წლის აგვისტოში ბატონი ვახტანგი თბილისის გადაიყვანეს და მის ნაცვლად ინსტიტუტის დირექტორად დოცენტი ნადიმ ნიჟარაძე (1898–1982) დაინიშნა.

ბატონი ნადიმიც კეთილად იყო განწყობილი ჩემდამი და არათუ მხოლოდ გამოცდების წარმატებით ჩაბარება მომილოცა, არამედ პროფესორ–მასწავლებელთა შტატშიც მაშინვე შემიყვანა.

ჩემმა ასე სწრაფად გაასისტენტებამ ნ. ბერძენიშვილის ყურადღებაც მიიპყრო და ყოველმხრივ მიწყობდა ხელს, რომ მოვალეობა პირნათლად შემესრულებინა და ასპირანტურაშიც არ ჩამოვრჩენილიყავი.

## იუბილე

### ზეინაზ ჟიჟილაშვილი

## ნ. ლაიშვილი - 90

ძნელად შეიძლება მოინახოს ისეთი მუყაითი ადამიანი, საქმისადმი ერთგული, ბიბლიოთეკასა და მკითხველზე უზომოდ შეყვარებული, დაუზარელი, ყოველ წუთს მოფუსფუსე, საქმიანი, სულ ახალგაზრდული შემართებით მომუშავე, თავაზიანი, თავმდაბალი, დიდთან – დიდი, პატარასთან – პატარა, ახლის მადიებელი, საზოგადოებრივი საქმიანობის მუდამ აქტიური წევრი, როგორადაც იცნობდნენ ბიბლიოთეკის დიდ კოლექტივში ქალბატონ ნინო ლაიშვილს.

იმუშაო ასეთ დიდ კოლექტივში და ყველა მათგანის პატივისცემა დაიმსახურო, მართლაც რომ ძნელი საქმეა. ქალბატონ ნინოს ეს არ უჭირდა. მას იშვიათად ნახავდით მოღუშულს, იგი მუდამ გაღიმებული და გულგაშლილი ხვდებოდა ყველას. მოგიკითხავდა, თუ რამე გიჭირდა,



თავის სამსახურს შემოგთავაზებდა. ამ დროს, შეიძლება მას შენზე უფრო მეტიც კი ანუხებდა, უამრავი საზრუნავიც ჰქონდა.

გავიხსენოთ ეს საინტერესო ადამიანი, რომელიც გამორჩეული იყო ყველასგან თავისი აკვარგიანობით.

ქალბატონი ნინო დაიბადა ქ. თბილისში 1919 წლის 10 ივლისს, 1937 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-14 სანიმუშო ათწლედის და იმავე წელს შევიდა თბილისის სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1941 წლის ნოემბერში. 1940 წ. მუშაობას იწყებს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ პოლიტგანათლების მუ-

შაობის მეთოდურ კაბინეტში მეთოდისტის თანამდებობაზე. იმსახურა 6 თვე. 1942 წ. 8 ივლისს მუშაობას იწყებს საჯარო ბიბლიოთეკაში



მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგის თანამდებობაზე, 1945–47 წწ. 1 ნოემბრიდან საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეა. 1961 წ. 1 მარტიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ამავე განყოფილებაში მთავარი ბიბლიოგრაფის თანამდებობაზე. 1947–52 წწ. სწავლობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში საბიბლიოთეკო ფაკულტეტზე.

დაჯილდოებული იყო მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის 1941–45 წწ. დიდ სამამულო ომში“; 1957 წ. სამკერდე ნიშნით „ნარჩინებული მუშაობისათვის“ 1961 წ. მიენიჭა საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება, 1962 წ. რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკის წოდება.

აქვს 75 სახელწოდების ბიბლიოგრაფიული და მეთოდური ხასიათის დაბეჭდილი შრომა (ნიგნად) და 40-ზე მეტი საჟურნალო-საგაზეთო სტატია.

მისი ფუნდამენტური ნაშრომებია: „ვერიკო ივლიანეს ასული ანჯაფარიძე“ (შემოქმ. და საზ. მოღვაწეობის 50 წლისთავი: ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებელი), თბ., 1968; 346გვ, ქართულ და რუსულ ენებზე. „იოსებ ელიოზის ძე ნონეშვილი“ (დაბადების 50 და

შემოქმედების და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 30 წლისთავი), ლიტ. ბიბლიოგრაფიული საძიებელი, თბ., 1968, 121 გვ; ტექსტი ქართულ და რუსულ ენაზე და სხვა.

ქალბატონ ნინოს ბიბლიოთეკის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება. იქ ყოფნა სულიერ სიმშვიდეს აძლევდა, სიცოცხლეს ძალასა და ენერჯიას მატებდა.

ნინო ლაიშვილი წლების განმავლობაში ასრულებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებებს. მის პირად საქმეს 50-ზე მეტი მაღლობა ამშვენებს დირექციის და მკითხველისა.

დიდი ბუნების და ლამაზი სულის ადამიანი იყო ქალბატონი ნინო. წესრიგი უყვარდა; საქმეს გზაზე არ მიატოვებდა, არც ხვალისთვის გადასდებდა; არც არაფერი შეეშლებოდა, ყველასი და ყველაფრის ფასი იცოდა, ტანმორჩილი ქალი იყო, მაგრამ დიდი გული ჰქონდა, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულით აღსავსე, უღალატო და უხვი იყო, რამდენის აწევაც შეეძლო, იმდენი ასწია, რის გაღებაც შეეძლო – გაიღო და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

გარდაიცვალა 1996 წლის 27 იანვარს, თავისი სახელობის დღეს – „ნინობას“.

## რეცენზია

### გურამ თაყნიაშვილი

## „ბარდასახვაში მოჩანს სიამე“

ეს პოეტური ფრაზა ამოღებულია რუსთაველი ბიბლიოთეკარისა და პოეტის ცირა ბულაშვილის ლექსების პირველი კრებულიდან „მე მოვალ შენთან“ (რუსთავი, 2010); ეს დიდტანიანი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი მკითხველის ყურადღებას იპყრობს ავტორის თავისებური, ლაღი, უშუალო პოეტური ხერხებით და აზრის სიცხადით, რომელსაც აშკარად ამჩნევია სულიერი კეთილშობილების კვალი. ეცნობით ამ ქალბატონის პოეტურ სამყაროს და უშუალოდ განიცდით მის საფიქრალს, გონების ხმას დამორჩილებულს და მაღალ მორალურ ღირებულებებთან ნაზიარებს. პოეტის ნათქვამი ერთსა და იმავე დროს მსუბუქიცაა, მუსიკალური, სიმხნევის ელფერით შემკობილი და სევდანარევიც, გარესამყაროში მიმდინარე ცვლილებებს რომ ხატავს ასეთი გრძნობითა და თვითსრულყოფის უტეხი სურვილით. მის ლექსებში წაიკითხავთ გულწრფელ სტრიქონებს პირველყოფილი უმანკოების, ხმელ ფოთ-

ლებში შემალული გულის ფრიალისა და პირველი სიყვარულით გამოწვეული სევდის შესახებ. პოეტი ქალი ამაყად დგას მშობლიურ მიწაზე: „ჩემო მიწავ, ნაზამთრალო, გული ფერით აგივსია, დავტკბე შენი სიყვარულით, ვარდობისთვე – მაისია“ („მშობელ მიწას“). ფიქრის სამყაროში განრიდებული პოეტისათვის ერთობ მძიმეა სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული სევდის ატანა. იგი სულის ჭრილობებს ღიად ატარებს და სჯერა მარად უცვლელისა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მომავლისა: „ჩემო მამულო, შენს უკვდავებას, მეც წავინერებ გულის ფიცარზე“ („სამშობლოვ, ჩემო“).

ცხოვრების შუაგულში მოტრიალე პოეტის გონებრივი და ემოციური სამყარო დღენიადაგ იკვებება განახლებული აზრებით, გარდასულ და თანამედროვე ავტორთა სიბრძნით, ასე უხვად რომ არის განფენილი ნაირფეროვანი შინაარსის მქონე წიგნებში. პოეტი პროფესიონალი ბიბლიოთეკარია, იგი წიგნების სამყაროში





ტრიალებს, კითხულობს, განიცდის; კითხულობს რათა ბავშვებიც, ახალგაზრდებიც აზიაროს წიგნის სიბრძნეს, ურომლისოდაც შეუძლებელია მეცნიერების დაუფლება, მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბება.

პოეტის ლექსებში ნაკლებადაა სიტყვების ზედმეტი გადაადგილება,

თითოეული ფრაზა თავის ადგილზეა, რიტმში აწყობილი და სათქმელს შეხამებული. პოეტი მუზის მორჩილია და მისი ძალით ამეტყველებული თითოეული სტრიქონი ემოციურადაა დატვირთული ისეთი დოზით, რომ მკითხველი აშკარად გრძნობს აზრის სისადავესა და ძალდაუტანებელ დინებას; მუზაა მისი ლექსების დვრიტა და ზეშთაგონების უშრეტი წყარო. პოეტი მორჩილად მიმართავს მუზას, არ მიატოვოს მაშინ, როდესაც მისი სხეული დაჭრილია განცდათა სიმძაფრისაგან. პოეტს გულის სიღრმემდე განუტყდია ანა კალანდაძის გადასვლა ზესთსოფელში, პოეტისა, რომლის „სასთუმალთან პოეზია ღამეს ათევდა“ („სულის გოდება“). წიგნი თემატურად მრავალფეროვანია; ავტორი გულწრფელად უმღერის პირველ სიყვარულს, გაზაფხულს, დედას, სიკეთეს, სილამაზეს, ბუნებას, მშობლიურ რუსთავსა და იმ არემარეს, სადაც ბავშვებისა და ბუნების სიამტკბილობა იგემა. მალამხატვრული ოსტატობითაა შესრულებული მისი ლექსი „ანბანთქება“. ამ ლექსმა საქართველოს ესთეტიკური აღზრდის ცენტრში ჩატარებულ კონკურსში „ქართული კალიგრაფია“

გაიმარჯვა და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. კრებულში შესულია აგრეთვე მინიატურული ჟანრის მოთხრობები, ესკიზები, ბრძნული აზრების ჩანაწერები, სადაც ავტორი ცოცხალ ფერებში ხატავს თანამემამულეებს, მათ კეთილშობილურ საქმეებსა და მისწრაფებებს. ცირა ბულაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა მხატვარ კალიგრაფისტად, დეკორატორად, მისი კალიგრაფიითაა შესრულებული „პოეზიის ხელნაწერი ანთოლოგია“, რომელშიც წარმოდგენილია რუსთავისადმი მიძღვნილი ლექსები. ხელოვნებისადმი მისი სიყვარული მხოლოდ მხატვრული სიტყვით არ შემოიფარგლება. იგი ნამდვილი ოსტატების გემოვნებით ამზადებს ქართული ტიხრული მინაქრის ულამაზეს ნაკეთობებს. ასეთი ნაკეთობებით დამშვენებული ვერცხლის სამკაულების პერსონალური გამოფენა მოენწყო ამას წინათ რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

პოეტი და პროზაიკოსი, ბიბლიოთეკარი ცირა ბულაშვილი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, შვილებითა და შვილიშვილების პატრონს, ბევრჯერ მუზასთან განმარტოება ენატრება. „მე მარტოობას ოთახში ვკეტავ, ფიქრის სამყაროს ვეხები რიდით“, – აცხადებს პოეტი და შესტრფის გარდასახვით გამოწვეულ სიამეს „როგორც უმანკო დილის ნიავს“ („მე და მუზა“). პოეტი-სათვის ნამდვილი შთაგონების წყაროა მშობლიური სოფელი, მინა ქართული, რომელსაც დროგამოშვებით „ანვიმს ზეციური მირონი“ („აპრილი მანევანში“). მისთვის სულის შემძვრელია ძველი ეზო: „ობოლი სახლის ღია კარები“, „ამონახეთქი ნერგი ლელვისა“ და მოცელილი ბალახის ჭრილობა („ძველი სახლი“): პოეტის ლექსთა უმრავლესობაში მკითხველი იხიბლება ავტორის მცდელობით – მხატვრული სიტყვით მიუახლოვდეს ჭეშმარიტებას, რომანტიკულად აღიქვას იგი და უთანაგრძნოს რეალობის გაკეთილშობილებისათვის მეზრძოლ ადამიანებს, რომელთა აზრები და მისწრაფებები ვეღარ ეგუება თანადროულ ყოფას.





## ლალი გოძაძე

თბილისის 57-ე საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე

### სულით პოეტი

„დედაენით“ იწყება წიგნთან ჩვენი კავშირი – წერს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ალექსანდრე ჯამატაშვილი თავის პირველ პოეტურ კრებულში „მემანქანის სიმღერა“ (თბილისი, 2004). ის პროფესიით მემანქანეა, წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის საელმავლო დეპოში, მინიჭებული აქვს მემანქანის პირველი კლასის წოდება, სწორედ აქ, საელმავლო დეპოს კედლის გაზეთში „მემანქანის ხმა“ ქვეყნდებოდა ჭაბუკი მემანქანის პირველი ლექსები; როგორც თვითონ ავტორი იგონებს, პირველი „სერიოზული ლექსი“ 13 წლის მოზარდს დაუნერია, შემდეგ, როდესაც კალამი გაიკვეთა და პოეტური მუზის მორჩილი შეიქნა, თავისი ლექსები გამოაქვეყნა გაზეთებში „ჩვენი საყვირი“, „ევრაზია ექსპრესი“ და სხვ. აქედან მოყოლებული, თითქმის ნახევარ საუკუნის მანძილზე პოეტმა შექმნა ლექსების ციკლი, ნაირფეროვანი თემატიკით, საინტერესო სიუჟეტებითა და მხატვრული გემოვნებით. ალ. ჯამატაშვილმა ბავშვობა კახეთში, სოფელ ვეჯინში გაატარა. აქ შეიგრძნო ბუნების სიკეთე და მშვენიერება. პოეტი ამბობს, რომ „თავი კახეთის შვილად მიაჩნია“, ეს ის ადგილია, სადაც ბავშვობა გაატარა, წიგნს ეზიარა და სწავლის წყურვილმა დედაქალაქამდე ჩამოიყვანა. თბილისში იგი მემანქანის სპეციალობას საფუძვლიანად დაეუფლა და ცხოვრების აღმართს რომ შეუდგა, სიძნელეთა გადალახვის დაუოკებელი სურვილი პოეზიასთან ზიარებით შეამსუბუქა და სულის წვრთნას გაჰყვა ერთგულებითა და შესაძლებელი ენერჯით.

ჭაბუკმა სიყვარულის ცეცხლოვანი გულით უმღერა ადამიანთა ამ უჭკნობ გრძნობას („სიცოცხლეო, გაშალე ფრთები“), ის სიყვარულის გრძნობას უძღვნის გულწრფელ სტრიქონებს: „გვწამდეს ტრფობის ნაპერწკალი, ამ ხანძარს ვერ გაექცევი“, („ტალ-კვესი“). იგი პირობას აძლევს საყვარელ ქალს, რომ ეყვარება მარად, გულს გაუშლის „ყვავილნარად“, „არწივს მტრე-

დი მეყვარები“. – ასეთი და მსგავსი სტროფებით ამკობს პოეტი სიყვარულის უჭკნობ გრძნობას, რომელზედაც დაფუძნებულია კაცის ცხოვრება, სიცოცხლე, ოჯახი და მთლიანად ქვეყანა. სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს უძღვნა არა ერთი და ორი ლექსი პოეტმა და ყველა მათგანში გულწრფელი სიმღერით გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება მშობლიური მიწისადმი. მას თანაბრად აღელვებს 9 აპრილს დაცემულ გმირთა ბედი, როდესაც „ოცი სანთელი ერთად ჩაგვიქრა, ხოლო მონამებრივი სიკვდილით წასულეობა უკვდავებაში გადაინაცვლეს („დამწუხრებულ საქართველოს“). პოეტი ბუნების შვილია, ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები სოფლად ცხოვრებისა ახლაც ახლისებს მის გონებას და სიჩუმეს შესტრფის, გარემოს, სადაც თავის ნებაზე შეუძლია მხატვრულ სიტყვას შეეჭიდოს და ნაფიქრალს ლექსის ფორმა მისცეს. პოეტს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ღრმად გააზრება და მხატვრული ხერხებით გადმოცემა არ ეძნელება, რადგან იგი ორგანულად განიცდის ყოველივეს, თითქოს თვითმხილველი იყოს და აქტიური მონაწილე. მისთვის მიძიმე განცდების წყაროა



„ყაყაჩოებით მოფენილი ისტორიული კრწანის ველი“, სადაც თითქოს ახლაც ისმის არაგველთა შემოძახილი და სადაც ლალატის გამოდამარცხდა დიდი ერეკლე. („მე დავინახე“). ა. ჯამატაშვილისათვის ასევე დამთრგუნველია ქეთევან წამებულის მონამებრივი აღსასრული, რისთვისაც დიდ წმინდანს „თავს უხრის შთამომავლობა“ („ქეთევან წამებულს“); პოეტი შეძრულია ილიას სასტიკი მკვლელობით, რითაც „დადარდიანდა ბუნება და შეწყდა ფრინველთა ჟრიაშული“, პოეტი შესთხოვს ზედაზნის სალოცავს, იხსნას ქვეყანა განსაცდელისაგან, რათა „საქართველომ არ დაკარგოს მომავლის რწმნა“ („საქართველოს ესროლეს“); პოეტის ფიქრები დიდი ხანია დასტრიალებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, აოცებს მისი მახვილგონივ-



რული შაირი, რითიც ავტორი „მარტოდ მყოფი, მეფე ქალზე წიგნებს წერდა, გულში ბჭობდა“ და სიყვარულით გახლებულმა, „ვეფხისტყაოსნით შემოსილმა დიდი წიგნი დაგვიწერა“ („ვეფხისტყაოსნის ნაკვალევზე“).

ა. ჯამატაშვილის კრებულში წარმოდგენილია ორასზე მეტი ლექსი, ნაწილი იმ ლექსებისა მიძღვნილი ხასიათისაა, მაგრამ ეს ფორმა პოეტური ნააზრევისა სულაც არ უშლის ხელს

ავტორს, გამოხატოს საკუთარი ნაფიქრალი იმ ადამიანების მიმართ, ვინც მის გვერდით ირჯებოდა, შრომობდა, იზრდებოდა; თვითონაც ხომ ასეთია – ბოლომდე გულწრფელი, მიმდობი, უღალატო, ჭეშმარიტებით აღსავსე და მარადიული სინათლის მოტრფიალე. მისი პოეზიაც ასეთია – განცდისეული, ღრმად ნაფიქრალი და შინაგანი სიმშვიდით ნაკარნახები.

## რეზიუმე

### იური მგალობლიშვილი

კინოკრიტიკოსი

# ამერიკული კინოხელოვნება XXI საუკუნის პირველ ათწლეულში

21-ე საუკუნეში სხვადასხვა არხებითა და საშუალებებით ხშირად ლაპარაკობენ გლობალიზაციაზე. გლობალიზაციის პროცესი კინოხელოვნებასაც შეეხო და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მის „მეზაირახტრედ“ ამერიკულ კინოს, უფრო სწორად, ჰოლივუდს და მის ექსპანსიას გულისხმობენ, მაგრამ არის გამონაკლისიც – კინოს სამშობლო საფრანგეთი, რომელიც ამ ექსპანსიას მეტნაკლებად უძალიანდება. ამ ფონზე საინტერესოა ერთ-ერთი უმძლავრესი კინემატოგრაფიის ამერიკული კინოხელოვნების რეალიები.

ძლიერ რთულია ილაპარაკო ამერიკულ კინოზე. ერთადერთი, რისი დასკვნის გამოტანაც უტყუარად შეგვიძლია XXI საუკუნის ამერიკული ფილმებიდან ისაა, რომ ამჟამად წავიდა კინემატოგრაფის „ოქროს ხანა“, და ეს თავად უმძლავრეს ამერიკულ კინოსაც შეეხო. აქ, ძალაუნებურად იხსენებენ გენიალურ ჩარლი ჩაპლინის ფილმებს, მე-20 საუკუნის უბრწყინვალეს ამერიკულ კინოშედეგებს, 20-50 და 60-70 წლების შეუდარებელ კინოქმნილებებს, ძნელია ისინი დაუპირისპირო XXI საუკუნის ამერიკულ ფილმებს – ძვირადღირებულ სადადგმო ვიზუალურ ქმნილებებს, „ბლოკბასტერებს“, „ავატარებს“ და სხვა „კინემატოგრაფიულ“ ატრაქციონებს“, მაგრამ ამერიკაში მათ გვერდით იქმნება ე. წ. დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ფილმები, მაგალითად, ნიუ-იორკის კინოჯგუფისა, რომლის სათავეში ვუდი ალენი დგას. ამ ბლოკბასტერებსა და სანახაობრივ ფილმებშიც ხანდახან გამოსჭვივის ის კრიტიკული დამოკიდებულება რეალურ

რი ცხოვრებისადმი, რითაც გაჯერებული იყო ამერიკული კინო ყოველთვის, მაგრამ მავანთა და მავანთათვის ჯობია მოხდეს კინემატოგრაფიული „ორთქლის გამოშვება“ ანდა თუნდაც კინო „აფეთქება“, ვიდრე ეს რეალურ ცხოვრებაში მოხდებოდა; გვინდა რეიტინგების გარეშე ვილაპარაკოთ ამერიკული კინოს იმ ტენდენციებზე, რომელიც ეკრანმა მოიცვა.

აშშ-ში არალეგალური ქართველი ემიგრანტების ცხოვრება შეიძლება ენოდოს მოკლემეტრაჟიან ფილმს „ვალი“ (2004 წ.), რომელიც გადაიღო ქართველმა კინორეჟისორმა ლევან კოლუაშვილმა (დაიბ. 1973 წ.) დაამთავრა მარლენ ხუციევის კინო სახელოსნო რუსეთის სახელმწიფო კინოინსტიტუტში, 2002 წელს ჩაირიცხა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კინოფაკულტეტზე. შეიძლება მას ენოდოს მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა შეინარჩუნოს ღირსება მიუხედავად სიცივის, გაჭირვებისა და დამცირებისა.

კარლო ნერო ცნობილი იტალიელი კინომსახიობის ფრანკო ნეროს და ასევე ცნობილი ინგლისელი კინომსახიობის ვანესა როდგრევის შვილია, დაამთავრა რა რომის კინოინსტიტუტის ექსპერიმენტული ცენტრი, ამას მოჰყვა სწავლა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კინოსკოლაში. სწორედ მე-20 საუკუნის ბოლოს მან, როგორც კინორეჟისორმა, აშშ-ს დაფინანსებით გადაიღო ფილმი „დაუპატიჟებელი“, რომელიც დეტექტიური ფაბულით გვიხატავს სოციალურ ფუნდამენტურ საკითხებს. აქ გადაეხლართა საზღვრები ფანტაზიასა და რეალობას, სიყვარულსა და ფანატიზმს შორის...



ფილმში „დაუპატიჟებელი“ თავად ვანესა რედგრივი და ფრანკო ნერო მონანლივობდნენ.

რამდენადაც პარადოქსულად უნდა მოგვეჩვენოს, ირანელმა კინორეჟისორმა ამირ ნადერიმ გადაიღო ამერიკული ფილმი „მარათონი“ (200 წ.), რომელშიც ნაჩვენებია ახალგაზრდა ნიუ-იორკელი ქალის გრეთჰენის არაორდინალური გადაწყვეტილება, სახლში წყნარად ჯდომას მეტროს გამაყრუებელი ხმაური ამჯობინოს, რათა ამ ხმაურში 24 საათის განმავლობაში შეავსოს ძალზე დიდი მოცულობის კროსკორდი და მოხსნას რეკორდი.

ცნობილმა დანიელმა კინორეჟისორმა ლარს ფონ ტრიერმა ერთობლივ გახმაურებულ ფილმში „დოგვილი“ მთავარ როლში ნიკოლ კიდმანი მიიწვია. ფილმში სათავგადასავლო სიუჟეტშია მოქცეული მომხიბლავი გრეისი, რომელსაც გაუგებარი მიზეზების გამო განგსტერები ეძებენ, ის თავშესაფარს მიყრუებულ სოფელ დოგვილში იპოვის, ერთი პირობით, რომ მან სოფლელებისთვის მუქთად უნდა იმუშაოს.

კაპიტალისტური კანონის ერთ-ერთ მთავარ აღმსრულებლად საფონდო ბირჟას თვლიან. ფილმში „კარგი წელიწადი“ (2006 წ.) რეჟისორმა რიდლი სკოტმა არაჩვეულებრივი მოვლენები და ყოფითი ქმედებების მთელი კასკადი გვიჩვენა: საოცრად ჭკვიანი და მიზანმიმართული მენეჯერი მემკვიდრეობით საფრანგეთის ვაზის მხარეში პროვანსში მემკვიდრეობით იღებს ღვინის დიდ მარანს, ადგილზე ჩასული კი შეიტყობს, რომ მის კანონიერ საკუთრებაზე სხვებიც აცხადებენ პრეტენზიას.

ცნობილმა ფოტოხელოვანმა, მსახიობმა და კინორეჟისორმა ლარი კლარკმა, ასევე ცნობილ კინოოპერატორთან ედ დუჩმენტთან ერთად გადაიღო გახმაურებული ფილმი „კენ პარკი“, რომელშიც მოთხრობილია თაობათა ერთგვარი დაპირისპირება მშობლებსა და შვილებს შორის, სისასტიკეზე, სიყვარულზე და სიძულვილეზე.

კინორეჟისორმა მაიკლ ალმერეიდამ (დაიბ. 1960 წ.) მოღვაწეობა კინოსცენარისტობით დაიწყო ვიმ ვენდერსის ფილმისთვის.

2001 წლისთვის მას უკვე გადაღებული ჰქონდა შვიდი ფილმი. მისი მერვე ფილმი გახლდათ „ბედნიერი აქ და ამ წუთში“, რომელშიც მოცემულია ისტორია ახალგაზრდა ქალისა. აქ ფსიქოლოგიურ სიტუაციებთან ერთად, გვხვდება ფილოსოფიური განსჯის მოყვარული კოვბოი, მეხანძრეები და სხვ.

სარეკლამო რგოლების გადაღებებიდან კინორეჟისორად სპაიკ ჯონზი მოგვევლინა.

2002 წელს ეკრანებზეა მისი ფილმი „ადაპტა-

ცია“, რომლის სცენარისტებად ჩარლი და დონალდ კაუფმანებია (სიუზნ ორლენის რომანის „ორქიდის ქურდის“ მიხედვით)... ნიუ-იორკში მოღვაწე რეჟისორმა და კინოლექტორმა ტიმ მაკკენიმ 2001 წელს გადაიღო ფილმი დამაფიქრებელი სახელწოდებით – „რევოლუცია №9“, რომელშიც მხილებულია არა მარტო საოჯახო ფარისევლური დამოკიდებულებანი, არამედ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაც. შავკანიანმა კინორეჟისორმა სპაიკ ლიმ (დაიბ. 1956 წ.) 2002 წელს გადაიღო ფილმი „25-ე საათი“, რომელშიც მთავარ მოქმედ პერსონაჟს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა ელის. იგი ერთ დღესა და ღამეს თავის უნახავ ახლობლებთან ატარებს. ცდილობს, საკუთარ მამასა და უახლოეს მეგობრებთან ძველი ურთიერთობების აღდგენით დანაშაულის გამოსყიდვას.

აშშ-ში უამრავ კინოფილმებთან ერთად, უამრავ ტელეფილმსაც იღებენ. გავისხენოთ თუნდაც „საიდუმლო მასალები“, „სანტა ბარბარა“, „გაქცევა“, „სასწრაფო“ და სხვა. ალბათ ყველაზე უფრო დიდი წარმატება კინემატოგრაფიულ კარიერაში მოუტანა კინომსახიობ ჯორჯ ქლენის (დაბ. 1961 წ.). სწორედ ტელესერიალ „სასწრაფომ“.

2005 წელს ერკანზეა მის მიერ გადაღებული ფილმი „ღამე მშვიდობისა და წარმატებას გისურვებთ!“ ფილმი ეხება ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ მძიმე პერიოდს, რომელიც მაკარტიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს კი გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისია, როდესაც სატელევიზიო ჟურნალისტიკა ახალი ჩასახული იყო. კონფლიქტი ტელეჟურნალისტ ედვარდ მუროუს და სენატორ ჯოზეფ მაკარტის შორისაა.

კაპიტალისტური სინამდვილე, ხშირად ავინყებინებს ადამიანს უმთავრეს ადამიანურ ფასეულობებს. როკ-ჯგუფ „ნირვანას“ სოლისტი კურტ კობეინი წარმატებამ მარტოსულ ადამიანად აქცია. მას „მეგობრები“ მხოლოდ პირადი ინტერესებისა და, რაც მთავარია, ფულისთვის აკითხავდნენ. ეს ასახულია რეჟისორ გასვან სანტის (დაბ. 1952 წ.) ფილმში „უკანასკნელი დღეები“ (2005 წ.). მთავარ როლებში: მაიკ პიტი და აზია არჯენტო.

კინემატოგრაფიული ინტერპრეტაციები არ დასჭირვებია რეჟისორ ჯონ ფილიპს 60 წუთიანი დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად „მიშა მოსკოვის წინააღმდეგ, ბრძოლა საქართველოს მომავლისათვის“ (2009 წ.), მისი ერთ-ერთი ოპერატორია ვალერი ოდიკაძე; ფილმში აღწერილია 2008 წლის საქართველოს ომის მოტივაციები. ფილმის ავტორმა ინტერვიუები ჩაწერა



მიხეილ სააკაშვილთან, ედუარდ შევარდნაძესთან, ვიტალი ჩურკინთან (რუსეთის ელჩთან ვაშინგტონში), მითიუ ბრაიზასთან. მაყურებელი თავად განსჯის იმ რეალობას, რაც შეიქმნა საქართველოში.

სუპერაგენტ ჯეიმს ბონდზე და მის მეგობარ მომხიბლავ ქალებზეა ლაპარაკი მარიამ დ აბოს (დაბ. 1960 წ.) სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში „ბონდის გოგონები სამუდამოდ“ (2002 წ.). ლამაზმანთა ამ კრებულში მონაწილეობენ ჰოლი ბერი, ურსულა ანდერსი, ჯეინ სეიმესი, ჯუდი დენჩი, მარიამ დაბო და სხვა...

რეჟისორმა ქეთი ორჯონიკიძემ თავისი სცენარით გადაიღო ქართულ-ამერიკული ერთობლივი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თუთიყუში“ (2009 წ.), რომელშიც აღწერილია ორი დღე ქართველი ემიგრანტი გოგონას ცხოვრებისა აშშ-ში. ირმა შინამოსამსახურეა ერთ ამერიკულ ოჯახში. გოგონამ ინგლისური არ იცის და გულმოდგინედ ასრულებს ყოველგვარ შინაურ სამუშაოს. მეზობელს მოლაპარაკე თუთიყუში დაეკარგა და მპოვნელი დასაჩუქრდებოდა. ოჯახს ჭკუაში უჯდება ფულის შოვნის შესაძლებლობა და თუთიყუშის მოძებნას ქართველ შინამოსამსახურეს ავალებენ...

ამერიკის კინოაკადემიის პრემია „ოსკარი“ გამოჩენილი კინომსახიობის გრეგორი პეკისთვის საკუთარი კინოკარიერის მწვერვალი იყო, ხოლო ელიზაბეტ ტელორი თვლის, რომ „ოსკარი“ ყველაზე დიდი ჯილდოა კინოს ისტორიაში. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში „ოსკარით“ დაჯილდოვდნენ: „ამერიკული სილამაზე“ (2000 წ. რეჟ. სემ მენდესი), „გლადიატორი“ (2001 წ. რეჟ. რიდლი სკოტი), „ბრწყინვალე გონება“ (2002 წ. რეჟ. რონჰაუარდი), „ჩიკაგო“ (2003 წ. რეჟ. რობ მარშალი), „ბექდების მბრძანებელი, ხელმწიფის დაბრუნება“ (2004 წ. რეჟ. პიტერ ჯექსონი), „ავიატორი“ (2009 წ. რეჟ. მარტინ სკორსეზე); „კუზიანი მთა“ (2006 წ. რეჟ ენგ ლი), „განდგომილები“ (2007 წ. რეჟ. მარტინ სკორსეზე), „მოხუცებს აქ არაფერი ესაქმებათ“ (2008 წ. რეჟ. ძმები კოენები), „მილიონერი ლატაკთა უზნიდან“ (2009 წ. რეჟ. დენი ბოილი), „ქარიშხლის მბრძანებელი“ (2010 წ. რეჟ. კეტრინ ბიგელოუ). ეს ფილმები არაერთჯერ იქნა ნაჩვენები ტელევიზიით სხვადასხვა არხზე. მაყურებელსაც აქვს თავისი პოზიცია. ფილმი ამ ნომინაციით შეიძლება არ იყოს გამარჯვებული, მაგრამ პოპულარობით სარგებლობდეს მაყურებლებში. ამაზე მეტყველებს რეჟისორ დაგ ლაიმანის ფილმი „მისტერ და მისის სმიტები“ (2005 წ.) ამ თითქმის კომედიურ და სათავგადასავლო ფილმს წარმატება მოუტანეს მთა-

ვარი როლის შემსრულებლებმა ბრედ პიტმა და ანჯელინა ჯოლიმ.

ამერიკელებს უყვართ ფანტასტიკური ფილმები. ფილმი „მერობოტი“ (2004 წ.) რეჟისორმა ალექსი პროიასიმ (აშშ), გერმანიის თანამშრომლობით გადაიღო. მოქმედება გადატანილია ახლო მომავალში, როდესაც რობოტები პოლიციაშიც „იმსახურობენ“.

ამრიკელმა კინოვარსკლავმა რენე ზელვეგერმა მთავარი როლი შეასრულა რეჟისორ ბიზან კიდრინის გახმაურებულ ფილმში „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ (2004 წ.), რომელიც ერთობლივ პროდუქტს წარმოადგენს (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), რომელშიც პირადი ცხოვრება და ურთიერთობანია გადახლართული.

„კარიბის ზღვის მეკორეების“ (2006 წ.) უკვე რამდენიმე სერიაა გადაღებული, ფილმი სათავგადასავლო „ბოვეიკიცაა“ და ფანტასტიკურ-ისტორიული. ფილმის რეჟისორმა გორ ვერბინსკიმ მთავარ როლებზე მიიწვია ჯონი დეპი, ორლანდო ბლუმი, კირა ნაიტლი და სხვ.

ჰოლივუდისგან ე. წ. დამოუკიდებელმა კინორეჟისორმა, ნიუ-იორკის კინოს სულისჩამდგმელმა რეჟისორმა ვუდი ალენმა 2008 წელს გადაიღო მელოდრამატული ფილმი „ვიკი, კრისტინა, ბარსელონა“, რომელშიც ერთგვარი ბანალური ისტორიაა მოთხრობილი ორი ამერიკელი ქალიშვილის ვიკისა და კრისტინასი, რომლებიც არდადაგებზე ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ატარებენ. ხასიათები ქალიშვილებს სხვადასხვაგვარი აქვთ, ერთს სერიოზული, მეორეს სექსუალურად თავისუფალი. მთავარ როლებში მაყურებელმა იხილა რებეკა პილი, სკარლეტ იოჰანსონი, ხავიერ ბარდემი და პენელოპა კრუსი.

ფილმი „მოდილიანი“ (2004 წ.) რამდენიმე ქვეყნის ერთობლივი პროდუქციაა. რეჟისორმა მიკ დევისმა ამ ფილმში გაამახვილა ყურადღება დიდი იტალიელი მხატვრის ამადეო მოდილიანის არა მარტო ყოფით ცხოვრებაზე, შემოქმედებასა და სიყვარულის ისტორიაზე, არამედ მის მუდმივ მტრობა-მეტოქეობაზე მე-20 საუკუნის უდიდეს ესპანელ მხატვართან პაბლო პიკასოსთან. მთავარ როლებშია: ენდი გარსია, ელზა ზილბერშტეინი, იპოლიტ ჟირარდი და სხვა.

2005 წელს ცნობილმა კინორეჟისორმა რიჩარდ შეპარდომ ფილმში „მატადორი“ მოიწვია პირს ბრონსანი, ჰოუპ დევისი და გრეგ კონერი. ფილმი პროფესიონალი მკვლელისა და მსხვილი ბიზნესმენის ურთიერთობებზეა აგებული, ისინი სასტუმროში გაეცვნენ ერთმანეთს და ეს



ნაცნობობა კარდინალურად ცვლის მათ ცხოვრებას.

რომის პაპმა, როდესაც ნახა მელ გიბსონის ფილმი „ქრისტეს ვნებანი“ (2007 წ.), განაცხადა: ყველაფერი სწორედ ასეც იყო! ფილმი სახარებისეული წაკითხვაა და ამავე დროს, უმძიმესი განცდებით დატვირთული. ცნობილია, რა თავდასხმა გადაიტანა მელ გიბსონმა – თითქოს ეს ფილმი არავითარ კავშირშია ქრისტეს ნამდვილ ცხოვრებასთან. მას არ პატიობდნენ იმგვარ კინემატოგრაფიულ ჩვენებას, როდესაც მხოლოდ ძლიერი ნერვების მქონე თუ გაუძლებს კადრების სიმძიმეს...

კინოვარსკვლავი გახდა მოზარდი დანიელ რედკლიფი კინოსერიალიდან „ჰარი პოტერი“. ეს ბესტსელერად ქცეული რომანი კინოეკრანამაც ადვილად მიიღო, რაშიც რეჟისორმა კრის კოლაკმა სხვადასხვა კინემატოგრაფიული ხერხები გამოიყენა: საიდუმლოებათა გახსნა, ზებუნებრივი ძალები, ლაპარაკი ქვეწარმავლების ენაზე და ა. შ.

ცენტრალური სადაზღვევო სამსახურის სუპერაგენტზე – ბორნზე არაერთი კინოსერიალი შეიქმნა. 2004 წელს ეკრანზეა „ბორნის უპირატესობა“, რომლის რეჟისორია ჰოლ გრინგრასი. მთავარ როლში: მეთ დაიმონი, ფრანკა პოტენტი. სიუჟეტის მიხედვით შესასრულებელია არა მარტო სახელმწიფო მნიშვნელოვანი დავალება, არამედ ძვირფასი ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაც. 2007 წელს მეთ დაიმონმა ისევ პოლ გრინგრასის რეჟისორობით ითამაშა ფილმში „ბორნის ულტიმატუმი“. სერიალის „საუკუნის დანაშაულის რეჟისორია ცნობილი

კინოხელოვანი სტივენ სოდერბერგი.

ფილმი „განდგომილები“ (2007 წ.) დაჯილდოვდა ორ მთავარ ნომინაციაზე „საუკეთესო ფილმი“ და „საუკეთესო რეჟისორი“. სიუჟეტურად ფილმი თითქოსდა ტრივიალურია. ბოსტონის პოლიცია საიდუმლო აგენტს შეგზავნის უმსხვილეს ირლანდიელ მაფიოზურ დაჯგუფებაში, ასევე მაფიოზები შეგზავნიან თავიანთ აგენტს პოლიციაში. ვინ ვის?

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ამერიკული ეკრანის ერთ-ერთი ვარსკვლავი ქალბატონი სანდრა ბალოკი, მთავარ როლში წარმოგვიდგა დონალდ პეტერის ფილმში „მის კონგენიალობა“; სილამაზის კონკურსზე ფედერალური ბიუროს აგენტი ქალი არა კონკურსში მონაწილეობისათვის ჩაერთვება, არამედ განრისხებული ფემინისტი ქალების მიერ დაგეგმილ ტერორისტულ აგენტის აღსაკვეთად. ხდება პარადოქსული ამბავი: მისმა დამხმარე იმიჯმეიკერმა სილამაზის ნამდვილ დედოფლად აქცია... პარადოქსული ამბავი თავად სანდრა ბულოკს 2010 წელს გადახდა.

ჰოლივუდი გაოგნებული და მოხიბლული დარჩა, მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს: „ოსკარის“ – „საუკეთესო როლი“ და „ოქროს ჟოლო“ (ანუ „უხარისხო“ როლი). ერთმა პიროვნებამ მიიღო და ეს სანდრა ბულოკია. და ისმოდა ეკრანის მიღმა განუმეორებელი მუსიკოსის რეი ჩარლზის გულში ჩამწვდომი ჯაზური მელოდიები, რომლებიც ამერიკულ სინამდვილეს არამარტო პარადოქსულად გვიჩვენებს, არამედ კინემატოგრაფიული რაკურსითაც.

## საცნობოდ საკითხავი

# სოსხალი ბიბლიოთეკა

ერთ დროს რომში ცხოვრობდა უმდიდრესი ვაჭარი, სახელად ეცელი. მის ქონებაზე გასაოცარ ამბებს ყვებოდნენ: უზარმაზარი სასახლე ჰქონდა, სადაც მთელი ქალაქი დაეტეოდა; სადილობისას ყოველდღიურად სუფრა სამას კაცზე იშლებოდა; სტუმრებს მდიდარი მასპინძელი სანაქებო საჭმელ-სასმელით უმასპინძლდებოდა. მაგრამ იმ დროს მიღებული იყო ტრადიცია: საზოგადოება, მასპინძელს საინტერესო საუბრებითაც უნდა შეექცია.

სწორედ ეს იყო მდიდარი ეცელის უბედურება; მართალია, დიდი ქონების პატრონი იყო, მაგრამ არცერთი წიგნი არ ჰქონდა წაკითხული. მეტიც, წერა-კითხვაც ძალზე ცუდად იცო-

და. ამიტომ ადამიანები, რომლებიც დიდი სიამოვნებით სადილობდნენ მასთან, ზურგსუკან დასცინოდნენ, მასპინძელი თუ რაიმე სიტყვას ან აზრს ჩაურთავდა, მოსაუბრე ამჩნევდა, რომ სტუმრები თავს ძლივს იკავებდნენ სიცილისაგან, რადგან მისი გაუნათლებლობის გამო ეს აზრი უმწიფარი და უსუსური იყო. დაცინვას ამაყი ვაჭარი წარმოუდგენლად მტკიცეულად განიცდიდა. მაგრამ წიგნის კითხვა და სწავლა სიზარმაცის გამო არაფრით არ შეეძლო. დიდხანს და აქტიურად ფიქრობდა, როგორ გამოესწორებინა საქმე და ბოლოს ნათელმა აზრმაც არ დააყოვნა.

სასახლის მმართველს დაავალა, შეეკრიბა



ორასი ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი მონა. ყოველი მათგანისთვის შეერჩია ერთი რომელიმე წიგნი დასასწავლად, ვთქვათ: ერთს „ილიადა“ უნდა ესწავლა, მეორეს „ოდისეა“ და ა.შ.

დიდი ჯაფა და ენერჯია დაჭირდა სასახლის გამგებელს, ბრძანება სისრულეში რომ მოეყვანა, მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა, მდიდარ ეცელს აღარ ჭირდებოდა შრომა—გარჯა წიგნების წასაკითხად — მას ცოცხალი ბიბლიოთეკა ჰყავდა. როგორც კი ნადიმზე საუბრისას რაიმე საკითხზე აზრის განვრცობის ან რაიმე შენიშვნის გაკეთების პრობლემა წამოიჭრებოდა, საკმარისი იყო, ენიშნებინა გამგებლისათვის, რომელიც თავის მხრივ, იმავე წამს ანიშნებდა მონას, რომელიც გამოდიოდა და სიტუაციისთვის მისადაგებულ ტექსტს წარმოთქვამდა დაზეპირებული წიგნიდან.

ეცელმა ამოისუნთქა. ჩათვალა, რომ პრობლემა გადაჭრილი იყო, მასპინძელს თითქოს სტუმართაგან საქილიკოც აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ ბედი დიდხანს გაახარებს განა ვისმის?... ეცელის ბედნიერებაც დიდხანს არ გაგრძელებულა... ისეთი რამ მოხდა, რის გამოც მოქალაქეები კარგა ხანს კიდევ უფრო მეტს

დასცინოდნენ უვიც მილიონერს...

ერთ ნადიმობაზე, როცა ჭამას მორჩნენ და სტუმრები სხვადასხვა საკითხზე საუბრობდნენ, სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ როგორ ქეიფობდნენ ძველად მათი წინაპრები.

— ამის შესახებ კარგადაა მოთხრობილი „ილიადაში“ — შენიშნა ეცელმა და თვალით გამგებელს ანიშნა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ გამგებელს გამოეძახა „ილიადას“ მცოდნე მონა, იგი მუხლებზე დაემხო და შიშით აკანკალებული ხმით მიმართა:

— მაპატიე ბატონო! ილიადას დღეს მუცელი ასტკივდა და ვერ გეახლათ...

განზილებულ ეცელს დიდხანს ესმოდა მის სუფრაზე დანაყრებული სტუმრების სიცილ-ხარხარი.

ეს ისტორია ორი ათასი წლის წინ მოხდა და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს — სხვის იმედად ყოფნას, ჯობს საკუთარი თავის იმედად ვიყოთ, რადგან — „თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები“...

რუსულიდან გადმოაქართულა  
ფერიდი კვაჭანტირაძემ

## ძრონიკა

# საქართველოს საბიბლიოთეკო სსოვრების

## ძრონიკა: მოვლენები, ფაქტები

1 აპრილს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა „მუდმივმოქმედი ლიტერატურული სემინარების“ მორიგი შეხვედრა. პროფესორმა ტრისტან მახაურმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „კაფიის უანრის რაობისათვის“.

13 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „დედაენის“ უნიკალური გამოცემები 1876 წლიდან. ამავე დღეს ნაჩვენები იყო კინოფილმი „იავნანამ რა ჰქმნა“ (რეჟისორი ნ. ჯანელიძე).

27 აპრილს ამავე ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა თემაზე „თბილისის მოდერნიზმი/ავანგარდი, ლიტერატურული მემკვიდრეობა 1910–1920–იანი წლები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული ლიტერატურული გამოცემები: ჟურნალები, გაზეთები, პოეტუ-

რი კრებულები, რომანები: გასული საუკუნის 20–იანი წლების ქართული პერიოდული გამოცემების დედნები, ქართველ მწერალთა პირველი გამოცემები, აგრეთვე თბილისში მოღვაწე რუსი ავანგარდისტი მწერლების კრებულები.

28 აპრილს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პიანისტ დარი თაქთაქიშვილის წიგნის „პიანისტური ხელოვნების დიდოსტატები: იოზეფ ჰოფმანი და ფერუჩო ბუზონი“ წარდგენა. აქვე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ინგლისელი კომპოზიტორის ლიდია ვესტისა და პიანისტ ნათია ბერაიას კომპაქტდისკები.

2 მაისს ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა „ქართული ბეჭდური მედიის წარსული და აწმყო“, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის საცავებში



აღრიცხული ასზე მეტი ექსპონატი – პირველი ქართული გაზეთის (1819 წ.) გამოცემიდან 1930–იან წლებამდე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ასევე ქართული გაზეთების ელექტრონული კატალოგი და ქართული ჟურნალების ციფრული ბიბლიოთეკა.

3 მაისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში „საბიბლიოთეკო კვირეულის“ პროგრამით მოეწყო ღია კარის დღე. მკითხველებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ბიბლიოთეკის რესურსებს, მომსახურების ახალ ფორმებსა და საშუალებებს.

4 მაისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო ჟურნალ „ცისკრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის წარდგენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბიბლიოგრაფიაზე მომუშავე სპეციალისტები, ბიბლიოგრაფები, ნიგნის გამომცემლები.

7 მაისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები თემაზე: „ოზონის შრის და კლიმატის ცვლილებების პრობლემები. საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები.“ ღონისძიება გაიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოზონის ეროვნული ჯგუფისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ძალებით.

10 მაისს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პროექტის „ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები“ წარდგენა. ამავე თემაზე ჩატარდა ლექციების კურსი და მოეწყო ფილმების ჩვენება.

13 მაისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო პროფ. შადიმან ხელაძის სახელმძღვანელოს „ლოგიკა ყველასათვის“ წარდგენა-განხილვა.

19 მაისს მოეწყო იოსებ გრიშაშვილის განახლებული ბიბლიოთეკა-მუზეუმის გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკარები, ი. გრიშაშვილის პოეზიის მოყვარულები, პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები.

19 მაისს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მწერლისა და კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა. წარმოდგენილი იყო გ. ჩოხელის მხატვრული ნაწარმოებები, ფო-

ტოებზე აღბეჭდილი კადრები მისი სარეჟისორო მოღვაწეობიდან, აგრეთვე მასალები მწერლის პირადი არქივიდან.

20 მაისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეზიის საღამო „ჩვენი ჰერეთი – საინგილოს ანდამატი“, მოისმინეს მოხსენებები საინგილოს წარსულსა და აწმყოზე, თბილისელი და ჰერეთელი პოეტების ლექსები საინგილოზე.

25 მაისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ევროპაში მოღვაწე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა „პოზიციები – ქართველი მხატვრები ევროპიდან“. წარმოდგენილი იყო ანრი ბასილაიას, შალვა ხახანაშვილის, კაკო თოფურიას, ზურაბ არაბიძის, ირინა გაბუნიას და სხვ. ქართველი მხატვრების ნამუშევრები.

3 ივნისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო მიხო მოსულიშვილის ნიგნის „ვაჟა-ფშაველა“ წარდგენა.

15 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა მწერალ ინგა მილორავასთან, მწერალი ავტორია რამდენიმე ლიტერატურულ-კრიტიკული შინაარსის ნიგნისა, მათ შორის ნიგნს „ლიტერატურული წერილები“ (2000) მიენიჭა ა. ორბელიანის სახელობის პრემია.

15 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „მე-20 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მხატვრები“. წარმოდგენილი იყო მხატვრების: ხ. ქუთათელაძის, დ. ერისთავის, ლ. ხარანაულის და სხვათა ნამუშევრები, მოეწყო მათი ალბომების წარდგენა.

17 ივნისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჰელსინკის საქალაქო ბიბლიოთეკის მენეჯერმა ქრისტინა ვიტრანგმა წაიკითხა ლექცია თემაზე „თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკა“.

24 ივნისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა სპარსული პოეტური სიტყვის ზეიმი. პოეზიის საღამო მიეძღვნა ფირდოუსის „შაჰნამეს“ 1000 წლისთავს. საღამოს ესწრებოდა „შაჰნამეს“ ქართულ ენაზე მთაგმნელი ბელა შალვაშვილი. ღონისძიების თანაორგანიზატორი იყო ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.



**ნეკროლოგი**

**რასაც გულით ემსახურებოდა**

(ჟანა ქამუშაძე)



სრულიად ახალგაზრდა შეუდგა საბიბლიოთეკო მოღვაწეობას. 20 წლის ქალიშვილმა, დაამთავრა თუ არა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი. 1962 წელსვე მუშაობა დაიწყო აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში. მთელმა კოლექტივმა გულთბილად მიიღო ჟანა ქამუშაძე თავის რიგებში. მან თავიდანვე გამოავლინა თავისი შესაძლებლობები, რომელ უბანზეც საქმიანობდა, ყოველთვის მაღალ პროფესიონალიზმს ამჟღავნებდა. მისი ნაშრომი ყოველთვის შესამჩნევი იყო. საკმაოდ ღვაწლი გასწია მან 47 წლის განმავლობაში. რა საქმესაც აკეთებდა, გულით ემსახურებოდა მას.

ჟანა ქამუშაძეს ბავშვობიდანვე უყვარდა ნიგნი და სწავლა. თავმდაბალი გოგონა მეგობრების სიყვარულსა და სიმპათიებს იმსახურებდა. ასეთი იყო ის შემდეგაც – კოლეგებთან, მკითხველებთან, ყველასთან, ვისთანაც მას პირადი ურთიერთობა ჰქონდა. გამოირჩეოდა გულმოდგინებით, ენერგიულობით, მიუხედავად სირთულეებისა, არასოდეს კარგავდა სულიერ სიმხნევებს, წონასწორობას, ხალისს. უყვარდა თავისი საქმე და მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა, მხოლოდ 2009 წელს გადაწყვიტა გაენებებინა თავი სამსახურისთვის. მიმდინარე წელი კი მის გამოსათხოვარ წლად იქცა.

ვინც მას იცნობდა, იცის, რამდენად გულთბილი, მეგობრული, თავაზიანი, მაღალკულტურული და კეთილშობილი ადამიანი იყო. მუდამ იცავდა თავისი ოჯახის ლამაზ ტრადიციებს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ირგვლივ გარშემო მყოფ ადამიანებთან, სამაგალითო იყო მისი ურთიერთობა ძმასა და ნათესავებთან. იყო შესანიშნავი პიროვნება და კარგი მოქალაქე.

დასანანი, რომ ის ჩვენ შორის აღარ არის. მხოლოდ ხსოვნა გვრჩება ამ მშვენიერი ქალბატონისა.

*აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის კოლექტივი  
მეგობართა ჯგუფი*

**ნანა ქამუშაძე**

თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების კოლექტივს გამოაკლდა მე-18 ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი ნანა ქავთარაძე. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკაში, სადაც გულმოდგინედ, საქმის ცოდნითა და მაღალ პროფესიულ დონეზე ემსახურებოდა ნორჩ მკითხველებს, უყვარდა მოზარდები, საბავშვო ლიტერატურა, შეეძლო ჩასწვდომოდა პატარების სულიერ სამყაროს;

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი სამუშაოდ გადავიდა მე-19 საქალაქო ბიბლიოთეკაში, სადაც თავისი ცოდნა და გამოცდილება, ენთუზიაზმი და პროფესიისადმი ერთგულება უშურველად შეაღწია საბიბლიოთეკო საქმეს, მკითხველთა საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურების კეთილშობილურ მისიას. მისმა გარდაცვალებამ კოლექტივში დატოვა ღრმა მწუხარებისა და სინანულის განცდა. ნანა ქავთარაძის ნათელ ხსოვნას ლექსი მიუძღვნა პოეტმა ოთარ სოხაძემ.



*თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების კოლექტივი*



# 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

